

პროსტორი
რედაქცია
23. 8. 81

ივედი

1881

წელიწადი პირველი

№ V, მაისი.

თფილასი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა, ღორის-მელიქოვის ქუჩაზე.

1881

ბაიხის წიგნის შინაარსი:

- I. მე და ონისიმე (მოთხრობა)—ძიხ. ახათიანისა.
- II. ღროება (ლექსი)—ღ. რ—ზ—კ—ლისა 21
- III. *** (ლექსი) ს. ნახამისა 30
- IV. ჩემი აღსარება—კ. მაჭავაცაძისა 31
- V. ომარ და სელმა (ხეკეჭუელი მოთხრობა)—
იბიხიე 37
- VI. გაზაფხული (ლექსი)—ძიხ. ახათიანისა 51
- VII. წინასწარმეტყელი (ლექსი)—ღ. რ—ზ—
ლისა 53
- VIII. გლეხის ღიღინი (ლექსი)—მეტეხელი გლეხის
აღქმის მიწაშვილისა 54
- IX. ჩვენი სასოფლო შკოლები—გადაღმელისა 58
- X. მიწა-მამული და შედეგი მის ძალის დაკარგ-
ვისა—***-ისა 61
- XI. თავიდან თუ ბოლოდან? (შენიშვნები ჩვენს
სტუდენტობის მიმართულებასზე და მოკლე-
ობასზე)—გრ. ყიფშიძისა 63
- XII. შინაური მიმოხილვა—ძიხელი გურგენიძისა 11
- XIII. რედაქციისაგან 11

6072

ი მ ე დ ი ა

ყოველ-თვიური

სალიბრატურო და საკოლიტიკო

ჟურნალი.

წელწადი შიშველი

მ ა ი ს ი



ბუფილოსი
ექვთიმე სულაძის სტამბა.
1881





Доволено цензурою. Тифлисъ, 1 мая 1881 г.

მე და რენისიმე.

(მოთხრობა)

ნაწილი პირველი.

I

ეს ერთი კვირა იქმნება, რაც მე მოველ ჩემს ქვეყანაში, თავზედ მაფარია მისი ცა, ფეხი მიდგია მის ნიადაგზედ. მოველ შავი ზღვით, რომელიც ჩემს მოგზაურობის დროს მეტათ გულ არეული და გადარეული რამ იყო. აგეთმა მღელვარე ზღვამ ააღლევა თვით ჩემი ტვინიც. შემიჯდნენ თავში ათას-ნაირი ფიქრები, ამიქოთ-დამიქოთეს მათ ყველაფერი, რაც-კი-რამ მიწყობილ-მილაგებულნი მქონდა მასში და ბოლოს ისე შეარყიეს მრთელი ჩემი არსება, როგორც ზვირთნი გადარეულის ზღვისა არყევდნენ იმ გემს, რომლითაც მე მოვედიოდი. ეხლა სამშვიდობოში ვარ გამოსული, აღარ მაშფოთებს და არც მაშინებს გულ-არეულობა და ბრაზიანობა ზღვისა. მაგრამ ერთი, იქიდგან გამოყოლილი, ჰაზრი, მაინც არა მშორდება თავიდგან, დამდეგს უკან აჩრდილივით და „თავს დამჩხავის თვალ-ბედითი შავი ყორანივით“ — ჰო, იმ ზღვას კი გადურჩი, ვამობ მე, უხუნევრად, გამოველ მის მეორე ნაპირზედ, მაგრამ ეხლა როგორ წავა ჩემგნით შეჭედილი გემილა იმ ზღვაში, რომელსაც ცხოვრებას ეძახიან და

რომელშიაც მე ვაპირობ ეხლა ფეხის შედგმასა. გავალ მის მეორე ნაპირზედაც ესე კარგათ, თუ პირველ შესვლაშივე დამეძგერება მეც მისი ძლიერი ტალღა, გადამიბრუნებს გემსა და შეუბრალებლად ჩამთქამს მეც ისე, როგორც ათასი და ათი-ათასი სხვა ჩაუნთქამს და ჩაუძირამს ?!...

ჩემს ფიქრებსა ჰრევს და არ აწყენარებს უფრო ის გარემოება, რომ მე ცუდი ამბავი გავიგე ონისიმეზედ. ამობენ — ონისიმე ყოველად საძაგელი ვინმე გახდაო. აგეთი ხმა ერთის მხრით ძნელად დასაჯერებელი მგონია, მეტადრე ამ ქორებით გატენილ ჩვენს დროებაში; მაგრამ, მეორეს მხრით, საკვირველიც არა უნდა იყოს-რა ამ დაუდგრომელი დედა-მიწის ზურგზედ. აქ პირ-და-პირ ეუბრუნდები მე ჩემს თავსა და ვაძლევ მას აგეთ კითხვას: როგორი ბოლო მომეღის მე-ლა? მე რაღას მიზამს ცხოვრება?

II

ონისიმე, გვართ ქართველაშილი, იყო ჩემი კარგი ძმა და მეგობარი. მან შეასრულა კურსი აქაურ სასულიერო სემინარიაში, სადაც სწავლობდა თვით თქვენი უმორჩილესი მონაც. ეს იყო იმ დროს, როცა სემინარიის კარებო ჯერეთ არ მოკეტილიყო. ამობენ, ეხლანდელი, ეს კარებ მოკეტილი, სემინარია გაცილებითა ჰსჯობია წინანდელს, ფარლალა სემინარიასაო. ღმერთმა ბრძანოს, რომ ეს მართალი იყოს!.. თუ ქვეყნიერება-

ზედ ჰსუფევს, მართლა, პროგრესიული კანონი, რომლის ძალითაც ყველაფერი უმჯობესობაში, სიკეთეში, წარმატებაში უნდა შედიოდეს, მაშ ჩვენმა სემინარიამ რაღა დააშავა? რატომ ის კი არ უნდა გაუმჯობესებულიყო?!... მაგრამ ბევრნი სულ სხვა ნაირათ ლაპარაკობენ მაზედა... ამობენ მოხდა გაუმჯობესობა მხოლოდ ეკონომიური მხრითა და რაც სწავლასა და ზნეობითს მხარეებს შეეხებოდა, ამაში თუ უკან არ წასულა, წინ ფეხი არ წაუდგამსო... მოჰყავთ მაგალითად წინანდელი სემინარიელები და ეხლანდელი დაწიკომაკობეული... მე დავიდარაბის თავი არა მაქვს... ჯერ ხანობით თვალსა და ყურს ვარიდებ იმას, რაც ხდება ამ ახალ სემინარიაში, სადაც ნება დაურთველად და უშიშრად არ ძალ-მიძს შესვლა, და დოსტოლორივ მივდივარ ისევ ჩემს დროინდელს სემინარიაში და თანაც მიმყვანან ყველანი, რომელთაც კი ჰსურსთ ონისიმეს გაცნობა.

ოთხი წელიწადი სრულდება ეხლა, რაც ონისიმე შევიდა ცხოვრებაში, სადაც, როგორც ისმის, ბევრი ჭუჭყი მოსცხობია მასა. სემინარიაში მყოფობის დროს კი იგი იყო მეტათ ნათელი და მიმზიდველი პირი. ამაში ყველანი, დარწმუნდებიან, როდესაც შეხედამენ ამ დროინდელს მის სურათს, რომლის დახატვაც მე გულითა მსურს, თუ კი მოვახერხებ როგორმე. ონისიმეზედ ლაპარაკის დროს, მე, რასაკვირველია, თვით ჩემს თავზედაც ბევრი რამის თქმა დამჭირდება. ეს იმისთვის, რომ ჩემი და მისი ცხოვრება, როგორც გულითადი მეგობრებისა, მჭიდროთ იყვნენ ერთმანეთთან შეკავშირებული. მაშასადამე ამ მოთხრობაში ორი პირი ვიქმნებით, რომელთაზედაც აღწერდება მრთელი საუბარი, ე. ი. მე და ონისიმე.

მე, როგორც მაცნევთ, ახლად ჩამოსული ვარ რუსეთიდან, უჭუჭყო, უჩირქო ახალგაზდა. ჩემი წადილი და მტკიცე გამზადებულებაა, რომ აგეთვე პირათ დაერჩე ბოლომდისინ. მე მინდა თქვენს წინაშე გამოსვლა სასაუბროთ ოთხის წლის შემდეგ კიდევ. მაშ დამიხსომეთ მე თქვენ ეხლა, კარგათ გაშინჯეთ ჩემი ეხლანდელი ზნეობითი სახიერება, რომ შეათანხმოთ შემდეგ იმ სახიერებასთან, რომელსაც მე მივიღებ ამ ოთხის წლის განმავლობაში. რა განძრახებით მწადიან მე აგეთი საქმე, — ეს არც თქვენთვის დარჩება შეუნიშნავი და გაუგებარი, თუ ბოლომდი ყურს აადვენებთ ჩემს საუბარსა. — გამიგონია, სხვაზედ გატაცებით შეუძლიან კაცს, რომ ილაპარაკოს, თავის-თავზედ კი მარილიანათაო. რამდენათ მართალი უნდა იყოს ან ერთი და ან მეორე — ამაზედ თვით თქვენი იქონიეთ მსჯელობა შემდეგ მოთხრობის გათავეებისა და ეხლა კი სმენა ჰათხოვეთ, რომ თავი აუღო თვით მოთხრობასა

III

პირველათ მე და ონისიმე ვსწავლობდით თბილისის სასწავლებელში, რომელიც იმ დროს სემინარიის დაბლავეტაჟაში იყო მოთავსებული. თუმცა ჩვენ ამ სასწავლებელში რვა წელიწადს ერთათ ვსწავლობდით, მაგრამ მეზუთე კლასამდი, რომელსაც ეხლა შეადგენენ პირველი და მეორე კლასები სემინარიისა, ჩვენ ერთმანეთის შინაურობის მდგომარეობაზედ არაფერი ვიცოდით. მე მხოლოდ

ლოდ ის ვიცოდი მახედ, რომ ის იყო კახეთიდან და საწყალი მღვდლის შვილი. იმან კიდე ის იცოდა ჩემზედა, რომ მე ვიყავ ქართლიდან და მამა არა მყვანდა. ის მე მჯობდა ბუნებითი საზრით, მე მას — სწავლაში მეცადინეობით. ის შეეგვირმანი იყო, პირ-ჩეჩუტა, შავ-თვალ-წარბა, ჩამჯდარი, მხარ-ბეჭიანი; მე — მოწითანო სახისა, ცხერის ფერ-თვალა, ტანათ მოსული. მე მარდი ვიყავ, ის მძიმე; ის ღონიერი, მე — ხერხიანი. მე ფიცხი ვიყავ, გულ-სწრაფი, დაუყენებელი, ის — დინჯი, მომთმენი. თუმცა ორის წლით ის ჩემზედ მოზდილი იყო და დამამტვრევდა კიდეც — ისეთი ღონისა; მაგრამ მე ის ერთხელ ისე გავშალე დედა-მიწაზედ, რომ მართლა და ლაზათიანათ. მუშტში კი მე მას ახლოც ვერ მივეკარებოდი. არამც თუ შინ, სემინარიაში, გარეთაც კი ეშინოდათ იმის მუშტისა. ონისიმეს სახელი, როგორც კარგი მოკრივისა, განთქმული იყო ანჩის-ხატის უბანში. ბევრს ახსოვს ეხლაც მისი მწარე სილა და უფრო მისი მკვახე მუშტი. შესანიშნავი უფრო ის იყო, რომ იგი არაოდეს არ დაჰკრამდა თავიზედ პატარასა. არც თავის ტოლთან გავიდოდა არაოდეს. უნდა უთუოთ თავიზედ დიდი ამოერჩია და იმისაკენ გაქანებულიყო. ბევრჯელ გამოგვიტანია ჩვენ ის კრივიდგან გაბერტყილი; მაგრამ ეს იმისათვის აინუნშიაც ჩასაგდებია არ იყო. მხოლოდ იმისი კი ეშინოდა, რომ კბილებიანი საცერული არავის გაერთყა მისთვის სახეში და „ნასახი“ არ დაემჩნია. მაგრამ ამასაც ვერ ასცილდებოდა ხოლმე და აი ეხლაც იმიტომ აქვს მას საჭსე სახე მაშინდელი ნიშნებითა.

ესრეთ, — ერთ კლასში მოეხდით მე და ონისიმე, მე — პირველი მოჭიდავე, ის — პირველი მოკრივე, ამხანაგობას ჩვენით თავი მოჰქონდა, მწვანე კიტრით, და სულ ზიზლითა ჰკლამდა იგი სხვა კლასელებსა. მეტადრე უფრო განთქმული გექონდა ჩვენ სახელი ყველიერში, როცა სემინარიის გალავანში ჭიდაობა იმართებოდა და ანჩის-ხატის უბანში კიდევ — გაძლიერებული კრივი. კრივი საღამოობით იწყებოდა, ჭიდაობას კი, საზოგადოთ, უფრო საღამოს შემდეგ გავმართამდით ხოლმე. ჩემი ფანდებისა ყველას ემინოდა და მიტომაც ჩემს ტოლებში კი არა, მოზღლილებშიაც — ძნელათ თუ გაბედამდა ვინმე ჩემთან გამოხვლას და ხელის ჩაკიდებას. მე იმ ერთ კვირის განმავლობაში სწორეთ გმირი ვიყავ დღისა, გმირი! როცა კი გავიხდიდი ფეხთა, ჩავიცვამდი მსახურის ჩოხას, გაღვიწი გაღმოვიწვედი ჭალტებს და ქამარში ჩავიმაგრებდი, მართლა რომ ფალავანსა ვგვანდი მე იმ დროს, სახელ განთქმულს ხიზამბარელს, და თვალითაც შემეჭამდნენ ხოლმე. მაგრამ თქვენ უფრო მაშინ უნდა გეყურებინათ ჩემთვის, როდესაც დამკლავებული მოვიდოდი შუა შეიდანხედ, შორიდგანვე ავეთამაშებოდნენ ჩემს მოწინააღმდეგეს, (კოპიტაშვილს), ავიღებდი მიწას, დავიფშენეტდი მით ხელებს, ერთი ორიოდრე ჯერ შემოურბენდი გარსა, მერე კვ გველისავეთ დავიკლაკნებოდი წელში, ვტაცებდი ხელს მაშინ, როცა არ მოელოდა და არც მიესცემდი. იმდენს დროს, რომ ეფიქრა — რას მიშვრება ეს კაცი, რა ფანდის გდება უნდაო, — წამოვიღებდი უცებ მხარხედ და ერთი წამის განმავლობაში ფეხებს მალლა ვაქნეინებდი. აბა მაშინ იყო ტაშის კვრა, ჭივილ-ხივილი, მალლა ბალკონი.

დგან ცალკე და დაბლა ზომ, აბა რასაკვირველია, მოშატებული.

— ჯაან, გიორგი! ჯაან ბიჭო! ბარაქალა! ბარაქალა! ყოჩაღ იმედაშვილო, ყოჩაღ! — ისმოდა კარგა ხანს ყოველ მხრიდგან და მე ამ დროს სულ ხელით დაეყვანდი და შალლა-მალლა მისროდნენ ხოლმე. — აგეთივე გმირი იყო ონისიმეც. როცა კი გადაიძრობდა სერთუკს, თავზედ ხელსახოც წაკრული, შევარდებოდა კრივში მუშტის მოსაქნევათ, მაშინვე დაიწყობდნენ ყვირილს—მოვიდა, ბიჭო, ონისიმე, მოვიდაო და გაიფანტებოდნენ კიდეცა.

თვით მე და ონისიმეს პირველ დროში ერთმანეთი არც გვიყვარდა და არცა გვძაგდა. მოწონებით კი ჩვენ ძრიელ მოგვწონდა ერთმანეთი და ყოველთვის თვალითაც ვზომამდობთ ერთი შეორეს თავით ფეხამდი, თითქო მოველოდით იმ დროს, როდესაც ჩვენ ერთმანეთი აუცილებლათ უნდა გამოგვეცადნა.

შოლოს აი დადგა ეს დროც. ჩვენ რალაცაზედ შევლაპარაკიანდით. საქმე იქამდი შივიდა, რომ უთუოთ უნდა ესცემოდით ერთმანეთს. ამხანაგობა გარს მოგვეხვია და სვირს უყურებდა.

„აბა, ბიჭო, გიორგი, ჰე, სტაცეთ, გადით რალა! და იძახეს აქეთ იქიდგან.“

სტაცოს, მე ვიცი, ბევრ რამეს გახდება? ონისიმეს ლუკმათ არ ეყოფა!... ისმოდა...

ჩამოვცათ, ადგილი მივციოთ, — დააყოლეს ზედ მათ-
კმ.

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ონისიმე თავის შესარცხვენათ არ დამეჭიდებოდა, რადგანაც თითონაც იცო-

და, რომ ჩემს ფანდებს ველზედ დიდ-ხანს ვერ გაუჩერდებოდა.

არ იყო რომ თითონაც იკრძნო ესა და სთქვა:

— ჭილილი რა ვაჟ-კაცობაა, ეშმაკური ფანდებით აკაცის გადაქცევა. აბა, თუ ბიჭია მუშტში გამოვიდეს, მუშტში!... მაგრამ დააყოლა აქ თითონვე, მაგისგან შეშინებულ კაცს ლეჩაქი უნდა დაეხუროს თავზედ და არა ქუდი. სთქვა ეს თუ არა, მაშინვე ზორბათ წამოვიდა ჩემსკენ, უნდოდა რომ წელში ჩაეჭიდნა ხელი და ძვალი და რბილი სულ თან მიეყოლებინა ერთმანეთისათვის. მე მას, ზასაკვირველია, ამის ნება არ მივე. ერთი კი ამოვდე მას ხელი ილიაში და მერე წამოვიდე ოჟურზედ; თვით მევე გადავწექ და, როგორც ზემოთაც გითხარით, ზურგი კარგა დავარტყმეინე მას დედა-მიწისთვის. ამაზედ მას გული მოუვიდა; წამოხტა საჩქაროთი და ზალაც ეწადა მოაფთრებულ გულზედ; მაგრამ ამ დროს მოგვეცვიდნენ ამხანაგები და პირზედ გვაკოცნიეს ერთმანეთისთვის.

თქვენ არ დაგიფიცამთ, იმდენი ღდე მე შეშმატოდეს, რამდენი ცხარე „როზგი“ ან მე და ან ონისიმეს მოგვხვედროდეს. რაზედ? მე სულ სიცელქეზედ. დაუყენებელი რამ ვიყავი, ბატონო, დაუყენებელი!... ერთმა ამხანაგმა ისე გულზე მომიყვანა ერთხელ, რომ აღარ დავინდე, მოვიგდე თეძოზედ და ტლაპოში გადავაგდე. ამაზედ თვალი შემასწრო ჩვენმა „ისპებტორმა“, ჯერეთ აქვე ჩამაჩოქა, იმ ლაფში, და მერე, როცა ჩამოვიდა, მიმაწვინა და, რაც სიგრძე მქონდა, ის სიპრტყე მომცა. თვით იმავე დღეს ონისიმესაც აგეთივე საქმე დაემართა. იმან კიდე შემოსდო ერთს თავისი, როგორც ვიტყოდით ხოლმე,

ხუთ ფუთიანი მუშტი და ყბა მალლა შეუყენა, თითქო წითელი ქარი ასტეხიაო. მე დამარტყეს იმ დღეს სამ-ოც-და-ათი, ონისიმეს — ოთხმოცი. როცა წამოვსდექ მე სიცილი დავიწყე, რადგანაც ისე ვიყავ გამოსული ცემაში, როგორც აღდგომის კახაჯი ბოლში, და ამისგამო თითქმის ველარც კი ვიგრძნე იმისი სიმწვავე.

რასაც ვამოხ, ეს ყველაფერი იყო სასწავლებლის მეოთხე კლასამდი. მეოთხე კლასში კი მეცა და, უფრო ონისიმეც საკვირვლად გამოვიცვალენით. მე ერთხელ უბელო კვიცზედ შევჯექ და ჭენება დაუწყე. კვიცი გაცხარებული დაეწვა ფერდოზედ. მე თავი ვერაფრით ვერ დაუჭირე; გადახტა თვით ერთ ღრატეში და მეც გადმომაგდო, ამასთან ისე საშინლათ დამფეხვა, რომ მაშინ ექვსი თვე მოვიავადე და ეხლაც ჯერეთ სრულებით არ მომცილებია მისი ნალი... მას შემდეგ მე ხელი ავიღე წრეს გადასული ცელქობიდან, მივანებე თავი. ონისიმემ კიდე ერთხელ მარჯვენა მკლავი ამოიმგდებინა კრივში, ამასთან ისეც მიამსხვრიეს მას მაშინ ცხვირ-პირი, რომ სამი კვირა ლაზარეთში იწვა და სირცხვილით ვერაფრის აჩვენებდა ხოლმე სახესა. ამის გამო მან ფიცი დასდო, რომ აღარ ეკრივა. მაგრამ ბოლოს ძრიელ ნანობდა ამ ფიცზედ, რადგანაც ტანში ააჭრჭოლებდა, ააკანკალებდა ხოლმე, როცა კი შემოვსმებოდა საიდგანზე კრივის ხმაურობა.

თუმცა ონისიმე დიდი ნიჭის პატრონი იყო და ჩვენზედ უკეთესათაც შეიძლო სწავლა, მაგრამ მეოთხე კლასამდი იგი მეტათ ზანტი რამ იყო და კოჭლობით ძლიერ მოგეხანხალებდა ჩვენ უკან: საზოგადოთ ქიზიყელ-კა-

ხელებს ჩვენს ღრწში ის სენი ჰსჭირდათ, რომ გვიან გამოიღვიძებდნენ ხოლმე. მაგრამ, როცა კი დადგებოდა მათთვის აგეთი დილა, როცა ხალისი სწავლისა გაეხსნებოდათ, გაუტკებოდათ წიგნის კითხვა, მაშინ მათ წინ ვერაფერს დაუდგებოდა და უთუოთ თავშიც უნდა მოქცეულიყვნენ. აგეთი ღრო ზოგისთვის ძრეელ გვიანა სდგებოდა, ზოგისთვის კი ადრე: ზოგნი ხელს გამოიღებდნენ ხოლმე მეექვსე კლასში (ეხლანდელს მესამესა და მეოთხეში) მეშვიდეშიც, ზოგნი კი მეხუთეში და სასწავლებლის ბოლო კლასებშიაც და ზოგნიც სრულებით არ გამოერჩეოდნენ ხოლმე ბოლომდისინ მამა-პაპურ — ტკბილ ძილიდან.

ონისიმეს სწავლაში ხელი გამოაღებინა ერთმა ახალგაზდა ქართველმა, რომელიც რუსეთიდან ჩამოვიდა, ავთომყოფობისა გამო კურსს შეუთავებელი, და ჩვენ მასწავლებლათ გახდა. ის გვასწავლიდა ჩვენ გეოგრაფიასა და არითმეტიკას, რაებიც უფრო გასაჭირი იყო იმ ღროს ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში საზოგადოთ და ჩვენში — მომატებულად. ამ ახალ-გაზდა მასწავლებელმა ის სიკეთე მოიღო ჩვენზედ, რომ გასაგებ ენაზედ დაგვიწყო ლაპარაკი. ხან ქართულათ გვიხსნიდა გაკვეთილებს, ხან რუსულათ და იმდენი ჰქნა, რომ თითქმის ყველას დაგვაწყობინა მეცადინეობა თავის საგნებში. თუმცა ამანაც კი იცოდა, ზოგიერთის მოსარჯულებლათ, როზგით ტყაპი-ტყუპი; მაგრამ ონისიმეს მოსაქცევათ მას არ დასჭირებია აგეთი ხერხი. ონისიმემ იმით მიიქცია და მიიზიდა თავისკენ განსაკუთრებითი ყურადღება ამ ახალ-გაზდა მასწავლებლისა, რომ თვის თხზულებაში ბევრი რამ იგეთი თვისი

საკუთარი მოფიქრებები ჩაერივა, რომელიც არც თვით მასწავლებელსა ჰქონდა ჩვენთვის ნათქვამი. ამით აღტაცებაში მოსულიყო მასწავლებელი, თუმცა ამასთან ეჭვშიაც შესულიყო, რომ მისი დაწერილი არ იქნება ესაო. როცა ჩამოიტანა თხუზულებები და დარიგების დროს გამოსცადა ონისიმე, მაშინ დარწმუნდა, რომ საკუთრად მისგან იყო დაწერილი და არა სხვისგან, როგორც ბევრნი შვრებოდნენ. მას შემდეგ ჩამოეკიდა ეს კაცი ონისიმეს და მანამდისაც არ ჩამოეხსნა, სანამ კარგა არ დააწინაურა. თხუზულება გვქონდა ამაზედ: „მზე, მთვარე და მათი მნიშვნელობა ადამიანისთვის“. ჩვენ უნდა დაგვეწერა ეს თხუზულება ქართულათ.

როცა სემინარიაში ფეხი გადავდგი, მე მესამე ვიყავ საზოგადო სიაში, ონისიმე კილდე მეორე. ხნით კი მე თვრამეტის წლისა ვიქმნებოდი იმ დროს, ხოლო ონისიმე ოცისა.

IV

პირველი დრო სემინარიაში, როცა ჩამოიკრიფებიან ყველა სასწავლებლებიდან შაგირდები, შესანიშნავი რამ დროა. ეხლანდელებისა რა მოგახსენოთ და მაშინ კი თბილისელები, გორელები, თელაველები, იმერლები შევადგენდით სულ სხვა-და-სხვა ჯურის ხალხსა. თამამად უფრო თბილისელები ვიქცეოდით, რადგანაც თვალი გვქონდა შეჩვეული სემინარიის კედლებისთვის და პროფესორებთანთვისაც. იმერლები უფრო უცხოობდნენ,

დიდ მორცხობას, მოხატრობას იჩენდნენ და ვერაფერსაც ვერ გაუბედადნენ ხოლმე პასუხათ იმ პირველ დროში, როდესაც ზოგიერთი მოძალდებული—უფრო გორელი—მათ „პრუწით“ არ ასვენებდა. შეეყურებდით კოქებში ერთი სასწავლებლის შეგირდები მეორისას და უფრო ამზერილი თვალებით ჩვენი ყოჩები, პირველი შეგირდები, გაიყურებოდნენ ერთმანეთისაკენ. მაგრამ ეს ყოჩები ხანდისხან დაბლა ცურდებოდნენ და მათ ადგილ სხვა იჭერდა. ეგრე მოხდა ჩვენშიაც. პირველს წელიწადს პირველობა დარჩა ონისიმეს.

შემდეგშიაც მას ვერაფერს წაართმევდა ამ ადგილს, რომ უბედურება არა სწევოდა და მამა არ მოჰკლომოდა, რომელიც მას გაგიჟებით უყვარდა.

ონისიმეს მამა, როგორც მოგახსენეთ, ღარიბი მღვდელი იყო. მე თვითონ ვნახე იგი ძველს დაკონკრებულს ანაფორაში, დაჭმუჭნილს და დაგლეჯილს შლიაპაში, როცა მან უკანასკნელათ ჩამოიყვანა თვისი ონისიმე თბილისში. მეტათ ღარიბი იყო ზაქარია მღვდელი; მაგრამ მასთან მზა იყო, რომის ტანისამოსიც გაეხადა, გაეყიდა, თუ კი იყიდდა ვინმე, და თავის შვილისათვის კი არა მოეკლო-რა, გულ-ნაკლებათ არაზედ დაენარჩუნებინა. მე ვარ მოწამე იმისა, როცა იგი გამოთხოვის დროს ეუბნებოდა თავის შვილს, ონისიმეს:

— შენ, შვილო, მხოლოდ ისწავლე და მე, თუნდ რომ ქალამნებშიაც ვიარო, მაინც არა მიშავს რა!—უთხრა ეს თუ არა—დაკოცნა და თან ორი მანეთის თეთრი ფული ჩაუღო მას ხელში ჯიბის ფულათ.

მეტი მისაზიდველი და საყვარელი კაცი იყო ეს ზა-

ქარია მღვდელი. შეხედამდა მას კაცი თუ არა, მაშინვე მიხვდებოდა, რომ მის გულში არავითარს ხინჯს, ბოროტებას არ შეუძლიან თავის შეფარებაო. მაგივრად, მის ბროწეულივით მოკლივარი და მეტათ მშვიდობიანი სახე, რომელსაც უცხოთ ამშვენებდა თეთრი წვერი, ამტკიცებდა, რომ იგი იყო მეტათ დიდი ცოდო-მადლიანი, კეთილი და ადამიანის მოსიყვარულე კაცი. მრევლის ხალხი, სადაც იგი მღვდლობდა, თურმე მღვთის კაცს ეძახოდა მასა და ეხლაც კურთხევით იხსენიებს მის სახელსა.

აგეთი საწყალი მღვდლის შვილი, როგორც ონისიმე, არ ვიცი რატომ, მიღებული არ იყო სახელმწიფო ხარჯზედ. ერთხელ მიეცა ზაქარია მღვდელს ქალაღი არქიელისთვის, ეთხოვა ნახევარ ხარჯზედ მაინც მიიღეთ ჩემი შვილიო. ამაზედ, გარდა უარისა, საყვედურიც დიდი გაეცხადებინათ მისთვის. მიეწერათ: „სირცხვილია შტატის მღვდლისათვის, რომ მხოლოდ ერთი შვილი ჰყვანდეს სწავლაში და იმის სახელმწიფო ხარჯზედ მიღებასაც სთხოულობდესო“. ის კი არავინ იცოდა, რომ სამრევლოდგან იმდენსაც ვერა რჩებოდა ეს მღვდელი, რომ თვისი შინაურობა ერჩინა როგორც რიგი იყო წლითი წლამდე და ხშირათ უნაფქვობისაგანაც შეწუხებული იყო...

ონისიმე, სწორეთ, ზეცას მოეწია, როდესაც გამოუცხადეს მას, მასთან სრულიად მოულოდნელათ, რომ შენ მიღებული ხარ სახელმწიფო ხარჯზედაო. აფრინა მან მაშინათვე წიგნი თავის მამასთან. სწერდა: „გენაცვალე, მამავ, გაიხარე, მე მიმიღეს სრულს ხარჯზედ. ეხლა შენ პატა თავისუფლათ შეგიძლიან ამოიხსნთქო. მე გროში, კაპეიკო

აღარ მინდა ამას იქით და ყველაფერი სულ სოფიოს მოახმარე“... სოფიო იყო ონისიმეს გასათხოვარი და.

ზაქარია მღვდელს არ დასცლოდა, რომ წაეკითხა სასიხარულო წერილი თავის შვილისა. ამ წიგნის მისვლამდე მას სული ჩაბარებული ჰქონოდა მღვთისათვის. როგორც შემდეგ მიახლო ონისიმემ, მეტი საგანგებო რამ ყოფილიყო მის მამის სიკვდილი. ორი კვირის წინათ, სიკვდილამდე, მას დაეარა მთელი ნათესაობა და ყველას გამომშვიდობიანებოდა. მერე, შაბათი ღღე ყოფილიყო, ეწირა და, ჩამოსულიყო წირვიდგან თუ არა, დაწოლილიყო და მეორე დღიამდე გათავებულიყო. თუჩრმე მასა სცოდნოდა, როცა უნდა მომკვდარიყო. ამიტომაც კაცი არ გაეგზავნინებინა ჰექიმის მოსაყენათ. მხოლოდ მიეხმო ეახშობის დროს ონისიმეს დედა, გაიანე, კარგა ხანი სჭირებოდა მისი ხელი თავის ხელში და ბოლოს ეთქვა:

— ჩემი აღსასრულის წამი მოვიდა, ჩემო გაიანე. ნუ ზაშინდები... მე ვკვდები ეხლა... აბა შენ იცი და შენმა დედა-კაცობამ... ვინძლო კარგათ უპატრონო შენს ობლებს. მაგათი შემწე და შენი მფარველიც ეხლა ზეციერი მამა იქნება... იმას უბარებთ მე თქვენა... ონისიმეზედ დარდი არა მიმდევს-რა მე თანა... ის უთუოთ თავის დროზედ კაცათ იქცევა... თავის დებსაც ის მოეპატრონება... შენ მხოლოდ ეცადე, რომ ჩემი სოფიო კურსოვნოც მისცე... ამის შემდეგ დაეკოცნა იგიც და შვილებიც. მერე კი დაეთხოვა ყველანი, დაეწერა პირჯვარი, ელოცა, დაეკრიფა ზითონვე გულს ხელი, გადაბრუნებულიყო კედლისაკენ და სული დაელია.

მამის სიკვდილს ჯერეთ არ ატყობინებდნენ ონისიმეს; მაგრამ იმისმა გულმა კი იგრძნო ეს ამბავი. მოწყენილი სახით გაემგზავრა იგი შინისკენ და სულ იმას ამბობდა, რომ ცუდი ამბავი მომეღის წინაო. თქვენს მტერს, რაც იმას საქმე დამართოდა, როგორი მეხიცი დასცემოდა თავზედ, როდესაც დაენახა თავისი დაობლებული სახლი, ფაღასებში მყოფი დედა... ატირებულიყო ცხარის ცრემლით და კარგახსოვამდინაც გული ვერ მოებრუნებინა. ძნელი იყო ონისიმესათვის იმ დროს მამის სიკვდილი, საყვარელი მამისა, ძნელი უფრო იმით, რომ ეხლანორჩ თავზედ უნდა დასწოლოდა მრთელი ოჯახის პატრონობა, წერილ-ფეხრბაზედ ზრუნვა. ზაქარია მღვდელს არა დაეტოვებინა რა თავის ცოლ-შვილისთვის, გარდა ერთი პატარა მამა-პაპეული ვენახისა და მართალი, ღეთისნიერი, ადამიანისთვის მკვდარი კაცის სახელისა...

ჩამოვიდა შინიღგან ონისიმე მეტათ წელ-მოწყვეტილი და დარდიანი. სადარდებელი ბევრი ჰქონდა, მაგრამ უფრო სოფიოს გათხოვება აწუხებდა, რომელიც იმ დროს ჩვიდმეტის წლისა იყო და ტანით კარგა დაზოვბა ევებულ დედა-კაცს ჰგვანდა. ნუგეშათ აქ ის ჰქონდა, რომ არქიელს სოფიოსთვის დაემტკიცებინა მამის ადგილი. მაშასადამე იმედი იყო, რომ მოინდომებდა ვინმე ამ ადგილზედ შესვლას და მასაც შეერთებდა. პირველათ აგეთ ამბავს სემინარიელებს გამოუცხადებდნენ ხოლმე და, თუ მათგანი არავინი ისურვებდა, შეიძლებოდა რომ დიარქიც ეკურთხებინათ, მხოლოდ ქერივის თხოვნით. მოვიდა სემინარიის სამმართველოში აგეთი მოწერილობა არქიელიღგან: ეკითხოს მეშვიდელებს, რომელნიც კურსს

ასრულებენ, „ვისა ჰსურს გარდაცვალებული მღვდლის ზაქარია ქართველაშვილის ადგილი, იმ პირობით რომ მისი ქალი სოფიო შეირთოს“. სამმართველომ ოფიციალური ოტნოშენით გამოუცხადა ეს ამბავი მეშვიდელებს. ჩამოატარეს ქალაქი, რომელზედაც თვითოეულს მათგანს უნდა საკუთარის ხელით დაეწერა—“ ჰსურს თუ არ ჰსურს“. ყველამ განაცხადა უარი. ამბობდნენ: — თუ თავის ძმისა აცხია რამა, კაი შეილიც კი იქნებაო!... მაგრამ ამაში ძალიან შემცდარნი იყვნენ. მართალია, სოფიო ბევრათ ჰგვანდა თავის ძმას, მეტადრე უფრო სახით; მაგრამ მაინც არ შეიძლებოდა მისი დაწუნება ულამაზობით, მით მომეტებულათ, რომ ქალის სილამაზეს არ შეადგენს მართო მის სახის სიყაყაჩოე. იმდენი სიცოცხლე თქვენ მოგეცესთ და მე დღე-გრძელობა, რამდენი სახით მშვენიერი იყო, მაგრამ უმადლო, მიუზიდველი!... სოფიო არ იყო, მართალია, ისე გასაგიჟებლათ ლამაზი სახისა, მაგრამ მისი მიხრა-მოხრა, ლაპარაკი და ის სულის თვისებები, რომელნიც მას მამისგან ჰქონდა გადმოცემული და ზედ სახიერებაზედ ეწერნენ, მისი ძვირ-ფასი, მუშა, დაუყენებელი ხელი, იტაცებდნენ თავისკენ პირველ შეხვედრაშივე ადამიანს სულსა და გულსა. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ მათთვის იოქაცნობი და გასაგები, რომელთაც კი ჰყვანდათ იგი ნანახი. ჩვენს სემინარიელებს კი არამც თუ ნანახი არა ჰყოლოდათ, გაგონებითაც კი არა გაეგონათ-რა მაზედა...

ძრიელ ეწყინა ონისიმეს, რომ დარჩა და გასათხოვარი, რაზედაც დიდი საყვედური მოუვიდა დედისგან. დედა სწერდა: „შენ არა სცდილხარ, თორემ მაგო-

დენა ხალხში როგორ ვერ იშოვნედი საქმოს სოფიოსთვისაო“. გაიანე მშობიარობაზედ დასწრელებულიყო და ხასიათიც გაჰფუჭებოდა ამის გამო, თორემ წინეთ თურმე დედა-კაცი არ ჰსჯობდა მას ხასიათით. იგეც აღარ მოელოდა თურმე თავის თავის დიდხანს სიცოცხლეს, მეტადრე უფრო ქმრის სიკვდილის შემდეგ და სული უწყუბდა, რომ სიცოცხლითვე მალე ეშოვა ვინმე სოფიოსთვის და ჩაებარებინა მისთვის თავის სულათ თვისი დანარჩენი ობლებიცა. ონისიმეს საქმე საძაგელ მდგომარეობაში ჩაეარდა... არ იცოდა რა ექმნა, ვის მისდგომოდა, ვისთვის ეთქვა: შენი ჭირიმე, ჩემი და შენ შეირთე და, ღმერთს ვფიცავ, ბედნიერი კაცი იქმნებო. კაცი სირცხვილით იწებოდა, გარეთ ბალკონზედ თავს ველარა ჰყოფდა, რომ ჩემი და გასასყიდ ცხენსავით ჩამოატარესო და იძახდნენ: ვის გინდა, ვისაო და დედა კიდე აგეთ სამდურავსა სწერდა, რომ შენ არ მოგინდომებია. სოფიოს გათხოვება, თორემ საქმოს უთუოთ იშოვნედიო....

აი ამ დროს იყო, რომ ონისიმემ უკლო მეცადინეობასა და სწავლას. უკლო უფრო იმის გამო, რომ მწერლათ შევიდა სემინარიის სამმართველოში. ჩვენ დროს, მწერლებიც და ფერწლებიც სემინარიაში თვით სემინარიელები იყვნენ ხოლმე, რომელნიც აგეთი თანამდებობისთვის ჯამაგირს იღებდნენ და საკუთრათაც სცხოვრებდნენ. ონისიმეს მწერლათ შესვლა არ უამა იმ მასწავლებელს, რომელმაც მას პირველათ გამოაღებინი ხელი სწავლაში და რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მწერლობაში იგი გაფუჭდებოდა, გაზარმაცდებოდა და წინანდლებრ უკან ჩამორჩებოდა თავის ამხანაგებს. ბევრი

უჩიხა, უნდოდა უარი ეთქმევინებინა და თავი გაენებებინა კანცელარიისათვის; მაგრამ, რომ ვერა გააწყო რა, ვერა და ვერ დაიყოლია, ადგა და ქვა შეაგდო. ამ გვარ შემთხვევაში მეტი კერპი, გაუგონარი რამ იყო ონისიმე. სიტყვის გატეხა მას უღიდეს ცოდვით მიიჩნდა. როცა მწერლათ შედიოდა, მას თვისი მოსაზრება, თვის საფუძველი ჰქონდა

— კაცო, მე ხომ აკადემიაში წასვლა არ მომიხდება, რომ თავში დგომა—პირველობა დაეფასო რამეთ, მითხრა ერთხელ იმან.—წინ მეღის მე ანაფორის გადაცმა და სოფლის მღვდლობა. მღვდელს კიდე, შენც უნდა კარგათ იცოდე, ისე არა გამოადგებარა, როგორც ამ კანცელარიულ საქმეებში დახელოვნება. საგნების კბილვა და აქ პირველ შაგირდობა კი მე პურს ვერ მაჭმევს; მაგრამ ამ საქმეების შესწავლა კი მე ბევრათ გამომადგება და იქნება ბლალოჩინობაც ჩამიგდოს ხელში.

იმ დროს, მართლა, ონისიმე დაჯერებული იყო, რომ უთუოთ ბლალოჩინი ექმნებოდა. მე თვითონ შინახამს რამდენიმე გაფუჭებული ქალაღდი, რომელზედაც იყო ჩამწკრივებული ხან რუსულათ და ხან ქართულათ, შასთან დაკლაკნილი კუღით, შემდეგი: „ბლალოჩინი მღვდელი ონისიმე ქართველაშვილი“.—გარდა ბლალოჩინობისა, ონისიმეს იტაცებდენ კანცელარიასკენ ის ფულები, რომლებიც ეძლეოდათ მწერლებს ჯამაგირათ.

მე თვეში ხუთი მანეთი მექმნება, მეუბნებოდა ისა; ეს ფულები დიდი რამ იქმნება ჩემთვის და ჩემი შინაუურებისთვის. წელიწადში მომივა ექვსი თუმანი. აქედგან რომ ერთ თუმნამდე მე შამომეხარჯოს რაზედმე, დანა-

რჩენი ხუთი თუმნით, სხვა არა იყოს. რა, სოფიოს მანც ვუყიდი რამეს და პატარა დებსაც გამოუცელი ძონძებსა. წლის დამღევს, მართლა, მან უყიდა სოფიოს ერთი ვე-რცხლის სამზითო ბაღია, რომელშიაც ხუთმეტი მანეთი მისცა, უყიდა საკაბეები, წამოსასხმელი და დანარჩენი კიდე ფულათ გაუგზავნა დედასა.

V

დარდა და მწუხარებას საშინელი მოკაცვა სკოლ-ნია ადამიანისა. კარგია, ვისაც შეუძლია რუსთაველის რჩევაზედ, გავლა:

„ჭირსა შინა გამაკრება ისე უნდა ვით ქვიტკირსაო“, — მაგრამ ეს ყველასათვის შესაძლო არ არის. ონისი-მესაც შეეტყო წელში მოხრა: კაცი საშინლათ გახმა, ჩამოკნავედა. მის გულში მართო ერთი ცეცხლი არა ტბი-ალებდა. მას სცხვენოდა იმისი, რომ აწყენინა საყვარელ მასწავლებელს და იმის რჩევაზედ არ გაიარა. ეხლა ის მასწავლებელი ზედაც აღარ უყურებდა ონისიმეს და დაღუპულათ სთელიდა მასა. სცხვენოდა იმისიც, რომ უმიზეზოთ თავი გაენებებინა ალებული თაჯამდებობის-თვის, რომელიც მას თვეში ხუთს მანეთს აძლევდა. უფ-რო თავის დედის უსაფუძვლო საყვედური ბოლოს უღებ-და მას.

როცა გაგრცვლებულიყო ხმა, რომ სემინარიელებმა უა-რი განაცხადეს სოფიოს შერთვაზედაო, მაშინ დაეწყოთ სოფ-ლის დიაროქებს აქედ-იქიდგან კაცის მიგზავნა გაიანესთვის.

გაეცხადებინათ, რომ, თუ ჩვენზედ მისცემთ არქიელს ქალღალდასა და ჩვენთვის მოაცემინებთ მღვდლობას, რაზედაც ბლალაჩინი თავის მხრით შემწეობას გვპირდება, —სოფიოსაც შევირთამთ და შენც შენის ობლებით სემინარიელზედ გაცილებით უკეთესათ შეგინახამთო. ეს საქმე იმ დროს ადგილი მოსახერხებელი და შესაძლო იყო. ამიტომ გაიანეს გადაეწყვიტა ერთ იმათგანისთვის სოფიოს მიცემა. ასე ეთქვა: „ვაი თუ სემინარიელიც ვეღარავინ ვიშოვოთ და ამათგანაც ცარიელი დავრჩეო... ამასთან იგი ძრიელ შეწუხებული ყოფილიყო თან სიღარიბისაგან და თანაც ტიტია მღვდლის მუქარებისაგან.

ტიტია მღვდელი იყო დროებით გამწესებული სოფიოს მამის ადგილზედ. მასთან იმ პირობითაც ჰქონდა ამ მღვდელს მიბარებული ეს მრევლი, რომ სოფიოს გათხოვებამდის მესამედი ნაწილი შემოსავლიდგან უნდა ეძლიევა ქვრივ-ობოლთათვის; მაგრამ ამ მღვდელს ყურადღება არ მიექცევა არც პირობისთვის და არც გაიანეს ობლების. შეწუხებულ მდგომარეობისთვის. ამას ვინა ჩივის, თურმე შეეშინებინა კიდევ საცოდავი გაიანე. გავერცელებინა ხმა, რომ მე ამ ადგილიდგან ფეხს ვერავინ მომაცვლეინებსო, მე საბოლოოთა ვარ აქ განწესებულიო. ამასთან ერთი ისეთი ჭორი გამოეცყვრინა, ისეთი ცილი შეეწამა ონისიმესთვის, რომ, მართლა და, გასაოცარი. ონისიმემ მე შემოსილი მღვდელი გამლანძლო... და ამას უთუოთ არქიელს შევატყობინებ და გამოვაგდებინებ სემინარიიდგანო, თუ რომ მისი დედა არ მოვა ჩემთან, ფეხებს არ დამიკოცნის, არ შამეხვეწება, რომ ვაპატიო მას აგეთი საქმე და მასთან არ აჩქარება, რომ ლევანას მის-

ცეს თავის სოფიოო. ლევანი იყო ტიტია მღვდელის მახლობელი ნათესავი, ერთი გარყენილი და საძაგელი მელუქნე.

აი რას აეჩქარებინა უფრო გაიანე და მოეწერინებინა აგეთი ბარათი: ალბათ, შეილო, ღვთის ნება არ იყო, რომ მამი-შენის ანდერძი აღსრულებულიყო. რახან სემინარიელი ვერავინ იშოვევ, ის მაინცა ქენი, რომ თხოვნა მართვი არქიელს და ეს ვანკა დიაჩოქი მღვდლათ აკურთხებინე. ვინძლო ააჩქარო საქმე, ეგზამენიაშიაც უშველო და მალე დააბრუნო, რომ ღმარხვებამდი ეგებ ჯვარი დაიწეროს. თორემ საქმეს ისე ვამცნევ, რომ მრევლსაც წაგვართმევს ე ტიტია მღვდელი და ქალიც დაშრჩება გასათხოვარი. ხომ იცი, ამ მღვდელს შემწე დიდი არხიმანდრიტი ჰყავს მანდა და, რასაც მოიმდომებს, იმას აღასრულებს. სოფიოსთვის კიდე ოქროები არ დაუნარჩუნებია მამა-შენსა, რომ იმით გაეთხოვოთ.

ამ წერილის წაკითხვა და თავზედ მეხის დაცემა ერთი იყო ონისიმესთვის. კაცი უცებ გაშრა, ხმა ველარ ამოიღო, ფათალოს ფერი დაეკრა სახეზედ. ერთი ეს კი მოახერხა, რომ შეხედა სახეზედ ვანკა დიაჩოქს, რომელმაც ბარათი მოუტანა და წინ ედგა გამოქიმული, მერე კი მოიბრუნა უცებ პირი, ხელი დაიფარა თვალეზზედ, შევიდა ოთახში, წაეგლო პირქვე და ეახშობამდი თავი მალლა აღარ აულია. რა ცეცხლი და ჯოჯოხეთი ტრიალებდა იმ დროს მის გულში—ეს გასაგები იქნება მხოლოდ მისთვის, ვისაც ერთხელ მაინც თვის სიცოცხლეში დასდგომია აგეთი წამი... იქნება სულაც ისე ვდებულიყო მეორე დღემრდის, რომ მე არ შევსულიყავ, არ გამომე-

ყვანა გარეთ ბალკონზედ და არ შამერცხვინა აგეთ სულ-
მოკლეობისთვის. ის ყურს თითქო არც კი აქცევდა ჩემს
ლაპარაკს, რადგანაც თითონაც იცოდა, რომ მე ძალ-
დატანებით ვეუბნებოდი მას აგეთ სიტყვებს. ბოლოს,
როცა მივეყუდენით მოაჯირს და პირი მთაწმიდისაკენ
მივაქციეთ, რომელიც იმ დროს მშვენივრად იყო განა-
თებული ბაღრი მთვარით, მან მომაქცია საცოდაობით
სავსე თვალები და ვაგებით გატენილი ხმით მითხრა:

— ნუ თუ, გიორგი, ეს გადაყრუებული, აკლდამა დი-
აჩოქი უნდა გახდეს ჩემს სიძეთ? ნუ თუ ამის ხელში უნ-
და ჩავარდეს ჩემი საყვარელი და სოფიო? ნუ თუ მამა-
ჩემის ანდერძი, მისი გულითადი სურვილი, უნდა დარ-
ჩეს აუსრულებლად? ნუ თუ იმის ღირსი არ იყო, მამა-
ჩემი, რომ მე თავი მოვიკლა და აღუსრულო მას უკანა-
სკნელი... აქ საწყალმა ისეთი ამოიკენესა, რომ კინალამ
თან გული არ ამოაყოლა. ამის მეტი არა უთქვამს რა,
მხოლოდ შემეხვეწა, თავი დამანებე წავალ ისევ ჩემთვის-
საო..

აგეთი მდგომარეობა ონისიმესი ჩემთვისაც ძრიელ
შესაწუხებელი ვახდა. იმ ღამეს მე თითქმის გათენებამდი
არ დამძინებია. სულ იმას ვფიქრობდი, თუ როგორ მე-
შველნა მისთვის. მეშვიდელებში არავინა მყვანდა ნათე-
სავი, ერთი ბიძაშვილის მეტი, თორემ იმდენს გადავეცი-
დებოდი, რომ სოფიოს ვათხოვნივდი. ჩემი ბიძა-შვილი
კიდევ საუნთქისიტეტოთ ემზადებოდა და აბა როგორ ვეტ-
ყოდი მას რასმესა. ვერც იმ ჰაზრს შეურიგდი, რომ მე-
ამბნა მისთვის ონისიმეს მდგომარეობა, მეთხოვნა ამ
საქმეში მონაწილეობის მიღება და გამებედვინებინა ის,

რომ ეთქვა მას რომელსამე თვის ამხანაგისთვის სოფიოს შერთვა. ნიკო ძრიელ თავ-მოყვარე კაცი იყო და თავის დღეში არ იზამდა, რომ ამისთანა საქმეში ხელი გაერია, გადავწყვიტე, რომ ისევ მე მეთქვა რომლისათვისმე ეს ამბავი და დამეყოლიებინა ონისიმეს სიძეობაზედ. ესე უფრო შესაძლებელი იყო. აი როგორ ჩემი ბიძაშვილი, ნიკო, ფერშლათ იყო სემინარიის საავათმყოფოში. იმასთან ხშირათ იკრიფებოდნენ მისი ამხანაგები და, რადგანაც მეც ყოველთვის იქ ვიყავ, გავიცან ყველანი და ისე თავისუფლათაც ველაპარაკებოდი ყველას, როგორც ჩემს ამხანაგებს. ნიკო სადილოდ უკინ სხვაგან წავიდა. მას გაჰყვა უკან მისი თანაშემწეც, რომელიც მეექვსე კლასელი იყო. დავრჩი ოთახში მარტო მე. თანჯრები გაღებული იყო, მე იარმუკისკენ მქონდა პირი და წიგნსა ვკითხულობდი. ამ დროს გაიღო კარები და მეორე ოთახიდგან გამოვიდა ჩემი ბიძაშვილის ამხანაგი, რომელიც ხშირათ ავათმყოფობდა და იშვიათაც შორდებოდა ლაზარეთსა. დაჯდა ჩემთან და დაიწყო მასხარაობა. შევეყვით ლაპარაკს ისე, რომ მე პირდაპირ ვუთხარ:

— ასე სთქვა, კაცო, შენზედ ნიკომ, რომ, მანამ ის ცოლს არ შეირთამს, ვერ გამოჩნება თავის ჭირკოდილობასაო. ჰა, რას აპირობ! აი კურსსაც ხომ ასრულებ და არავინა გყავს შეთვალთვლებული?

— ჯერეთ არავინ, მომიგო მანაც ლიმილით.

— მე რომ გასწავლო ერთი ასლი საშენო, ქალი, რაჲ მომცემ.

— ქორწილში დაგპატიეებ და, თუ გინდა, მეჯვარეთაც შენ წაგიყვან. მეტი რაღა გინდა?

— თუ სიტყვას მომცემ, რომ არ შემარცხვენ და შეირთამ, ვიზელაც მე გეუბნები, ხომ გეტყვი, თუ არა და ტყუილათ ნუ მათქმევინებ.

— შე კაი კაცო, სხვას ვის უყიდნია ზღვაში თევზი, რომ მე ჩავიდინო მაგისტანა ბედოვლათობა და სიტუტუცე. ჯერეთ მაჩვენე — ვინა გყავს ჩემთვის შემზადებული, ან დამისახელე ვინ არის, იქნება ისეც ვიცნობდე — და მერე მე გეტყვი ჩემს პასუხს.

— მაშ ეგრე იყოს, გეტყვი! არ დაგიმალამ, იქმნება შენ იმ ქალის სახის მშვენიერებამ არ გაგაგიჟოს, — მაგრამ ან კი რაში აქნევ ქალის სილამაზეს, თუ კი სხვაფრივ იგი უმსგავსო იქმნება. ვისაც მე გიჩვენე, ის ქალი შესანიშნავი რამ ქალია მხნეობითაც, მოსიყვარულე გულითაც... ის იქმნება შენთვის ჩინებული ცოლი, დაუფასებელი მომეღელი შეიღებისა, ძვირფასი პატრონი ოჯახისა. მეტი რა გინდა?....

— ვინ არის? თქვი!...

— ვინ არის და ჩემი ამხანაგის ონისიმე ქართველიშვილის და... ესთქვი ეს თუ არა მაშინვე სირცხვილის აღმა ამკრა სახეზედ. ახლა კი შემრცვა, გავეწითლდი და თვალები დაბლა დაესხი. იმან კი მამაცათ წელი შალა აიღო, გადაებჯინა სკამს და გრეხა. დაუწყო პატარა უღვაშებს. ემცნეოდა, რომ თითონაც იცოდა რამ სოფიოზედ.

— აი ისა, სთქვა მან ცოტა ხანს შემდეგ და მასთან მასხრული კილოთიც, შარშან ლატარიაში რომ ჩააგდეს და ყველაზედ ფუჭი ამოუვიდა?!... სთქვა და თანაც გაღიხარხარა.

მე ეს ძალიან მეწყინა... უფრო ავენთე, და მკვახეთ ვუთხარ:

— მასხრობას თავი გაანებე! განა იმისათვის გითხარი, რომ შენ საცინრათ გაგეხადა? ან კი სირცხვილი არ იქმნება შენის მხრით, რომ ობოლი, უპატრონო ქალი მასხარათ აიგდო!... ვუთხარ მე ეს შუბლ შექმუხვნით და წამოვდექ ადგილიდგან კბილებ ძაგდავით. მან შემამცნია ესა და დაყვავებით მითხრა:

— იმერელი ხომ არ ხარ, ძმაოჯან, რომ მაგრე მალე შეჭვართხალდი და შეჭხტი მალლა ცერცვივით. უნდა იცოდე, რომ „ცოლსა დიდი ცომი უნდა ასი ლიტრა საფანელიო“. ასე გვეუბნება ჩვენ ჩვენი ანდაზა. ცოლის მომძებნელმა კიდე მოუფიქრებლათ და გაუზომავათ საქმე არ უნდა დაიჭიროს.

აგეთმა პასუხმა სრულებით ფეხები გამომაცალა. მე უფრო გავსწითლდი კიბოსავით, ოფლი დამასქდა შუბლზედ და ველარა მოვახერხე რა პასუხათ. მაგრამ, როცა გადიოდა, მაშინ კი კალთა დაუჭირე და ვუთხარ:

— მითხარ შენი გარდაწყვეტილი სიტყვა — ჰო, თუ არა?...

— ძალიან გულ სწრაფი კაცი ყოფილხარ, მომიგო მან განცვიფრებით, დამაცა, შე კაი კაცო, ცოტა მაინც მოვიფიქრო და ისე გეტყვი.

— ხვალამდი ხომ მოიფიქრებ? ხვალ ხომ მაინც მეტყვი?!

— რა გაეწყობა, გეტყვი, მომიგო მან სიცილით და ისე შეიკეტა კარები.

არ ვიცი ონისიმეს საცოდაობამ ჰქვანა, თუ მის მამის წინ წაძლოლილმა კეთილმა საქმემ, მხოლოდ მე კი მართო ჩემს ლოცვას და ღეთისადამი ვედრებას ვერ მივაწერიმას, რომ მეორე დღეს გახარებული სახით შაველ ონისიმესთან და გამოუცხადე სოფიოს ბედის წაღმა გადმოტრიალება; მას არა სჯეროდა; მაგრამ როცა პირის-პირ შევახვედრე სიძე და ცოლის ძმა, ვალაპარაკე ერთმანეთთან, მაშინ კი გაუცოცხლდა სახე და თავისუფლათაუ ამოიღო გულიდგან ჰაერი. მართლად კი მის გულს მანამდი არ გაუხარია, სანამ ჯვარის წერა არ გათავებულიყო.

მის. ასათიანი

(გაგრძელება იქნება)

დ რ მ ე ბ ა .

ოხ, დროებაო, უღალავათ ქვეყნათ მავალო!
როდემდის უნდა დაუდგრომლათ შენ იტრიალო,
როდემდის უნდა ქვეყნის ბედი ათას ფრად სცვალო,—
ერთხელ კარგ საქმეს დენა შენი არ ანაცვალო?

* * *

როდემდის უნდა შენს დენაში ზოგი ციკვამდეს,
ზოგი კი ჯაერთ, ნაღვლით საესე მწარეთ კენესოდეს;
ზოგსა ჩანგური ხელთ ეპყრას, ლექსს დასძახოდეს,
ზოგს მიწის თხრაში ქარხის ქნევით წელი სწყდებოდეს?!

* * *

აბა ხელ-ახლათ მოიარე, რაც რომ ნარე
და დააკვირდი, მაგ ტანტალით რა მოიტანე?
კარგა გაჩხრიკე, მოდი მერე და მომიტანე
ამბავი, თუ რამ სარგებლობა კაცს მოუტანე!..

დ. რ. მ. ე. ბ. ა.

(კვანთმეცნიერ)

10/29

* * *

(რუსულიდან)

ღმერთო, რა არის ჩენი სიცოცხლე!
სულ მუდამ ესწვალობთ და ვიტანჯებით,
ამდენი შრომა და ეს სისაწყლე
არც კი გვაძინებს ჩვენ მოსვენებით.

ბევრჯელ უფიქრლათ ესწვები საწოლში,
მაგრამ სად არის ის ტკბილი ძილი!
წარმომიდგება მყისვე სიზმარში
ჩემი მამული, ჩემი მშობელი.

ვერც კი ვსცნობ მე მას, ფერ მიხდილია,
ნუ თუ ეს ჩემი ის მშობელია?!
ნეტა თუ ასე რას დაუსჯია?
თითქო მხნეც არი, უძლოურიც კია!

სრულ აღარ მოჩანს იმის სახეში
სატკბო შევენება უწინდებული,
ყველა შეატყობს, რომ იმის გულში
რალაც სენია ჩალვენთებული.

საბრალოს ვხედავ მუდამ მობურულს
და ველარ ვკადრებ მას ველარასა,

მაგრამ შით იმედს აძლევს თავის გულს —
 „ბედსა ველიო“, მორთებს მღერასა.

ჰე, ღმერთო ჩემო! გველრი მაჩვენო
 მე ცხადათ იგი ჩემი მშობელი —
 ღიმილით მითხრას: „აწ ვაზღვეენო“,
 „ვინც დღემდის იყო ჩემი მწვრთობელი!“

ს. ნასიძე.

ჩემი აღსარება.

რადგანაც მსურს სალიტერატურო ასპარეზზედ გამოსვლა, ამისათვის მე განვიზრახე პირველად ყოვლისა მოგახსენოთ ჩემი აღსარება, როგორათაც უმაწილი კაცისა.

მე შევასრულე სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში პირველ შაგირდათ. იმედი მაქვს ბოლოს დაინახავთ, თუ რაში მდგომარეობდა ჩემი პირველობა. რა კი მივიღე მოწმობა სწავლის შესრულებისა, ჩემი თავი იმდენათ განათლებულად მიმაჩნდა, რომ საჭიროდ არ შევკაცხე უმაღლეს სასწავლებელში წასვლა. პირველი ადგილი თანამდებობისა, რომელიც სადმე გამოჩნდებოდა, ჩემი მეგონა და საშინლად მსურველი ვიყავი ცოლი შამერთო. ხშირად ვფიქრობდი ამ გვარად: „ღმერთს ვფიცავ ბედნიერი ვარ! სწავლა მიმიღია, თვალათ—ტანათ მშვენიერი ვარ. წავალ დედ-მამასთან (ჩემი დედ-მამა სცხოვრებდნენ შავი ზღვის პირათ, სოხუმის ქალაქში), მომცემენ ალაგსა, შევირთავ ცოლსა, დაეჯდები თბილ ოთახში და მივსცემ თავს სიამოვნებას და განსვენებას!“ მართლაც, გიახელით დედ-მამასთან და პირველი ჩემი ნატვრა მალე შემისრულეს, ესე იგი, ვითარცა ნასწავლსა კაცსა, მამცეს ერთი ოთახი და-

საცველად ჩემის ღრმა მეცნიერებისა. მინდოდა კი ჩამომეგდო ლაპარაკი. ცოლის თაობაზედ, მაგრამ როგორღაც ვერ ვახერხებდი. მე მეგონა რომ გასათხოვარი ქალები, რა კი შეიტყობენ ჩემს „მოზრძანებას“, იმ წამსვე გამოცხადდებიან ჩემთან და თითონ სიყვარულს გამომიცხადებენ. გადის ერთი თვე, ორი, სამი და საშინლათ გაკვირვებული ვარ, რომ არც ერთი ყმაწვილი ქალი არ მოდის ჩემთან. ერთი უცხო პატიოსანი დედა-კაცი მოვიდა ერთხელ ჩვენსა და, ჩემის ვინაობის გაგების შემდეგ, წარმოასტქვა: „ძიელ სასიამოვნოა, ყმაწვილო თქვენი გაცნობა; გეტყობათ, რომ კარგი დამსკი კავალერი უნდა იყვეთ“! ვაიმე, ამ სიტყვებმა ტვინი ამირიეს! მეგონა დედა-მიწა დაინძრა და არ ვიცოდი სად წაესულ-ვიყავი. მართალია, გიმნაზია შესრულებული ქონდა, მაგრამ არ ვიცოდი, რა იყო „დამსკი კავალერი“ და ეს სიტყვები რამე უშვერი და განსაკიცხავი სიტყვები მეგონა. იმ დღეს სადილს არ გხლებივართ და მრთელი დღე გარეთ არ გამოვსულვარ. მიდის დროება და უმეტეს განკვირებაში ვარ, რომ ქალაქის წარჩინებული პირები არ მოდიან ჩემთან და არ მთხოვენ რამე დიდი ალაგის მიღებასა. რა ექნა, არ ვიცი, ხშირად დავსცქერი ჩემს მოწმობას, მაგრამ ვერა-რა მოვიგონე. ბოლოს მამას ვეუბნები, რომ იმან სადმე თანამდებობის ალაგი გამომიჩინოს. მამას ღიმილი მოუვიდა, მაგრამ არა მითხრა-რა და სადღაც წავიდა. საღამო ჟამს დაბრუნდა მამა და მეუბნება, რომ მე უნდა ესთხოვო ერთს წარჩინებულს პირთაგანს ალაგის თაეობაზედ, ამ სიტყვებმა უმეტეს გამაბრაზიანეს. „როგორ-თუ ვითხოვო ადგილი“? ავდექ, ჩავიცვი რიკიანათ, გამოველ სახლიდგან და დავიწყე უწ-

ყალოდ ქუჩების ტკებნა იმ აზრით, რომ ეგებ ვინმემ მომაქციოს ყურადღება მეთქი, მაგრამ, ნუ გაგიწყრეთ ღმერთი, არც კი ვინმემ შემნიშნა. დაღონებული შაველი იმ კანცელარიაში, სადაც უნდა მეთხოვნა ალაგი. მე მეგონა, თუ ყველანი—აფიცრები, ჩინოვნიკები და მწერალები წამოდგებოდნენ თავიანთ ალაგებიდგან და დიდის მორიდებით შესაბამს პატივს მამცემდნენ, მაგრამ ჩემი მისვლა არავისთვის განსაცვიფრებელი არ შეიქმნა. კანცელარიის მმართველმა მომცა წინადადება, რომ მიმელო უბრალო მწერალის ალაგი. ამ წინადადებამ ჩემი გული სულ დააღონა და მოწყურულა. „როგორ-თუ მწერალობა?! როგორ-თუ ამ ნაირი უბრალო ალაგი?! აი ამ ნაირი კითხვებით იყო ჩემი თავი აღესილი, მაგრამ ფუჭი იყვნენ ეს კითხვები. მაშინ კი ვსთქვი: „ვაი მე დედა, ვაი მე დედა, აბა რათ არ წაველი უნივერსიტეტში“? სანუგეშოდ ჩემდა, იმ დროსვე გამოჩნდა სეკრეტრის ადგილი ერთს სასამართლოში და, როგორც იყო, დიდის თხოვნით და საშუალობით მამცეს ეს ალაგი. ჩემდა საუბედუროდ, ერთმა მთხოვნელმა მისცა თხოვნა იმ სასამართლოს ნაჩაღნიკს, სადაც მე ვახლდით, რომ მთხოვნელს მიეცეს ბილეთი სხვა-და-სხვა მაზრებში წასასვლელად. ნაჩაღნიკმა მე მიბძანა ბილეთის დაწერა. ამ ბრძანებამ საშინლად განმაცვიფრა, „როგორ-თუ უბრალო ბილეთს მაწერინებენ“?! აბა, რა უნდა მექმნა, ბრძანებას ვერ ვეწინააღმდეგებოდი, რადგანაც მეშინოდა რომ ისევ მწერალობის ადგილი არ მამცენ მეთქი, და დავიწყე ბილეთის წერა. ვაი იმ დაწყებას. მე მგონია, რომ ბილეთისათვის საჭიროა ყოველივე ის თვისებები, რომლებსაც ითხოვენ

სალიტერატურო თხზულებები. მინდა გაურიო ამ ბილეთში პუშკინის, გოგოლის ან რუსთაველის ამბავი, მაგრამ, აბა, მიბრძანეთ, თქვენი ჭირიმე, რათ უნდოდა უბრალო ბილეთს რუსთაველი ან შეკსპირი? ოთხი თაბახი ქალაქი გავაფუჭე და ოთხჯერ ცივ-ცივ ოფლში თავიდან ფეხამდინ გავიწურე. ალბათ ჩემი სახე ძიელ შეწუხებული იყო, რომ ერთი უბრალო მწერალთაგანი მომეარდა და მკითხა: „თქვენო კეთილ-მოზილებავ, რა დაგემაართათ, ავით ხომ არ ბძანდებით“?! ავით არ ვიყავი, მაგრამ ჩემი მდგომარეობა უარესი იყო; ნეტავი სამი წლის ცივ-ცხელება დამმართოდა და ამ ნაირი სირცხვილი კი არ მეჭამა. მართლის ლაპარაკი, ვიცოდი, დამიკარგავდნ ღირსებას და ამისთვის ისევ მივყევი ხელი ხერხსა და ვეუბნები მწერალს: „დიად, მე ცოტა კარგად ვერა ვარ და, თუ შეიძლებოდეს, დასწერეთ თქვენ ბილეთი“. მწერალმა ორ წამს შეასრულა ბილეთის დაწერა და ხელში მამცა. ოჰ, სიხარული! ვითომც ერთი შთა ზურგიდან მამცილებოდეს, ისე მეშალავათა. ჩემმა სახემ მიიღო ნეტარების ღიმილი. უცფათ გარდავწერე ბილეთი და ნაჩალნიკს მივართვი, რომელიც დიდის განკვირვებით შამომაცქერდა, რომ ამდენ ხანს დავაგვიანე დაწერა. მწერალის დაწერილი ბილეთი კი მე შავინახე უბეში, როგორც წმიდა ნაწილი, და ერთს თვეს ისე ვატარებდი. ვინ იცის, მწერალებმა და ნაჩალნიკმა რამდენჯერ სთქვეს: „КАКОЙ ДУРАКЪ ЭТОТЪ МОЛОДОЙ ЧЕЛОВѢКЪ“! მაგრამ ჩემთვის განვლენა არ ჰქონია ამ სიტყვებს, რადგანაც ვადავრჩი იმ საშინელს მდგომარეობას.

ამის შემდეგ, მე ვეძებდი შემთხვევას, რომ სადმე გავეგზავნე ნაჩაღნიკს გამოსაძიებლად რაიმე საქმისა, კარგი გამოძიებელი კი ვიქმნებოდი, რომ ბილეთის დაწერაც არ ვიცოდი! მაგრამ ჩემთვის სულ ერთი იყო, ოღონდ არ დაენახა ვისმეს ჩემი მწუხარება. სურვილი ჩემი მალე შესრულდა. სოხუმის ახლო გაჩნდა ციმბირული ჟამი და ნაჩაღნიკმა გამგზავნა იქ იმ აზრით, რომ დამეხიზნა იმ ალაგის მცხოვრებლები. დიდის სიამოვნებით გაიხელით და ჩემთვის არავითარი ჟამი არ იყო ისე საშინელი, როგორც რაიმე კანცელარიის ქალაქის დაწერა. დღისით ჩემს მოვალეობას ვასრულებდი, დამე კი ხშირათ მქონდა საუბარი მთიულებთან. განსაკუთრებით მე დავემეგობრე ერთს მთიულსა, რომელიც იყო ჩერქეზეთის ქვეყნიდგან და რომელიც თავისუფლად ლაპარაკობდა აფხაზურს, ჩერქეზულს და რუსულს ენებზედ. იმისაგან მე ბევრი რამ საინტერესო. გავიგე და შევისწავლე შესახებ მთიულების ცხოვრებისა და ეს „ბევრი რამ“ იქნება საგანი ჩემი თქვენთან, „იმედის“ წყალობით, საუბრისა.—ასე, ჩემო ბატონებო, ტყუილათ არ ირის ნათქვამი, რომ „ზოგი ჭირი მარგებელია“.

კ. მაჭავარიანი

ოპარ და სელვა.

(ჩერქეზული მოთხრობა)

სოხუმის ქალაქიდან გაგრამდისინ ესახლნენ იმ ნა-
ირი აფხაზები, რომელთაც თავის სამშობლო ენა ძიელ
წმინდათ ეჭირათ და რომლებთანაც იშვიათად ჰქონდათ
მისვლა-მოსვლა მეგრელებსა და უმეტესათ იმერლებსა.
ალაგ-ალაგ თუმცაღა იყვნენ რამდენიმე მეგრელები და
გურულები, მაგრამ ისინი, როგორც მოპოვებულნი ტყვე-
ობითა და ნასყიდობითა, იყვნენ უკიდურესს მდგომარე-
ობაში და არავითარს მონაწილეობის მიღება აფხაზების
ცხოვრებაში არ შეეძლოთ. გაგრიდგან თითქმის ნოგო-
როსსიამდინ ესახლნენ ჩერქეზები და ჯიქები. ამ უკანას-
კნელებს და აფხაზებს ჰქონდათ ერთი ერთმანეთში მისე-
ლა-მოსვლა, სტუმრობა, ქორწინება, თათრულის წესითა,
მეგობრობა და ხანდისხან მტერობაც. შურის ძაების
დროს, აფხაზები და ჩერქეზები მხეცხედ უარესნი იყვნენ.
კაცის კვლა, საცხოვრებლის დაწვა, სახლების აკლება,
დედაკაცების მოტაცება და მათი გაყიდვა სათათრეთში—
არც ერთი ამ ნაირი მოქმედება, შურის ძიების დროს,
არავის არ მიაჩნდა განსაკვირვებლად. სოფლები იყვნენ
გაცალკევებულნი და ყოველი სოფლის მებატონე იმ

ნაირი უნდა ყოფილიყო, რომ თავის მხნეობით და ვაჟ-კაცობით თავისი სოფელი რიგიანათ დაეცვა და არც თავი თვისი, არც მისი ხელ-ქვევითნი და მათი ცხოვრება მტრისათვის არ დაენებებინა. თავადნი, აზნაურნი, გლეხნი, პატარა და დიდი ამ ბატონს ემორჩილებოდნენ. თუმც ვინმე გადააქარბებდა მას ვაჟ-კაცობით, მაშინ წინანდელს ბატონს ეკარგოდა ყოველივე მისი გავლენა. სახლები ძიელ მიუვალ ადგილზედ იყვნენ და ძიელ დაშორებულნი ერთი ერთმანეთზედ, — ეს იმისთვის, რომ მტერს არ შეძლებოდა უეცრივ მათი აკლება; მაგრამ, როდესაც შემთხვევა ითხოვდა ხალხის შეკრებას, მაშინ კმაროდა ერთი ხმა, ერთი კივილი, რომ მრთელი სოფელი ერთიანად შეკრებულიყო. მშვიდობიანობის დროს მოხუცი კაცები ალხენდნენ ყმაწვილებსა თავიანთ გმირული ამბებებითა. ამას გარდა, ზოგიერთი ახალ-გაზდა ყმაწვილები წავიდოდნენ ხოლმე შორს ქვეყნებში და მოჰყავდათ იქიდან ჯოგები: ხარის, ძროხის, ცხენის, კამბეჩის და სხვ. ქალები იყვნენ გართული თავიანთთვის და ნათესავებისთვის ტანისამოსის ჭრა-კერვაში, ფეხსაცმელის ქსოვაში. პატივი და დიდება იმას ჰქონდა, ვისიც ცხოვრება მდიდარი იყო სხვა-და-სხვა გმირული ამბებითა.

ერთ დროს ჩერქეზები იყვნენ საშინელს ტკბილს და მოსვენებულს ცხოვრებაში. ეს ის დრო იყო, როდესაც ერთმა მებატონემ, ხასანმა, თავისი ვაჟ-კაცობით იშოვნა ოც-და-ათი სოფლის ბატონობა. ამ სოფლების მცხოვრებლები ძიელ მადლიერნი იყვნენ იმისი და არ იცოდნენ, რა რიგათ გარდაეხადათ მისი მათზედ მამობრივი მზრუნველობა. საკვირველია, რომ, თუ მთიულ კაცს

უყავით სიკეთე, ის საუკუნოდ არ დაივიწყებს ამ თქვენ საქმეს და მსურველია შესწიროს თავი თვისი, ცოლ-შვილი და ცხოვრება ერთიანად, რომ როგორმე გარდაიხადოსთ პატივის ცემა, სიკვდილის დროს ხასანმა დაიბარა თავის სოფლელები და ერთი მხოლოდ მისი მემკვიდრე — ომარ და წარმოსთქვა ეს სიტყვები:

— „საყვარელნო ძმანო! ესეც არის მე ვკვდები და მივდივარ იმ სოფელში, მივდივარ წრფელის სინიღისით, რადგანაც არაფერ თქვენგანი მე არ შემეწუხებია. შეძლებსა მეგრ ჩემისა, სიყმაწვილიდგან ამ უკანასკნელს დღემდე, ვცდილობდი თქვენს ბედნიერებასა და თქვენს სახელსა. თქვენი ჭირი და ლხინი ჩემ ჭირად და ლხინად მიმაჩნდა. ვმადლობ ღმერთსა, რომ ჩვენი სახელი რამე ცუდის მოქმედებით არ შებღალულა. მტერსა ჩვენი ეწინააღმდეგებოდა და მოყვარესა ჩვენი მეგობრობა ლხინად მიმაჩნდა. რა უნდა დაგიტოვოთ ეხლა? სიმდიდრე ჩემი მრავალია, გაიყავით და ქერივი და ობოლი არ დაივიწყოთ. ძვირფასს საუნჯეს ვერა რას გაძლევთ, მაგრამ, ნიშნად სახსოვრისა, მოგცემთ ერთს საკუთარ ჩემს თვალსა და მარგალიტსა. ეს ჩემი თვალ-მარგალიტი არის ჩემი შვილი — ომარ. ერთგულნო ძმანო, შამომფიცეთ, რომ, თუმც ომარი იქმნება თქვენი ერთგული, გაუწევთ ამას ძმობასა და მტრებს არ ათქმევინებთ მახე ცუდსა“.

— ხალხმა უპასუხა: გაძლევთ ღმერთს თავდებათ, რომ ჩვენ ვიქმნებით შენი შვილის მონა, მორჩილი და მოსამსახურე, მაგრამ ნუ თუ აგრე აღრე დაგვაობლებ ჩვენ?

— შვილო ომარ! უთხრა მაშინ ხასანმა, აბა მშვიდობით, გაბარებ ჩემს ძმებს და იმედი მაქვს რომ იმათ არა-

ვინ არ შეაწუხებს, თორემ საფლავს დაეანძრევ და გულის სიმშვიდეს დაგიკარგავ; ქერივისა და ობოლის ნუგეშის მცემელი იყავი. თუმცა შენზედ მოვიდეს ათი მტერი, ნუ აწყევინებ და თუმცა ასი — მაშინ ეს ჩემი ხრმალი გქონდეს მათდა შესამუსრავათ.

— საყვარელო მამავ, ჩემო ნუგეშო, უთხრა ომარმა, ვფიცავ დედის საფლავს და უკანასკნელს მის ალერსიან სიტყვასა, რომ შენს ბრძანებას არ გადაუვალ.

ხასანმა დალია სული. ხალხმა სამი წელიწადი იგლოვია. ომარს არ უნდოდა მიეღო ისე ხალხის უმთავრესობა, რომ რითიმე სახელი არ გამოეჩინა. ამისთვის თავის სოფლები ჩააბარა სხვაზედ უფრო პატივ-ცემულ თავადებს, მისცა უკანასკნელათ სალამი თავის სამშობლოს და წავიდა ვაჟ-კაცობის გამოსაჩენათ...

თავის საცხოვრებლათ ომარმა ამოირჩია ერთი ალაგი, სადაც იყო მშვენიერი მაიდანის და მაიდანს შუა იდგა ერთი ძალალი, ფოთლებით მდიდარი, ჭანდარი. ღამეს ატარებდა ჭანდარზედ, დღისით კი ხან ნადირს ხოცავდა და ხან თავის ვაჟკაცობას იჩენდა. მდიდარს უნდა მიეცა მისთვის ნახევარი თავის ქონებისა, ღარიბს თითონ ომარი აძლევდა სხვა-და-სხვა ნივთებსა და შესამოსელსა. ოცი, ორმოცი და ასი მტერი მისთვის გინდ ერთი კაცი ყოფილიყო. განითქვა მისი დიდება და ვაჟკაცობა ყოველგან და ყოვლის მხრით მოდიოდნენ მასთან ამხანაგობის მსურველნი, მაგრამ ომარი არავის არ იღებდა.

ის იყო ომარ უნდა დაბრუნებულიყო თავის მამულში, რომ, ერთ დღეს, უეცრათ ოთხ-ასმა ცხენოსანმა ერთის საზარელის ჟღივილ-კივილით წინ გამოიფრინეს.

ოთხ-ასი სხვა ცხენოსანი და ხელიდან რაღაც გააშვებინეს. ომარს ძიელ გაუკვირდა ეს და ნახა, რომ ეს „რაღაც“ ხელიდგან გაშვებული დედაკაცთაგანია. უტფათ მოახტა ზურგზედ თავის ცხენსა, იარალი გვერდით მოიწყო და მარდათ მივარდა იმ ცხენოსან კაცთან, რომელსაც თავისი სიმშვენიერით, ვაჟკაცობით და ტანისამოსის სიმდიდრით ეტყობოდა, რომ ამ ცხენოსანი მხედრების უფროსი უნდა ყოფილიყო.

— გთხოვთ უმოჩინილესად, წარმოსთქვა ომარმა, მიბრძანდეთ, საიდან ბრძანდებით და ვინ არის ეს დედაკაცი, რომელიც ასე უწყალოთ მოგიტაციათ?

— ვინ ბრძანდებით, მიუგო უფროსმა მხედარმა, რომ ამნაირ ანგარიშსა მთხოვთ ჩემს მოქმედებაში?

— მე ვახლავარ აქაური მებატონე და ამისთვის არ შეუძლია არავის ჩემ უნებურათ გაიაროს ჩემს საკუთარს ალაგში და უმეტესათ ჩემს თვალს წინაშე შეაფიწროოს ვინმე დედა-კაცთაგანი.

ამ სიტყვების გამგონმა, აქამდის თავ-დაღუნულმა დედა-კაცმა აიღო მალლა თავი და შეხედა იმას, ვისაც ეს სიტყვებში ეკუთნოდა და ვინც იმას ესარჩლებოდა. დედა-კაცის თვალებს ომარმა თვალი მოჰკრა და ერთ დროსავე ორივეს აეგზნოთ გულში სიყვარულის ცეცხლი. ომარს ჯერ არ ენახა ამ ნაირი სიმშვენიერე ქალისა, აგრეთვე ამ ქალსაც არ ენახა ამ გვარი მშვენიერი ყმაწვილი, როგორიც იყო ომარი. საბრალო ქალს თვალეებში ცრემლი მოადგა და სუნთქვა შეეკრა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ომარი ვერაფერს უშველიდა და წარმოსადგენი არ იყო მისი შებმა ოთხ-ას მხედართანა.

— საქმე არა გაქვს, ყმაწვილო, და არ იცი ვინა ვარ? არ მცალია, ჩამომეცალე გზიდგან.

— ვერა, ჩემო ბატონო, თქვენი გაშვება არც ერთის არ იქმნება: ისანემდისინ ამ ქალს არ დასტოვებთ და თქვენი წიგნებისაგან ნახევარს არ მიბოძებთ, მანემდინ ფეხსაც ვერ მოიცივლით.

— ეს გიჟი ვინ ყოფილა, გადი, გაიარე, თორემ გაგაპე შუაზედ!

— აბა მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, და გააშინჯეთ თქვენს ზრმალს ჩემი ზურგი.

— რა ძალლი-მამაძალლი არის ეს ვილაცაა!... გინდა თუ არა სიცოცხლე?

ომარს ცეცხლი აენტო გულში, რომ მამა მისი ძალღათ ახსენა. უეცრათ აღმართა ხელები ზევით და წარმოსთქვა. „მამავ, მამავ! იმ ნაირი ცუდი საქმე რა გიქმნია შენ სიცოცხლეში, რომ ვინმემ შენი სახელი ცუდათ ახსენოს“?

უეცრათ მოწმენდილი ცა მოიღრუბლა; შეიქმნა საზარელი ქუხილი და გამოისმა ხმა: „შვილო ომარ! რათ არ მაძლევ განსვენებასა საფლავში, მიდი და ჰკითხე ჩემს წარსულ ცხოვრებას, ვიყავ თუ არა ცუდი და ბოროტის მოქმედი კაცი. მოგაკლოს ღმერთმა ჩემი კურთხევა; მანამ არ შემუსრო ჩემი ავათ მახსენებელი და, თუ დაიმორჩილო მტერი, მაშინ დარწმუნდი, რომ მე ჩემი სიცოცხლე ცუდათ არ გამიტარებია“!

ცა მოიწმინდა, დადგა ისევ მშვენიერი დღე. მხედრები ძიელ შემკრთალი იყვნენ, მაგრამ მთიული კაცი;

რა კი დაშორდება მწუხარებასა და შიშსა, ისევ უეცრივ მოდის ხოლმე თავის სიმხნეში.

ომარი მარდათ მივარდა უფროს მხედართან და ერთის ხრმლის მოქნევით თავი ტანს მოაცილა; შემდეგ დაერია დანარჩენ მხედრებსა და უკანასკნელამდინ ისე შემუსრა, როგორც მტვერი. არავინ ცოცხალი არ გადარჩენილა. მეგრე მივარდა ქალთან, რომელიც იყო ამ ომის ღროს პირ-ქვე დავარდნილი დედა-მიწაზედ, და უთხრა: ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ თქვენ ეხლა შეგიძლიანთ იცოცხლოთ, როგორც გნებავსთ, რადგანაც ყველა თქვენი მტრები არიან შემუსვრილნი. ქალმა თვალი გააღო და, რადგანაც უეცრათ ვერ შესძლო სიტყვის თქმა, თავის ქნევით მალლობა შესწირა.

— მიბრძანეთ, წარმოსთქვა ომარმა, რა შემთხვევამ აიძულა თქვენ მტრებს თქვენი აგრეთი შეიწროება, რა ალაგიდგან იქმნა თქვენი ტანჯვა და ვინა ბრძანდებით?

— რა გითხრათ, მხსნელო ჩემო, სახელად მქვიან სელმა, შეილი ვარ ვაჟკაცისა, ბედი მაქვს მწარე, სიცოცხლისაგან ვერაფერ ნუგეშს ვერ ვპოვებ. კმარა, მეტს ვერას გეტყვი.

— მიბრძანეთ, მეგობარო ჩემო, ვინ გაგიმწარათ სიცოცხლე?

— არა, მხსნელო ჩემო, ვერ გეტყვით ჩემს ვინაობას, კეთილი საქმე გიქნიათ, გამაღობთ კეთილისათვის; მეგობრობა დაგიმტკიცებიათ—თაყვანსა გცემთ. მაგრამ... მაგრამ... გვედრები კიდევ, მიხსენ უკანასკნელის განსაცდელისაგან.

— რა გნებავეს ჩემო ბატონო, თავი ჩემი თქვენთვის შემომიწირავს.

— ვგრძნობ ამ შემოწირვასა, მაგრამ ვგრძნობ აგრეთვე ახალს უბედურებას, გვევდრები წავიდეთ აქედან ჩქარა.

ამ დროს მახლობლად რაღაც დაინძრა.

— ვაიშე, ვაიშე, წარმოსთქვა ომარმა, ნუ თუ ვინმე გადარჩა, რომ კიდე სული ედგას თქვენს მტერსა?

— სულთ ჩემო, მეგობარო ჩემო, გული მიღონდებო, წავიდეთ ჩქარა.

— არა სელმა, არა სიცოცხლეც, სანამ შენი მტერი ცოცხალია, მანამ ჩემი მოვალეობა არ გათავდება.

— გენაცვალოს სელმა, მითხარ რა გქვიან?!

— ჩემი სახელია— ომარ.

— ომარს ვენაცვალე, ომარის სასიცოცხლოდ წასულიყოს ჩემი სული, ნუ მიღიხარ, მტერი უძლიერესია, თუ სადმე დაფარულია და არ არის შესაძლო მისი დანახვა.

ომარს ვერ მოუთმინა გულმა, ქალი დაეცა დედამიწაზე და ერთი იმ ნაირად დაიკივლა, რომ ომარს ტანში ჟრჟოლა მოუვიდა; მაგრამ გაექანა და მივიარდა იმ ალაგს, სადაც რაღაც ინძრეოდა. ამ დროს გამოვარდა ისარი და ეცა გულში ომარს. ომარი სამჯერ დატრიალდა იმგვრგელივ და კინაღამ დაეცა, მაგრამ ეხლა კი მოჰკრა თვალი მტერს. წაავლო ხელი მის ფეხებს, აისროლა ჰაერში და იმ ნაირ ძლიერებით დასცა მიწაზე, რომ ძვლებიც დაუმტვრეველი არ დარჩენია.

— აი, სელმა უკანასკნელი შენი მტერიც დაიკარგა.

— ომარ, ომარ, რათ მამკალ, რათ დამამწარე ნუგეში,

რა არის ეს ისარი გულში და ჰფიქრობ, რომ მე უშენოთ ვიცოცხლო?

— სელმა, რას შეუბნები, მე ხომ არა ვკვდები, აი ეხლა ვიცოცხლოთ, ეხლა წავიდეთ ჩემ მამულში. მაგრამ ომარს სახეზედ ფერი ეცვლებოდა და ფეხში ძალა ერთმეოდა. გულში ისარი სიცოცხლეს ართმევდა, რადგანაც ის ისარი მოწამლული და შხამიანი იყო.

— სელმას ვენაცვალე, ჩამოხსენ უნაკირიდგან წაბადი დამიგე და ერთი დავსხდეთ.

— ომარ, ომარ, რა ვქნა, სად წავიდე? რაჲ არ შემისრულე ჩემი თხოვნა?!

— სელმა, შენი ჭირიმე, აბა რას ამბობ, მე ეხლა მინდა შენთან ვიცოცხლო და შენ კი სიკვდილზედ ამბობ.

— არა, არა, ომარ, განა არ ვიცი რა შხამიანი ისარია შენ გულში, რათ გამიმწარე უკანასკნელი დღე; მაგრამ უკანასკნელ დღეს გიამბობ ჩემს ვინაობას და რა მელის შესწავლას.

ომარი ეხლა დარწმუნდა, თუ რა საუნჯეს კარგავს, რა მშვენიერს არსებას შორდება; გულმა დაუწყო კანკალი, თვალეში ცრემლი მოადგა, ფიქრით სამშობლოს უკანასკნელი სალამი მისცა და სიკვდილი მისთვის მხოლოდ ენანებოდა, რომ სელმას აგრე უჭირისუფლოდ აგდებდა.

აბა, სელმა, მიახმე და მერე წავიდეთ.

— რა გითხრა, რა გიამბო, მე ბედ-კრულმა? მე ვიყავ. მემკვიდრე თერამეტის სოფლისა და მამა-ჩემს ჩემს მეტი არა გააჩნდარა. მამა მყვანდა თავადი,—ჩინოვნიკი, სახელოვანი და ცას ქვეშ არ იყო იმისთანა მტერი, რომელსაც არ ში-

ნებოდეს მამი-ჩემისა; სიმდიდრით იყო შემოკლილი ჩვენი სახლ-კარი, მაგრამ ამ სიმდიდრეში მე ვიყავე პირველი თვალ-მარგალიტი. მე ვიყავე მამის ღმერთი, მამის ბატონი, მამის მბრძანებელი. დედა ადრე მამიკვდა, მაგრამ მამამ გამიწია დედობაც და მამობაც. ვიყავე თვრამეტის წლისა. ჩემი ეშხი და სიმშვენიერე ბევრს თვალებს უბრმავებდნენ, ბევრნი სიყვარულს მიცხადებდნენ. მაგრამ მე როგორღაც გული უარს მეუბნებოდა და ვფიქრობდი, რომ ჯერ არ არის ის ადამიანი მოსული, რომელიც უნდა იყოს ჩემი სიყვარულის ღირსი მეთქი. თავი მეჭირა ამპარტავენულათ და ცხოვრება ჩემი ჩემის მშვენიერებით უეცრად მაძლევდა ამპარტავენებას. ამით ბევრი მტერები გამომიჩნდნენ. ბოლოს ორმა ვაჟ-კაცმა ერთმანეთს პირი მისცეს ჩემ ძალათ მოტაცებაზედ. მამა-ჩემი ერთხელ სხვაგან წავიდა; ერთმა იმათგანმა მოჰკლა მამა-ჩემი, მეორემ კი, შეიტყო თუ არა ეს, გამომათრია ძალათ. სახლიდგან. ჩემი სიამპარტავენე შემუსრა და, როგორც უბრალო დედა-კაცს, მომაყენა უკანასკნელი მწუხარება. ოთხ-ასი ცხენოსანი მხედარი მახლა და თან წამომყვა თავის მამულში წასაყვანათ; ამდროს მამი-ჩემის მკვლელობა შაიტყო ეს და შეკრიბა იმანაც ოთხ-ასი კაცი. მოსწვდა იმ ადგილს, სადაც ეხლა ჩვენა ვართ. შემდეგ ამისა შენ იცი რაც იყო. მამა-ჩემის მკვლელი კი ვერ გადაურჩა შენ ხრმალსა, მაგრამ კიდევ დარჩა მეორე მტერი, რომელიც ეხლა იმალება ტყეში და რომელიც მალე გამოჩნდება. ოხ, ომარ! ომარ!... კიდევ უნდოდა რალაცაების თქმა სელმას, მაგრამ გული ამოუჯდა და ვეღარ განაგრძო.

— „ვაიმე სელმა, ვაიმე სელმა, განა კიდევ დარჩა შენი მტრები დაუხოცველი?! აქ კი ომარს ერთის მხრით გული უღონდებოდა, რომ არ დათანხმდა სელმას, როდესაც ეს სთხოვდა წასვლას ამ ალაგიდგან და მეორეს მხრით სული უწუხდა, რომ სელმა უნდა დარჩეს შემდეგ იმისა უპატრონოთ.

— აბა, სელმა, ამომიღე ისარი, ავდგეთ და წავიდეთ.

— ომარ, იყვეს ჯერ კიდევ შენ გულში ისარი, თორემ, როგორც ამოიღებ, იმავე წამს სულს დაღვე; ომარ მაიცა კიდევ გიცქირო ცოტა; ვაიმე ღმერთო, სად წავიდე და რა ვქნა!

ველარ მოითმინა ომარმა ამ ნაირი მდგომარეობა, თითონ თავის ხელით. ამოიგლიჯა გულიდგან ისარი და განუტევა სული.

სელმამ რაკი ნახა ეს, იმ ნაირად გაშეშდა, რომ ველარაფერი წარმოსთქვა: შემდეგ დაეცა მიცვალებულზე და დაუწყო მას ბანა თავიდგან ფეხებამდის მღუღარის ცრემლითა.

ამ დროს გამოვიდნენ წინანდელი ოთხ-ასი მხედარნი და მათი უფროსი: ნახეს რა მტრები დახოცილი და ომარისთვის მტირალი სელმა, ძიელ განკვირდნენ, მაგრამ გაკვირებას მალე მოუღეს ბოლო.

— ვის ებლაუჭები სელმა? გაუშვი ხელი და წავიდეთ, უთხრა უფროსმა მხედარმა.

— ახლავე, ჩემო ბატონო, გიახლები, მაგრამ ნება მომეცი, რომ უკანასკნელი მოვალეობა მივცე ჩემს ბიძა-შვილს, რომელმაც ამოდენი მტრები დახოცა და მერე თითონაც მოჰკვდა. „ბიძა-შვილი“ რომ არ ეთქვა სელმას,

მაშინ მთიულების ჩვეულებით, არ მისცემდნენ მას ტირილის ნებას. ამას-გარდა სელმას ცეცხლი აენტო გულში, რომ ტკბილი სიტყვების მაგიერად, ასე მხეცურათ ეკიდებოდნენ. უნდოდა მაგიერი შური ეძია და კიდევაც დაამწარებდა მათ სიცოცხლესა, მაგრამ ეს ჰაზრი სელმას არა ჰქონია გულში.

გათხარეს საფლაფი, ჩაუშვეს ომარი. ჩავიდა სელმაც საფლაფში სატირლათ და უკანასკნელათ ცრემლებს აფრქვევდა. ახლო მდგომარე არავინ იყო, გარდა ერთის ომარის ცხენისა, რომელიც თავ-მოხრილი დაჰყურებდა თავის პატრონსა და გაშხამებული ფეხით მიწას სცემდა, თითქო ეუბნებო: „ადეკი წავიდეთ, ვაჟ-კაცობა გამოვიჩინოთ“.

— ომარ, ტირილით წარმოსთქვა სელმამ, მოვდივარ მე შენთან, შენ გეგონა სელმა მილალატებსო; არა, ჩემო სიცოცხლე, ჩემო სიხარულო, წავიდეთ ერთათ, ერთათ ეილხინოთ იმ სოფელში. მე დამხედება ჩემი დედ-მამა, შენ—შენი დედ-მამა. დედაე! მოვდივართ მე და ომარი, აბა გაგვიმართე ლხინი“! წარმოსთქვა ეს სიტყვები სელმამ და ყელში გამოისვა სამართებელი, რომელიც მთიულ ქალებს ხშირად აქვსთ ხოლმე ჯიბეში. ერთს წაჰს სელმამ სული დალია, მაგრამ სიკვდილის წინ მოუწვა გვერდით ომარსა, დაჰკოცნა და შემდეგ, ხელ-სახოცი დაიფარა პირზედ და ომარსაც გადააფარა. სელმას დაგვიანებით მხედრები მოთმინებიდგან გამოვიდნენ და მათი უფროსი მივიდა საფლაფთან, უნდოდა ამოეყვანა იქიდგან თავისი საცოლო; მაგრამ, სამწუხაროთ და საოცრათ მისდა, იმან ნახა რომ თეთრ ხელ-სახოცში გამოჰტუპტუპებდა ალის ფერი სისხლი და ეჭვი აღარ იყო, რომ სელმამ მოატყუა

ისა და ყელი გამოიჭრა. მიაყარეს ომარის და სელმას გვამებს მიწა და წაფიდნენ. ომარის საბრალო ცხენი გაიქცა ომარის სამშობლოში და დაუდგრომელი ჭიხვინით და სირბილით მიახვედრა ყველა, თუ რა დაემართა ომარს.

შემდეგ, ომარის და სელმას საფლავზედ ამოვიდა ორი მშვენიერი ხე, ერთი თავსა და მეორე ბოლოს. ამბობენ, რომ ექვს დღეს ეს ხეები ცალ-ცალკე დგანანო, ხოლო კვირობით, დილიდგან საღამომდის, მიუახლოვდებიან ერთმანეთს, დაეხვევიანო და, როგორც ორნი ტკბილნი მეგობარნი, ან დაშორებულნი და და ძმა, ვითომც ერთმანეთს ეალერსებიანო....

ჟ. მაჭავარიანი.

გაზაფხული

გაზაფხულია. სითბო ჩავარდა
დედა-მიწისა კალთა-უბეში,
ბიბილოვნებდა ჭალა-მინდორი—
მკლავს ჰყოფს ბუნება ჭრელს სამოსელში.

მოდის ფრინველი თბილის ქვეყნიდგან,
ტკბილად ჭიკჭიკობს, ატკობს სმენასა,
რალაც სიხარულს, სიამოვნებას,
ულვიძებს გულში ადამიანსა.

მღერის საყვარლად ის სიცოცხლესა,
მღერის საყვარულს, ბედნიერებას,
ამავე გრძნობათა რალაცა ძალით
გარდასცემს მსწრაფლად სხვათაცა ყველას.

მაგრამ ესევე ხმა ჩიტი-გერიტისა
ჩემში აქოთებს ფიქრსა სულ სხვასა,—
მასში ეკითხულობ მე იმ ნალველსა,
რაღაც აწუხებს ჩემს ქვეყანასა.

სამშობლოს ბედი, მის მწუხარება
მე მეყურება ამ გალობაში;

მიწფოთავს სული, წუხდება გული
რყევა იძვრება მრთლად არსებაში.

მზე აღარ ათბობს ჩემსა მამულსა,
არ იჩენს მისთვის თვისსა ძალასა;
აღარ უცინის მას თვისი ბედი,
ჯერ არ უბრუნებს მას გაზაფხულსა...

დაობლებულსა ჩემს ქვეყანაში
არა ჩუმდება ხმა ტირილისა;
არ ისმის მისთვის შვევა, ნუგეში
და განქარვება მწუხარებისა...

არ ისმის აქა ხმა სიმართლისა,
არა აქვს ფასი ჭეშმარიტებას,
აღარ ატყვია წინაპართ სახე
თანა-შედროე ჩვენ ქართველობას...

ნაცვლად ძმობისა და ერთობისა,
სამშობლოსათვის მუშაობისა,
თვის მოქმედებით მამულს ქართველნი
საუკუნოთა უთხრიან ძირსა...

ჩემს მოვალეობათ ამ შემთხვევაში
ვრაცხ, რომ გაუფრთხო ქართველებს ძილი,
თვალთ აუხილო, ვანახვო მტერი,
აღუძრა გულში მის სიძულილი.

თქვენც გვედრებით, ძმანო და დანო,
მკვიდრათ დაადგეთ სწორესა გზასა,

გასწიროთ თავი მამულისათვის,
არ უღალატოთ წმინდა მიზანსა.

ნუ გვეწმინიან შუხთაღის ბედის,
რომელიც სდევნის „ჩვენ ჯურის“ ხალხსა,
ამ ბედს, ეტყობა, ფეხს ვერ აუქცევს,
ვინც მამულისთვის ამზადებს თავსა...

მის. ასათიანი

წინასწარმეტყველი.

უყურეთ, ძმანო, აი ის კაცი,
რომელიც ღმერთმა გამოგვიგზავნა,
ტან-ფეხ შიშველი და უფერული, —
სიმართლის წყალში ზეცამ აბანა.

მოდით, მტირალი სახე გასინჯეთ!
ხომ ხედავთ ამის დახეთქილ ფეხებს!
ჯიბე და უბე კარგათ უნახეთ —
საგდალს და ოქროს ხომ არ ატარებს?

სიდგან, რა ადგილს გადმოვარდნილა,
სად, ზღვა — ხმელეთი შეშოუვლია.
თვალ-პირზედ, ტანზედ მტვერი სქლად აძევს, —
სჩანს თავისათვის არ მოუტლია.

ოქროს და ვერცხლსა წინ რომ აგებებთ,
სახის ღმექითა თვალს რათ გარიდებთ?
მისთვისა, ძმანო, რომ გაიგონოთ,
რაზედაც იგი თქვენ დაგარიგებთ.

მაგას არ უნდა ქვეყნად ქონება,
მაგის ქონება — წმინდა ენაა;

არ უნდა მაგას თქვენი ღიღება—
 ეგ მხოლოდ იმის გულის წყენაა.

მას ღმერთმა მისცა ტანჯულთ ქვეყანა,
 მან იმ ქვეყანას უნდა დასტიროს,
 უნდა იბოძოლოს იმის მტერთანა,
 ლახვრით ხალხისგან თვით განიგმიროს.

მაგრამ ჩვენ მაგის სიტყვა არ გვესმის,
 ყურებს როგორღაც ეჩოთირება,
 გულსა ღრაჭუნით ქლიბივით ესმის,
 ჟანგი არ უშვებს, ვერ ეკიდება.

1881 წ. მაჩტის 20

ლ. რ. მ. კ. ლ.

გლეხის ლირიკი.

გლეხნო ვსვამთ ცეცხლისა ტბასა,
ზედ იანგნები გეცხლებიან,
ცეცხლიც მწუხარის გვინთია, —
მოდგენ სხვანი თბებთან.

ხან გვაგინებენ, ხან გვცემენ,
ერთ ქერქში არა დგებიან.
სხვათა მოზდიანთ მომხრენი,
ჩვენთვის არაფერ ხნ დებიან!...

მეტყველი გლეხი ალექსა მირზაშვილი.

ჩვენი სასოფლო შკოლები.

I

აგერ, თითქმის ათი-თორმეტი წელი განმავლობს მას აქეთ, რაც ჩვენი სახალხო შკოლების გამართვა დაიწყო. ამ დროს განმავლობაში ყოველ წლივით თბილისის და ქუთაისის ლუბერნიებში საშვალის რიცხვით 40—45 შკოლა ითვლებოდა. თითო შკოლისათვის ერთმანეთზე იხარჯებოდა სამ-ასი მანეთი. ამ ათის წლის განმავლობაში ყველა შკოლებზე, სულ რომ ცოტა ვთქვათ, დაიხარჯებოდა არა ნაკლებ ას-ოცი-ათას — ას-ოც-და-ათი-ათას მანეთისა. ორივე ლუბერნიის მცხოვრებთ, რასაკვირველია, გლახობის რიცხვს შეადგენს რვა-ასი-ათასი მცხოვრები. ამდენ მცხოვრებელზე (120,000) ას-ოცი-ათასი მანეთი კარგა ძალს ფულის შეადგენს, ამ ფულებით, ამ დროის განმავლობაში ისეთი თვალ საჩინო და სასარგებლო საქმის გაკეთება შეიძლებოდა, რომ ხალხს შემცნეოდა, მაგრამ, ათასი სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, რომლებზედაც ქვევით მოგვლაპარაკები მკითხველო, ერთი იოტის ოდენა საქმე არ გაკეთებულა ნათქვამი ფულებით. ვისაც თვალ-ყური უდევნებია ჩვენი ხალხის ძველი და ახალი ცხოვრებისათვის, ის ადვილად დამეთანხმება ზემო ნათქვამ სიტყვებზე. ჩვენებური გლე-

ხების ეხლანდელი გონებითი და ეკონომიური მდგომარეობა განირჩევა რითამე ამ ათ-თუთხმეტი წლის იმის ეკონომიური და გონებითი მდგომარეობიდან? სრულიად არა... შეხედებით ჩვენს ხალხში იმავე სილატაკეს, მეტს თუ არა, იმავე გონების სიბრმავეს, იმავე უხეირობას, იმავე ბაიყუშობას, რაც ამ ათ-თუთხმეტის წლის წინათ სუფევდა ჩვენში. მართალია და აქა-იქ ათასში ერთი-ორი თუ გამოვიდა ამ შემბორკავ მდგომარეობიდან, მაგრამ ამის მიზეზად შკოლა არ ჩაითვლება. ეს სულ სხვა გარემოების ბრალია. ამაზე ცალკე წერილში მოველაპარაკებთ მკითხველს, ახლა კი სასოფლო შკოლების აწინდელ მდგომარეობას ვაღვიწოთ თვალ-ყური. ამისათვის თავ-და-პირველად გავშინჯოთ ჩვენი შკოლების პროგრამაში. პროგრამაში არ იხატება ხალხის სული და გული, არ არის აქ ჩვენი ხალხის სულისა და გულის აღმალარძინებელი მეცნიერება. ამიტომ, როგორც ჩვენი, ისე შკოლების ადმინისტრაციის ვალია შეეცაზნოთ ერთად, განვიხილოთ აწინდელი პროგრამა შევიმუშაოთ და წარუდგინოთ მას, ვინც მოვალეა. ამას თხოულობს საზოგადო ინტერესი. თუ მიაქციონ ყურადღება—ხომ კარგი და თუ არა, ჩვენთა შვილთა და მომავალთა მაინც დაუფლობთ ანდერძათ, რომ იმათ მაინც იქონიონ სახეში და ჩვენგან დაწყებული საქმე დაასრულონ... ამას გარდა, ორი რამ შესანიშნავი მიზეზია ჩვენი შკოლების უვარგისობისა.

აი ეს მიზეზები: პირველი, სასწავლებლების საგნების უხეიროდ განაწილება და დაწყობილება, და მეორე—მასწავლებელთ უმნიშვნელობა, როგორც მმართველობის,

ისე საზოგადოების მხრით. თუ გვინდა სახ. შკოლები ხეივან ან გზაზე დავაყენოთ და ის ფული, რომელიც შკოლის შესანახავათ გვხდება, უმნიშვნელოდ და უსარგებლოდ არ დაიხარჯოს, მიუცილებლად საჭიროა, როგორცა ვთქვით, პროგრამმა საერთოდ შევიმუშაოთ; ამას გარდა ვეცადოთ, რომ სოფ. მასწავლებელი ყოველი კაცის ფეხ-ქვეშ საქელავი არ იყოს. ისეთ ნაირათ დავაყენოთ მასწავლებლის მდგომარეობის საქმე, რომ მასაც ღირსეული ადგილი ექიროს საზოგადოებაში.

II

შეიძლება გვითხრან: ჩვენებური შკოლების პროგრამმა რუსეთის შკოლების პროგრამისგან ბევრით არ უნდა განირჩეოდესო. მაგრამ ჩემის აზრით, ისეთი განსხვავება უნდა იყოს ჩვენებურის და რუსეთის შკოლების პროგრამებ შუა, როგორც განსხვავებაა ჩვენსა და იმათ ზნე-ხასიათს, ჩვეულებასა, ბუნებასა, ენასა და თვისებას შუა. რა აქვს ჩვენ ხალხს რუსის ხალხთან საერთო ამ მხრით? ცრულიად არაფერი; მაშ ჩვენი შკოლების პროგრამმა რით უნდა გავდეს რუსეთის შკოლების პროგრამას? მხოლოდ იმითი რომ, ერთავე ერთ მიზანს უნდა მიხედვდენ, ესე იგი, ორივეს მიზნათ უნდა ქონდეს ხალხის გონებითი, ზნეობითი და მატერიალურის მხრით გაუმჯობესება. აი პირველი და მიუცილებელი ვალი პროგრამისა საზოგადოდ, კერძოდ კი პროგრამმა ხალხის ნამდვილს მოთხოვნილებას უნდა ესრულებდეს; ერთის

სიტყვით, ერთი იოტის ოდენათაც არ უნდა ცდებოდეს ნამდვილ პედალოლის გზიდან, ე. ი. ახლევდეს გონების საზრდას ხალხის შეილება თავისი შიშა-პაპის ცხოვრებით.

ზოგიერთები იძახიან: კარგი იქნება ესა-და-ეს ენა და მეცნიერება იცოდეს ყმაწვილთა და ამიტომ პროგრამაშიაც უნდა შევიტანოთ; მე ვიტყვი: კარგი და სასარგებლო იქნება, მთელმა საქართველომ, დიდმა და პატარამ ზედ მიწევნით იცოდეს ევროპიული გამოჩენილი ენები და მეცნიერებანი. მე ბედნიერებად მიმაჩნია ეს, (განა კარგი და სასარგებლო ცოტამ რამ არის ქვეყანაზე?) მაგრამ ჩემი ნატურა შესაძლო უნდა იყოს, რა გამოვა ცარიელი ნატურისაგან, განსაკუთრებით იმისთანა ნატურისაგან, რომელიც შეუძლებელია. ვის ზრ იამება, რომ ყოველი ჩვენი სოფლის ხალხი როგორც თავის დედაენაში, ისე ფრანციკულ ენაში თანასწორად გაწვრთნილი იყოს? მაგრამ ეს ისე შესაძლებელია, როგორც ცოცხალი კაცის მოკვლა და რამოდენიმე დღის შემდეგ გაცოცხლება. რომელიმე ენის ცოტაც არის რიგიანად შესწავლა სოფლის შკოლაში, სადაც მოსწავლეს ყოველ წამში, ყოველ ბიჯის ვადიდვამზე დედაენის მეტი არ ეცმის რა და სადაც სწავლის კურსი მარტო სამი თუ ოთხი წელია და დებულები (პთი წელიც რომ ღყოს, მაინც არა გამოვარა, თუმცა ეს შეუძლებელი საქმეა) შეუძლებელია. ვთქვათ, საპურ-ღვინო რუსული როგორმე ისწავლა სოფლის ბიჭმა, შკოლი ღამ გამობრუნდება თუ არა, ერთი ან ორი წელის შემდეგ, სრულიად ავიწყდება ეს სწავლა. ამაზე უფრო შესანიშნავი ის მოვლინებაა, რომ ჩვენში—სემენარიაში და სხვა სა-

შვალ სასწავლებლებში კურს დასრულებულები, რომელნიც სოფელში ცხოვრებენ, იფიქრებენ რუსულს. მაშ ამისი შემხედველნი კიდევ იტყვიან სოფლის შკოლებში უცხო ენა ასწავლეთო? თუ ამ გვარი ბედი მოელის უცხო ენას უცხო თემის შკოლებში, მაშ რაღათ გვინდა ის ძვირფასი დრო დავაკარგვინოთ სოფლის შკოლის შეგირდებს?

მიეცით ხალხს საშუალება, რომ ჩაიხედოს სწავლით თავის ნაკლულევანებაში, დაინახოს თავისი მდგომარეობა. სწავლა იყოს იმისი სარკე.

ხალხი და სახელმწიფო მხოლოდ მაშინ მიაღწევენ წესილ მდგომარეობამდის, როდესაც ყველა მცხოვრებელნი (население) თანასწორად მიიღებენ სწავლა-განათლებას, საშუალო შკოლებში თუ არა სახალხო შკოლებში მაინც; ამიტომ ვიმეორებთ, რომ ამ მიზნის მისაღწევნელად ის კი არ არის საკმაო, რომ თითოეული პირი გამოვიდეს თავისი მდგომარეობიდან და მიაღწიოს უმაღლესს განათლებამდის, არამედ საჭიროა, რომ მთელი ხალხი (масса) იყოს თანასწორად გონება გახსნილი და შეეძლოს თავის სწავლის მოხმარება. საზოგადოება, შკოლების შემწეობით, უნდა ცდილობდეს რომ ამისი წევრები ფიზიკურად და გონებით იზრდებოდნენ. ამიტომ ამ სტატიის დაწერის დროს სახეში გვქონდა, რომ სასწავლებელი არ უნდა ბადებდეს შეგირდში ასახვი ცხოვეტების სურვილს“, რადგანაც შკოლას არ შეუძლიან დააკმაყოფილოს იგი, მაგრამ ხელს უნდა უმართავდეს თავის შეგირდებს, რომ მათ ცხოვრების ახალი პირობები შეიმუშაონ, შეეჩვიონ მუშაობას, გაუხსნან ღონე, რომლით თავს დაიკმაყოფილებენ.

ამიტომ არ უნდა ვივიწყებდეთ არც ერთ სქესს. და-
რწმუნებულნი რომ რიგიან გზაზე დაყენებული სწავლა
კარგს სარგებლობას მოიტანს, უნდა ეცდილობდეთ ამ
გზის გამოკვლევას.

ათი წელი დიდი დროა. ამოდენა დროში დიდად
შეიცვლება ხალხის ცხოვრება. შეიცვალოს ხეირიანად
მიმართულის სწავლით. კმარა სიბრძავე ჩვენებური პედა-
ლოლებისა, დროა გაახილონ თვალები; დროა ხალხის
განათლებას—ამ დიდ ბედნიერებას კაცობრიობისას, რიგი-
ანათ შეხედონ. შკოლების ადმინისტრაციის ვალია მოიწ-
ვიოს ხალხის წარმომადგენელი და იმათთან ერთად შე-
იმუშაოს სახ. შკოლების პროგრამა.

ამ მოკლე შენიშვნით ვათავებთ ამ წერილს, რად-
განაც არც დრო და არც ადგილი არა გვაქვს ამაზე მო-
ვილაპარაკოთ. ახლა გადავალოთ თვალი სოფლის მას-
წავლებლის ცხოვრებას, გავიცნოთ იმისი მდგომარეობა
და მოუწეროთ საშვალეობა ცხოვრების გასაუმჯობესებლათ.

III

იმდენი საქმე, როგორც სწავლების მხრით, ისე ხალ-
ხის დახმარების მხრით, რამდენიც სოფლის მასწავლებელს
აქვს, არც ერთ საზოგადო ასპარეზზე მოქმედს კაცს არა
აქვს, მაგრამ ისე დაჩაგრული და კაცად არ მიჩნეული
არც ერთი კაცი არ არის ცხოვრებაში, როგორც სოფ-
ლის მასწავლებელი; რა არის ამის მიზეზი? რატომ ღირ-
სეულ ფასს არ სდებენ საცოდავ მასწავლებელს? ამის

მიზეზი ბევრია, მაგრამ უმთავრეს მიზეზებათ მხოლოდ ორი რამ მიგვაჩნია. პირველი თვითონ ხალხის უმეტრება, მეორე ის, რომ სოფლის მასწავლებელი ყოველგან მოკლებულია ხმას. ასე გასინჯეთ რომ ის თავის შკოლის შესახებაც არაფრად ითვლება, არ აქვს ნება ამის შესახებ კინტი დასძრას. სხვა საზოგადო საქმის შესახებ ხომ ფიქრიც არ შეუძლია. მასწავლებელი რიდასი მაქნისია, თუ შკოლაში მაინც სრული უფალი არ არის, შკოლის შესახებ თუ პირველი ხმის ამომღები და იმის ინტერესის დამცველი ეს არ იქნება, მაშ რაღა? აი კითხვები, რომელნიც, ჩვენდა სამწუხაროდ, პასუხს თხოულობენ. განა ამ გვარი ჭეშმარიტება დამტკიცებას უნდა თხოულობდეს? ამ გვარი ჭეშმარიტება კი არაა, ჩვენში უფრო ნამდვილი ჭეშმარიტებანი თხოულობენ დამტკიცებას, ამიტომაც ყველანი მოვალენი ვართ ეს კითხვები განვამართოთ რიგიანად. როგორც ყოველი სახლის პატრონი ან, როგორც ჩვენში იტყვიან, მასპინძელი (ХОЗЯЙНЪ) სრული უფალია თავის ოჯახში განკარგულებისა, ისე შკოლის მასწავლებელიც, რასაკვირველია, ამ გვარივე უფლების მქონე უნდა იყოს თავის შკოლაში; ამას უნდა სრული ნება მიეცეს, რომ შკოლის ბედ-იღბალში, სიკეთეში და სიცუდეში, ეს იყოს სრული გამგებელი. მიეცეს სრული ნება, რომ სხვის განკარგულებას ბრძად, ძველებურად ნუ დამეორჩილება ხოლმე, ჯერ კრიტიკულად გასინჯოს ეს ბრძანება და, თუ არ დაუჯდეს ჭკუაში, თავისუფლად მისცეს პასუხი განკარგულებელს.

სოფლის მასწავლებლის აწინდელი მდგომარეობა სოფლის მოჯამაგირის მდგომარეობაზე ძირსა დგას; ყვე-

ლა მოჯამაგირედ უწოდებს. ხმის ამოდება ხარ შეუძლიან საწყალს; თავშიაც რომ სცემდენ, ვერ ეტყვის—ნუ მცემთო, რადგანაც იცის, რომ სოფლელები ეტყვიან: ჩემი მოჯამაგირე ხარ და რაც მინდა, იმას გიზამო და სხვა უტრო უშვერი სიტყვებით შეამკობენ.

მოდო და ამ გვარ ხალხში რამე გააკეთოს მასწავლებელმა. რომ ეს ჩემი სიტყვები უსათლონი არ გეგონოს, ამისათვის გთხოვთ თვალი გადააელოთ სოფლის მასწავლებლის ცხოვრებას და მაშინ აღვილად მიხვდებით, თუ რამდენათ ჭეშმარიტებას ეამბობ.

ვთქვათ, განიზრახეს რომელიმე სოფლის შკოლის გახსნა, დაადგინეს განჩინება იმის თაობაზე. ღირექციაც ცნობის მიღებისათნავე აიყვანს ვინმე ახალ-გაზდა კაცს, რომელსაც მასწავლებლობა სურს, და გზავნის ამ სოფელში. მიდის მასწავლებელი, შედის სოფელში და ეცხადება მამასახლისს. მამასახლისიც თავის თანა-შემწეს ეძახის აღგილი-შიუჩინოს საღმე. ესეც წაიყვანს და დააყენებს რომელიმე გლეხისას, სადღაც მიყრუებულ აღგილში, გადის დღე, კვირა, თვე და ახალი მასწავლებელი დიდის ხტეწნით შეაგროვებს ათიოდე ყმაწვილს საღმე გომში, რადგანაც უმეტეს ნაწილად შკოლისათვის თავ-და-პირველად სახლზე არ ფიქრობენ ხოლმე. კარგია თუ ახალ მასწავლებელს თავისი საკუთარი ფული აქვს სახარჯათ; თუ ღმერთი გასწყრა და ესეც არა აქვს, ამაზე საცოდავი ტუსადიც არ იქნება. (ბევრგან ჩვენ სოფლებში ფულიც რომ ჰქონდეს გასასყიდელი ხორაგის შოვნაც გაუჭირდება ხოლმე ახალ მასწავლებელს.) რაც უნდა იყოს, დღეს არა, ხვალ მაინც უნდა მიმართოს მასწავლებელმა: ჯამაგირისათვის

მამასახლისს, (გარდა თბილისის ლუბერნიისა, ყოველ ადგილს პირ-და-პირ მამასახლისი აძლევს ჯამაგირს მასწავლებელს). აი აქ არი რომ ეკარგება კრედიტი მასწავლებელს სოფლებს თვალში. მამასახლისი არ აქცევს ყურადღებას საწყალ მასწავლებელს, ამასაც ხვეწნით გული უწუხდება და კუჭი უხმებდა. რა ქნას? დირექტორს მიმართოს? არა გამოვა რა. მაზრის უფროსს მიმართოს? ეს ხომ მამასახლისზე უარესია... დიდხანს მამასახლისი ყურსაც არ იბერტყს. ბოლოჯ, როდესაც შიმშილი კარგა ლაზათიანად მიასუსტებს მასწავლებელს, მაშინ იძულებული იქნება, თუ ცოტათი მაინც იცის მამასახლისის ხასიათი, ჯამაგირიდგან ხუთი-ოდე მანეთი დაჰპირდეს. ეს ხუთი მანეთი განკარგულებას აქნევენებს მას; ახლა საქმე ფულის შემკრებლებზეა. ესენიც ყოველ დღე ნახულობენ მასწავლებელს და ფულს კი არ კრებენ. ეხვეწება საწყალი მასწავლებელი მათ, მაგრამ აქაც უქრთამოთ ვერას ხდება; მიდის დღე, კვირა, თვე და როგორც იქნება შეაგროვებენ იმ ფულის ნახევარს, რაც ერგება მასწავლებელს; აქედამ ხუთი მანეთი მაინც მამასახლისმა უნდა წაიღოს დაპირებისამებრ, თითო—ფულის მომკრებლებმა, რომელთა რიცხვი სამზედ ნაკლები არას დროს არ არის. ესეც ზუსტად მანეთი ქრთამი გაუფიდა იმ ოც-და-ხუთ მანეთში, რომელიც ერგებოდა მასწავლებელს ერთ თვეში. მესამედი მაინც ამ ფულისა ვერ შეკრიბეს ზოგიერთა გლებების უკიდურესი სიღარიბის გამო. მთელი წლის ჯამაგირი ასე ცოდვილობით უნდა აიღოს. ასე და ამ გვარად ნახევარი ჯამაგირი მაინც ეკარგება სოფლის მასწავლებელს ამ საძაგელს საქმეში—ქრთამად. ახლა მიბრძანეთ, თუ ღმერთი გრწამსთ,

რა თვალით უნდა შეხედოს სოფელმა ამ მასწავლებელს? სოფელში ისეთს საიდუმლოს ვერას ჩაიდენს კაცი, რომ მთელმა ხალხმა არ შეიტყოს. რა თვალით უნდა უცქირონ სოფლელებმა ქრთამის მიმცემ მასწავლებელს? ამას არავითარი მნიშვნელობა და გავლენა აღარ ექნება ხალხზე, თან ეს შემთხვევა შკოლაზედაც დიდ ცუდ გავლენას იქონიებს. ამიტომაც ყველანი უნდა ვეცადოთ, განსაკუთრებით შკოლების ადმინისტრაციას, რომ ეს სისამაგლე მოისპოს; სანამ ეს არ მოისპობა, ჩვენებური შკოლები და მასწავლებლები უმნიშვნელონი იქნებიან და, სარგებლობის ნაცვლად, ზიანის მეტს არას მოგვიტანენ. ამ ნაკლულეფანების გასწორების შემდეგ კი ხეირიანი კაცებიც არ დაიზარებენ სოფლის მასწავლებლათ წასვლას. ეს ერთი მეორე მიზეზი სოფლის ოსტატების უმნიშვნელობისა გახლავთ პოლიციის ადმინისტრაციის ბატონურად მოქცევა ამათთან. დაიწყეთ მამასახლისიდან და მიდით ლუბერნატორამდის. თვითოეულს ამათგანს სრული უფლება აქვს სოფლის მასწავლებელი განუკითხველად დაითხოვოს.

მასწავლებელი უბრალო მოქირავე კაცად ნუ იქნება მიჩნეული. თორემ რასა გავს, თუ ღმერთი გრწამსთ, ერთ გამოჩურჩუტებულს პრისტავს არ მოეწონება როგორმე მასწავლებლის დაგლეჯილი სერთუკი და დაითხოვოს სამსახურიდგან! განა, ვიმეორებ, სანამ ასეთ მდგომარეობაშია ჩვენი შკოლები, წავა ვინმე ხეირიანი კაცი მასწავლებლათ? არა, და არცა ღირს. მიუცილებლად საჭიროა ეს მხარეც გასწორდეს ჩვენი შკოლებისა. ვთქვათ, ყველა ესენი დაავიწყა რომელიმე ახალ-გაზდას ხალხის სიყვარულმა და წაეიდა მასწავლებლათ; როგორ ფიქრობთ, რამდენს ხანს

შეუძლია ფიზიკურად გაუძლოს ჩემს ამ მძიმე საქმეს? თუ მივიღებთ მხედველობაში წყლის სიძნელეს, ბერძნულ სპაწილებსაგან გაფუჭებულ ჰაერსა და ყოფნას მუდამ ზღე და იმ მატერიალურს და ზნეობრის ნაკლებფანებას, რომელსაც სოფლის შკოლის მასწავლებელი ითმენს, ადვილად შეგვიძლიან უთქვათ, რომ ძრიელ ჯანმრთელი კაცო უნდა იყოს, რომ ათი-თორმეტი წელი გაუძლოს სოფლის შკოლის ჯსებას. მაშ რატომ ხუთ-ექვს წელს მაინც არ ჩერდებიან მასწავლებლათ? რატომ ანებებენ ხალხე თავს მესამე და მეოთხე წელს და ხან უჭრო ადრეც შკოლას და სხვა სამსახურში რატომ გადადიან? ამისი მიზეზი ზევით ნახუქამი დამაჯ სჩანს. რას ხედავს მომავალისთვის მასწავლებელი? ამის ცოლ-შვილს რა საიმედო დარჩება, რომ ამან მარცხ-და-მაინც მასწავლებლობას თავი შეაკლას? აზაფერი, სილატაკისა და ტანჯვის მეტო მაშ ამიხსრით ხაჭირთა სოფლის მასწავლებლის მდგომარეობა გაუმჯობესდეს, ე. ი. დაწინაშოსთ მცირედი მაინც პენსია სდიდნმე იმ პირთ მაინც, ვინც თუთხს მეტს ან მეტ წელიწადს დარჩება ამ პროფესიაზე. ამითი შეიძლება ხეირიანი მასწავლებლებიც გამოვიწვიწვიოთ სრულეებში და დიდ-ხანსაც გაჩერდებიან თავიანთ თანამედრობაზე, რაც უძვირ-ფასესია შკოლების კერძოდ დგობისათვის. სანამ ამ მხრითაც არ გაუმჯობესდება ზეენ სოფლის მასწავლებლის მდგომარეობა, მანამ ხეირიან მასწავლებლებს ვერ ვიშოვნით და კიდევაც რომ ვიშოვნოთ, დიდ-ხანს მაინც არ გაჩერდებიან და ჩვენებური შკოლები ზიანის მეტს ვერაფერს მიკეთეს ვერ მთგეიტანენ.

გარდა მოხსენებული პირობების გაუმჯობესობისა, სოფლის მასწავლებელი თხოულობს საზოგადოებისაგან და თავის მართებლობისაგან გონებით საზრდოსაც. სოფლის ცხოვრებას, სადაც მასწავლებელს ბევრჯერ ერთი თანამგრძნობელის და თანამოაზრის მოპოვებაც არ შეუძლიან თავ-და-პირველად, შეუძლიან ხასიათი გაუსხვაფეროს ახალ მასწავლებელს და დააყენოს თავის გზაზე, ე. ი. შეაჩვიოს სმას, ქეიფს და უზრუნველობას. ამიტომ ამ მხარესაც კი დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. ჩვენს კრისფისაც მიუცილებელი საჭიროა, ყოველ შკოლაში თუ არა, რომ აღენიშნე შკოლების რაიონში მანც ვახსნას ცენტრალური ბიბლიოტეკები, საცა უნდა მოდენენ იმეორე კარგ თხზულებათა გარდა, პერიოდული კარგი ყურნალ-გაზეთებიც მიდიოდეს იმას შორის იური-სარგებლობის მოტანა შეუძლია მასწავლებლებისთვის, ერთი და ერთი თვალყურს ადევნებინებს ქვეყნიურ მიმდინაძრეობისთვის და მეორე დახლოვებს სერობსაწინეთს მასწავლებლებს.

დასრულდა თქვენს მიერ მოწოდებული მასალების მიწოდება. გვადამელო. იგი უნდა გეხმარებოდეს იმისთვის, რაც გეჭირება. შეგიძლიათ დაგვიწეროთ, რა სახის მასალები გჭირდებათ. გვადამელო. პირობებისაგან და თავის მართებლობისაგან გონებით საზრდოსაც. სოფლის ცხოვრებას, სადაც მასწავლებელს ბევრჯერ ერთი თანამგრძნობელის და თანამოაზრის მოპოვებაც არ შეუძლიან თავ-და-პირველად, შეუძლიან ხასიათი გაუსხვაფეროს ახალ მასწავლებელს და დააყენოს თავის გზაზე, ე. ი. შეაჩვიოს სმას, ქეიფს და უზრუნველობას. ამიტომ ამ მხარესაც კი დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. ჩვენს კრისფისაც მიუცილებელი საჭიროა, ყოველ შკოლაში თუ არა, რომ აღენიშნე შკოლების რაიონში მანც ვახსნას ცენტრალური ბიბლიოტეკები, საცა უნდა მოდენენ იმეორე კარგ თხზულებათა გარდა, პერიოდული კარგი ყურნალ-გაზეთებიც მიდიოდეს იმას შორის იური-სარგებლობის მოტანა შეუძლია მასწავლებლებისთვის, ერთი და ერთი თვალყურს ადევნებინებს ქვეყნიურ მიმდინაძრეობისთვის და მეორე დახლოვებს სერობსაწინეთს მასწავლებლებს.

Handwritten notes in red ink:
 (წითელი მარკერით)
 გვადამელო.
 შეგიძლიათ დაგვიწეროთ, რა სახის მასალები გჭირდებათ.
 გვადამელო.
 პირობებისაგან და თავის მართებლობისაგან გონებით საზრდოსაც. სოფლის ცხოვრებას, სადაც მასწავლებელს ბევრჯერ ერთი თანამგრძნობელის და თანამოაზრის მოპოვებაც არ შეუძლიან თავ-და-პირველად, შეუძლიან ხასიათი გაუსხვაფეროს ახალ მასწავლებელს და დააყენოს თავის გზაზე, ე. ი. შეაჩვიოს სმას, ქეიფს და უზრუნველობას. ამიტომ ამ მხარესაც კი დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. ჩვენს კრისფისაც მიუცილებელი საჭიროა, ყოველ შკოლაში თუ არა, რომ აღენიშნე შკოლების რაიონში მანც ვახსნას ცენტრალური ბიბლიოტეკები, საცა უნდა მოდენენ იმეორე კარგ თხზულებათა გარდა, პერიოდული კარგი ყურნალ-გაზეთებიც მიდიოდეს იმას შორის იური-სარგებლობის მოტანა შეუძლია მასწავლებლებისთვის, ერთი და ერთი თვალყურს ადევნებინებს ქვეყნიურ მიმდინაძრეობისთვის და მეორე დახლოვებს სერობსაწინეთს მასწავლებლებს.

მიწა-მამული და ზედვგი მის ძალის დაქარგვისა.

კაცობრიობის ისტორიაში მიწის ნაყოფიერობას, როგორც ხალხის დღე-გრძელობის ფაქტორს, ყოველთვის პირველი ადგილი სჭერია. მიწის ნაყოფიერობაზედ ყოფილა დაფუძნებული ყოველი ხალხის სიმდიდრე და სიმძლავრე. ხალხის ხანგრძლივი დღე-გრძელობა თითონ მის პოლიტიკურ წყობილობისაგან არ ყოფილა დამოკიდებული ისე, როგორც მიწა-მამულის ძალისაგან, მის სიმდიდრისაგან. ადგილი, საცა კი წინათ კაცობრიობის ცხოვრებას ძირი გაუდგავს, ყოველთვის შესანიშნავი ყოფილა მიწის ნაყოფიერობის ძალით; იმ ადგილებს კი, რომლებსაც კაცობრიობის ცხოვრებისთვის მიუციათ შესანიშნავი მოძრაობა, მაგრამ მიწის ნაყოფიერობის ძალა კი დიდრ არ ჰქონიათ, არაერთარი ხანგრძლივი კეთილ-დღეობა ხალხისთვის არ მიუციათ, რადგანაც კაცობრიობის დღეგრძელობის მიზეზი იმისთანა ადგილებში მიწის ნაყოფიერობა კი არა ყოფილა, არამედ სხვა—გარეგანი, მალე წარმავალი ფაქტორი კაცობრიობის ცხოვრებისა.

შესანიშნავი ადგილები, საცა კი კაცობრიობის ცხოვრებას დიდი მოძრაობა დაუწყვია, როგორც თითონ

ისტორია გვიჩვენებს, ყოფილან: ინდოეთი, მესოპოტამია, ეგიპტი, მექსიკა, საბერძნეთი და იტალია. თუ ამ ქვეყნების მიწა-მამულის ნაყოფიერობის ძალის გამოკვლევას შეუდგებით, ვგონებ, ვერსად ვერ ვნახავთ ისეთ ისტორიულ შენიშვნას, სადა იყოს ნახსენები, რომ ზემო აღნიშნული ქვეყნები არ ყოფილიყვნენ შესანიშნავი ნაყოფიერობის ძალით სავსე, რისგამოც კაცობრიობის ცხოვრებამ მათზედ მოიკიდა მკვიდრი ფეხი და მერმე მათგან გადავიდა სხვა ქვეყნებშიაც. ერთად-ერთი ანორმალური ფაქტს ამ შემთხვევაში შეადგენს ფინიკია, რომლის ხალხის კეთილ-დღეობა ზღვის ვაჭრობაზედ იყო უფრო დამოკიდებული და ამიტომაც ეს კეთილ-დღეობა არ იყო ხანგრძლივი.

როდესაც ჩვენ რომელსამე ხალხის ისტორიას ვშინჯავთ, იშვიათად შევდივართ მის აგრონომიულ წყობილობის განხილვაში; იშვიათად ვფიქრობთ მის ადგილ-მამულის შემძლებელობაზედ, ანუ ნაყოფიერობაზედ; ჩვენ მომატებულ ნაწილად ვათვლიერებთ მის პოლიტიკურ წყობილობას, სამხედრო ძალას, ურიცხვ-მშვენიერ ქალაქებს, მდიდარ ვაჭრობას, განათლებას, სახელმწიფოს სივრცე-სიდიდეს და სხვ.; ჩვენ გვეადვილება უფრო ჩამოვთვალოთ თითო-თითო ხელმწიფეების გენეალოგია, მათი შესანიშნავი ომები და გამარჯვება, მათი მოქმედებანი, რომლებითაც მათ კეთილი სახელი თავის ხალხისაგან დაიმსახურეს და ამას ვეძახით ჩვენ სახელმწიფოს ისტორიას, — მის ცოდნას. მაგრამ იმ პატარა ნაგლეჯი დედა-მიწისაკი, რომელზედაც გლეხი აშენებს თავის ქოხს და რომლის სიძლიერეზედაც არის დამოკიდებული ხან-გრძლივი სიცო-

ცხლე ხალხებსა, ხშირად არაფეროდ არა. ზვესმის-რა და რც
საჭიროდ ვწაცხვებ, რომ გავიგოთ ჩვენ ხანდაზმან ისეთ
ისტორიულ ხალხს მდგომარეობას ვაქებთ, რომელიც
გარეგანი შეხედულებით მართლა ხალხის დღე-გრძელოა
ბას წარმოადგენს, მაგრამ თვისა არსებობიდან კი ზრის და
საწყისი ხალხის სიკვდილისა და დავარდნიდან, საბერძნეთის
და იტალიის ისტორია გვეჩვენებს ისეთ ფაქტებს წარმოგიდგ
ვენს, რომელიც ეჭვი მხრით საშინელ ხალხს ძალას
და სიმდიდრეს გვიჩვენებენ, მაგრამ მეორეს მხრით კი აც-
ხადებენ მის დაცემას და დალუბას. იტალია იმპერატორ
რატორების დროს გაძლიერებული მხარე იყო, ნამეტნად
ვად ავგუსტის ხანში, როცა მას მთელი ქვეყანა თითქმის
ხელში ეჭირა, მაგრამ სახელმწიფოს ნამდვილ-დღეობისთვის
კმა არა შეძენილად ყოფილან საშემწნი ისეთ როგორც ხანი
იმპერატორების მმართველობისა იტალიისთვის რომე-
ლის დრონი, როცა იტალია განათლებით, ძლიერ-სი-
ღიძით და თავის პოლიტიკურ მნიშვნელობით არა შესა-
ნიშნავ ყურადღებას არ გამოიქცევდა. ჯერ შავის-თავზედ
გაცილებით სანუგეშოდ და სასანატრელი იყენენ, ვიდრე მს
ხანებზე, როცა ძალაობა კართაგენი, მცირე აზია, ისპანია,
გალლია და მთელი საბერძნეთი ჰქონდა დაიპყრო. იტალია
არასაკვირველია ყველა სახელმწიფოს დაცემას თავის
მზეზი აქვს, მაგრამ იარა მზეზი არ მოქმედებს იმასზე
ისე დამლუბავი ძალით, როგორც დედა-მიწის ნაყოფი
რობის მგამოცლა. ეს მზეზი ძლიერ ხანა გამოიკვე-
ლია და მხოლოდ ევროპას აღუთქვას, რამე მასაც ის დღე
მოელოდ, როცა კრიტიკი დემართა იტალიას და საბერძნეთს

იმ შემთხვევაში, თუ გაუძღურდა და სუნაყობიეროდ დარჩა მისი მიწა-მამული უეჭველია, რომ ბევრი ასტორიკოსი იტალისნდაც ცემას მის (ე. ი. თითონ სახელმწიფოს) ზნეობითი ფარყენიპ ლოპას მიაწერს; მის გაუფუჭების და გონებით დაცემის მიზეზად იგი ჩასთვლის უთურდ მამინ დელ ბერძნებს ახალ-გაზდობაზედ რუკას, წარწმუნოებულ უმეცრებას და ბატონ-ყმობას და სხვ. მაგრამ ერთად ერთ მიზეზად ყოველი სახელმწიფოს დაცემისა არის გლეხი-კაცის მოსპობა მისი დედა-მიწის ზურგიდგან განადგურება და ეს მოსპობა არის კიდე დამოკიდებული მიწა-მამულის უეჭრებისაზედ არც განაწილებისაგან და არც აპოლიტიკურ წყობიპ ლობისაგან ან არი გლეხი დამოკიდებულობისუ, როგორც მიწა-მამულის ნაყოფიერობისაგან და მის წერიტინად შექმუშაებისაგან იგივეტის თელახისთანა არფინ არ არც უღ პოლიტიკურ და წამოქალაქო წყობილობაში ჩაბ ვაჭდნილო მაგრამ გლეხების დაუხედებად, იგოთუ ვის ბედთან აქიდევ გამარჯვებით ბრძოლას იოტანს, რადე განაც. მის უდგილ-მამულო ძლიერი ნაყოფიერობისა-განმეც იმოტელა ძალას აძლიეს მასე რომ ამ უკან ასენლოს თაფის დაქმნა გლეხებს წყობილობისთანა ბრძოლა შეგი უძლიან ჩინეთის გლეხისთანა უმეცარი და გაუნათლებ ბელი ძვილად მოიპოვება რამც თუ ევროპიულ კრამედ ჩვენებულ გლეხებზე უკმაგრამ აგრ რამთენ იმეცთასი წესი ლიწადი, რომ ჩინეთის გლეხი მატერიალურად გაცილებით უფრო ჭარგათ დაკმაყოფილებულია და დავისა მამულის კარგათ შემუშაებებს წყალობით, ვიდრე ბევრი ევროპიული გლეხთაგან

თუ გლენს ვარგისი მამული აქვს და აგრეთვე შესაფერი ცოდნაც მისი მოვლისა, უეჭველია, იგი არ გახდება ყურმოჭრილი მონა ორიოდ გროშისა თავის ხარჯის დასაკმაყოფილებლად; მაგრამ ყოველ წინააღმდეგ შემთხვევაში კი, საცა გლენი უხეირო, მამულისა და მის მოუფლობისაგამო, თავის აუცილებელ ხარჯს ნასესხები ფულით ჰფარავს, როგორც ჩვენშია, ადვილად მოსალოდნელია, რომ იმ მხარეს ანუ სახელმწიფოს, საცა კი ამისთანა მოვლინება ხდება, მომავალში ცუდი შედეგი მოელოს.

ასრე, ერთად ერთ მიზნად იტალიის და საბერძნეთის დაღუპვისა ლიბიხი სთვლის ამ სახელმწიფოების მიწამამულის გაუძღურებას, და აგრეთვე, აქედამ გამოყვანილ შედეგს უწმირს იგი გლენ-კაცობის, როგორც დამოუკიდებელ მუშაკ ხალხის, მოსპობას. რამდენათ ეს ლიბიხისაგან გამოკვლეული აზრი მიწა-მამულის დიდ მნიშვნელობას ამტკიცებს დაინახამთ უფრო მაშინ, როდესაც იტალიის და საბერძნეთის ისტორიას თვალს გადავაგლებთ, მათ ცხოვრების მსვლელობას თითონ ლიბიხისა შეხედულობითვე გამოვიკვლევთ. მე, რასაკვირველია, ჩვენ მიწა-მამულებს ისეთ ძალ-გამოცლილებას და ღონის დაკარგვას ვერ მივაწერ, რომ მათი უძალობისა-გამო ჩვენი გლენობის არსებობა შეუძლებელი იყოს; რადგანაც ჩვენი მამულები ბუნებით ჯერ კიდე იმდენათ ნაყოფიერნი არიან, რომ შეუძლებელია ამ მოვლინებამ ჩვენ გლენზე ისეთივე ზედ-მოქმედება იქონიოს, როგორიც რომაელების გლენებზე; მაგრამ ჩვენი მამულების შემუშავება კი ისეთი მიმართულებისაა, რომ მას შედეგათ,

აღრე თუ გვიან, მამულის გაუძღურება მოსდევს. აი ამის-
თანა შემუშავების შედეგზე ამყარებს უფრო ლიბიხი თა-
ვის ხალხობის გაწყვეტის ტეორიას და ამ ტეორიაზე,
როგორც მიწა-მამულის დიდ მნიშვნელობიან საძირკველ-
ზედ, მინდა კიდევ მოვილაპარაკო მკითხველთან, თუ
კი მკითხველი ამ ჩემ ლაპარაკს საინტერესოდ ჩასთვლის.
მიწისაგან ძალის დაკარგვას, ანუ მიწის სისუსტეს, რომ-
ლის გამო მიწა შეუძლებელი ხდება მასზედ მცხოვრებ
ხალხს საზრდო აძლიოს, მოსდევს უთუოდ ან ომი, ან
ხალხის გადასახლება, ან მისი შემუსვრა და გაწყვეტა, ამ-
ბოვს ლიბიხი. ამ სიტყვებს, რასაკვირველია, განმარტება
სჭირდებათ და მე ამ განმარტებას ასრე გამოვხატამ: მი-
წა მაშინ ხდება შეუძლებელი მასზედ მცხოვრებ ხალხს
საკმაო საზრდო აძლიოს, როდესაც მიწა-მამულს მცხოვ-
რებთ რიცხვი ძიელ აღემატება, როდესაც იგი ჯერ
კლდოვან, გამოუსვლელს, უნაყოფო იატაკს წარმოადგენს,
როდესაც მეტი-მეტი შემუშავებისაგან ძალია სრულიად
დაკარგული აქვს, რის გამოც იგი დიდ ხან-გრძლივ და-
სვენებას თხოულობს. ამ მიწის შეუძლებლობის მიზეზე-
ბიდგან ერთიც არ არსებობს ჩვენ მხარეში და მისთვის
იქნება მკითხველმა ამის გამო მითხრას, რომ ლიბიხის
ტეორიას არაერთარი შეხება არა აქვს ჩვენ მხარესთანაო.
მართალია, ჩვენში საშინელი შჭიდროობა მცხოვრებთ არ
არსებობს, მიწა არ წარმოადგენს ახალ, მდებიურ, გამო-
უსვლელ იატაკს, ძალი და ღონე მას ჯერ სრულიად
დაკარგული არა აქვს; მაგრამ ჩვენი გლეხი ისეთ მდგომარ-
ეობაშია ჩავარდნილი, რომ მას ბევრი ნაბიჯი აღარ
უკლია სიკვდილამდინ. ეს მდგომარეობა, დავიჯერო

მკითხველზე მართო ჩვენც მმართველობიურ სწავლები-
 ლობისაგან (просудар сурой) აწარმოვსდგება! მანთუ მეს
 ასე იყოს, მაშ რალათ ეტანებიან დასწოლებზე ეწროპის ხალხ
 ნნი ჩვენებურ მიწა-მამულის მოპაფეებას, რითაც ცსენოაგაფე
 მმართველობის წყნაბილობისა ქვემე არამც თუ მოტეშ
 ლალ შეძლებულნი ხდებიან, ზღმ ყველა თავის გლენურ
 მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, არამედ მდიდრდებიან
 კიდევ და შემდეგში ჩამყლაპველ სკალოებას (კონკურ
 რენციას) უწევენ ჩვენ გლენებს ცხოვრების ასარჩენად!
 ამდს მაგლითი დღესაც კვ თვალ წინა გვყავს: ჩვენებური
 სოფელი „სართიჭალა“ და მისი შემოშავები თანემცნ ცების
 ახალ-შენი (კოლონიი) „კარდენფელი“
 რითი უნდა აიხსნებოდეს ეს მოვლენებანი ჩვენ
 გლენის ეკონომიურ ცხოვრებაში, თუ მივსახარა, რომ
 ვენში მიწა-მამული და მისი შემოშავება კულ ფენზეთ
 დაყენებული, რომ მიწა-მამულს არ ეძლევა ჩვენში ღირს
 სეული მნიშვნელობა, რომ მის მოთხოვნილებას ხეირი
 ანათ არ აკმაყოფილებენ და ამის გამოც ჩვენში მიწა-მ
 მამული თანდა-თან უძლიურდება და აჯერ გლენის სოლ
 ტაკე გამოჰყავს მერმე მისი სიკვდილიცო მე ფითონ ბევრ
 ისეთ გლენის ოჯახობას ვიცნობდებ, რომელნიც თხუთ
 მეტის წლეს წინააღ სამი გუთნითა ხნაგდნენ ესლა
 ერთი გუთნისც ათარ პაღლით ვინც წინათ თავის გუთ
 თანში რეა უღელს ხარს აბავდა დახლოა ოჯახ-უღელსაც
 ძლივ მოულობს ბევრი მცირედ შემძლებელი გლენი შე
 იმუსრა და ბევრი გლენის სახლობა ემოწუნდა თუმცა
 ჩვენ გარეშე მოკი მკითხველო, ცხოვრება დარბარსლო
 რად და შეუშფოთივლად მიმდინარეობს.

ერთი სიტყვით ჩვენში საზოგადოებრივად მიწა-მამული სიმდიდრე იმოტელად არ არი მოსაფხოვარად რამოდენათაც მისი გამოყენება და ხეირიანად შემუშავება, რადგანაც იმ შემუშავების წყობილობას, ანუ წესს, რომელიც ეხლა ჩვენში არსებობს, შემდეგში მიწის ულონობა მოაქვს. ლიბინის აქტით, მინამ რომი თავის ისტორიულ ცხოვრებას დაიწყო, მინამდინე უფრო გაცილებიდანაყოფიებას და ყველაზე კარგად შემუშავებულ ქვეყანას წარმოადგენდა, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი გაძლიერდა და მსოფლიო სახელად „ძლიერისა“ დაიმსახურა იქ, საცა ეხლა პონტიის ქაოლები მშენებენ ჰაერის, უწინეყო 23-ზე მეტი ადგილი მდიდრად და მჭიდროდ მოქედელი მცხოვრებლებისაგან. თავისი ცოდნით და ხეირიანი მიწის მოვლით, სასაკვირველია ლათინებმა რომელიც ქაოლების გადაკეთება და სახანაგობიებათ გამოყენება, რიცხვი უწინდელი სოფლებისა და ქალაქებისა, რომელნიც კი აქვთ რომის ისტორიკოსებს მოყვანილნი, გვიჩვენებენ როგორც კიდევალ მცხოვრებლებზედ, როგორც იმ მიწის ნაყოფიერობაზედ, რომელიც ისეთუნდა, ყოფილიყო შემუშავებული რომელიც ბაღი, რომ მიეცა ჯეროვანნი საზრდო ხალხისთვის, კარამც ფუ მართო ლატრუმდარიანი მებ თითონ სმინიტელების მხარეც კი, რომელიც მომაუტებულ ნიწილად აღლოვანება და ციფრავიანი, თავისი მდენნიერი მცხოვრებლებს დიდხ მრომიდ და ბეჯითებით მომატებულ ნიწილად მშენებერსაანზე და საძოვარ მიონწებათ იყო გადაკეთებულის რამდენათ დიდხ უურადლებას აქცევდინენ უწინდელი რომელნი მიწის შიგამუშავებას, სანს უფრო იქიდგან, რომ მათი საუ

რწმუნოების და ნაციონალურ დღესასწაულების შუა, ერთის მხრით, და მიწის მოვლის და საქონლის შენახვისა, მეორეს მხრით, დიდი კავშირი არსებობდა. მათი დეკანოზები (жрецы) შეადგენდნენ, რამდენსამე ძმათა ერთობას, რომლებსაც მიზნათ ჰქონდათ მინდვრების შემუშავება, როგორც რჯულის მოთხოვნილებისა გამო, აგრეთვე თვით მეურნეობის გაუმჯობესობისთვის. თითონ სარწმუნოების წესი, მისი ცერემონიები და სახალხო დღესასწაულები იმ მიმართულებისა იყვნენ, რომ მიწის შემუშავება მმართველობის ზედამხედველობის ქვეშესჯეროდან და სიყვარული გლეხისა მის საქმისადმი სხვა-და-სხვა სარწმუნოებულნი წესებითა და კანონებით წაექვებინათ.

როგორ მდგომარეობაში იყო მაშინ იტალია, და როგორ სურათს წარმოადგენს იგი ეხლა! მშვენიერ ბაღებისა და ნაყოფიერ მინდვრების მაგივრად ეხლა პესტიუმის ტაძარი, ამბობს ლიბინი, შემოზღუდულია უდაბნოთი, რომელზედაც აქა-იქა ეკლიანი ბურჩქნარია ამოსულიო.

რასაკვირველია, უმეტარი კაცი, რომელიც ხალხის განმრავლების მიზეზად მშვიდობიანობას სდებს და მის შემუსვრას კი ომიანობით ჰხსნის, უექველია, რომ ძველი იტალიის ხალხოსნობის გაწყვეტასაც მის პოლიტიკურ წყობილობას მიაწერს; მაგრამ, ლიბინის აზრით კი, არც მშვიდობიანობა არჩენს ხალხს, არც ხშირ მუსტრავს მას: ამ ორ მოთვლინებას აქვს ჩქარი და მალე წარმავალი ზედმოქმედობა ხალხოსნობაზე. ის, რასაც ნამდვილი შემუსვრა და გაუძღურება ხალხისა შესძლებია, არის და ყოფილ ყოველთვის მიწა-მამული, ანუ, უკეთ ვსთქვათ, მისი ძალის დაკარგვა. მიწის ნაყოფიერობის რაოდენობას კაცი ღერ

შესცვლის, კაცის მოქმედობაზე მარტო ნაყოფიერობის გამოზოგვაა დამოკიდებული. რაც ვინდ ბევრი სასუქი აძლიოთ მიწას, ნუ გგონიათ, რომ ამითი მიწის ნაყოფიერობას მიუმატოთ რამე: სასუქის მიცემით მიწას აძლევენ მარტო იმას, რაც მისთვის წაუერთმევიათ. საზოგადოთ ყველა ფორმაციას, თუ კი იგი გამოსულია, ე. ი. გახსნილი, თავისი ჯამი აქვს მცენარის საზრდო ნაწილემბისა და როგორ გამოიზოგავს კაცი ამ ჯამს—ამაზეა დამოკიდებული მამულის ძალის გამოცლა: ეს გამოცლა შეიძლება იყოს ან ჩქარი, ან ხანგრძლივი და ამ უკანასკნელზედ კიდე დამოკიდებულია მცხოვრებთ შემცირება. რამდენათ მამულის ნაყოფიერობის შემცირება ამცირებს თითონ მცხოვრებთ რიცხვს, გვიჩვენებს ნათლად საბერძნეთის ისტორია.

ბერძნებმა თავის ისტორიული ცხოვრება რომაელებზე გაცილებით წინ დაიწყეს; ჯერ თითონ რომი არ იყო დაარსებული, რომ ბერძნები მიიზიდავდნენ საყოველთაო ყურადღებას თავის სწავლა-განათლებით და მაღალ-შესანიშნავი კულტურით; მაგრამ წინათვე მინამ რომი საქვეყნოთ შესანიშნავი გახდებოდა, მინამდის საბერძნეთს ეტყობოდა დაეარდნა და გაუძლიურება მამულისა. ჯერ VII საუკუნეშივე (ქრ. მოსვლამდე) ეს მამულის გაუძლიურება იყო მიზეზი ბერძნების შავ და საშუალებელეთის ზღვებისკენ გადასახლებისა და იქ ახალ-შენების (კოლონიების) დამართვისა. ჯერ იმ დროსვე ეტყობოდა საბერძნეთს მამულის ნაყოფიერების შემცირება და აქედან წარმომდგარი მცხოვრებთ რიცხვის შემოკლება.

ომში, რომელიც მოხდა პლატეის მახლობლად

(479 წ. ქ.მ.), სპარტის სამეფომ ბრძოლის ეკლზე გამოცემისა 8000 მხელარი სპარსელების წინაშე. სამ საუკუნის შემდეგ არისტოტელისაჲმ სახელმწიფოს ისე დაგარდნილ უწოდებს, რომ მას არამც თუ 8000, არამედ 1000 მხელარის გამოყენაც ველარ შეეძლო. ხს-არმოც-და-ათი წლის შემდეგ სტრაბონი ჩივის, რომ ეს ლაოკონის ქალაქიდან მის დროში ერთი სპარტის გარდა 30 სოფელი-ღს ძლეთ დარჩოთ გაეხდჷნტ. წელიწადო სტრაბონის შემდეგ და წლუტარხს მოგვითხრობს საბერძნეთის სრულებით დაცარიელებას.

სწორეთ ამისთანავე ბედ-იღბლისა, როგორც საბერძნეთი, ძვენენ რომველნიც კატონი თავის სამეურნეო შენიშვნებში, თუძცა ჯერ კიდე არ ლაპარაკობს რომის მის მიწა-მამულის ნაყოფიერობის შემცირებაზედ, მაგრამ უჩვენებს კი იმ შემუშავებაზედ, რომელიც ძიელო აუძლურებს მიწას. სამი საუკუნე გავიდა კატონის შემდეგ, რომ კოლუმელა თავის წინა-სიტყვაობაში 12 წიგნისათვის, რომელნიც იმან მიწის შემუშავებისთაობაზედ შეაღვინა, სწერდა შემდეგს: ღდი-კატობა სჩივის ხან მინდერების უნაყოფობაზე, ხან უნამრდობაზე, რომელიც ცუდად მოქმედობს მისავალზეო. ზოგს ჰგონია, რომ მიწამ, უწინდელი მოსავლოდობისა-გაძო, დაკარგა ძალა; მაგრამ ჰხსნის თერთონე — ვისაც ნამდვილი გარემოება ამ სჩემისა ფუტრებზე აღვილოდ დამაჩნხმდებთ, ორჯამ მიწა არ ბერდება, როგორც აღამიანროს უნაყოფობა მიწის წარმოსდგება ისე ჩვენნი დაუდევრობისა-გამო; რადგანაც მიწის შემუშავებას ყმების უფუნურ მოქმედობის სინაბარას ვაგდებთო.

იხილეთ კომარის წყაროების დაწარმის ხალხის შემოკრება მოსდეს, ამის დასამტკიცებელ ტაქტით ლიბინს მიჰყავს რაიმელებს უმეტესობა, რომელიც დაიწყო კარფაგენთან ჩამოსდროიდან და რომლის მიზეზიც არასდროს არ იყო ეს აღნიშნული მომს, როგორც ზოგიერთი იფიქრებს. საფრანგეთის ისტორიისთვის ვიცით რამდენ ნათესალებს წარმავალნი და მცირედნი ფრანგულნი აქვს თვით უსუსტიკესონ ჩამოსდროიდან და დღემდე რამდენობაზე და რა დენობაზე, თუ მიწა-მამული ექვეყნისა ჯერ ისევ ძალა გამოუტყლელი წესი წაყარა იერობით სწავლა ლიბინის ჰანს-როთს, საფრანგეთის ჩამოსდროიდან დასაშეშხვენი 1793 წლიდან 1815 წლამდინ, დაკარგა მშობლიონზე მეტი მცხოვრები, მაგრამ, ამის დაუხედავათ, საფრანგეთში შემდეგ 1815 წლისა მცხოვრებთა რიცხვი გაცილებით ბევრი აღმოჩნდა, ვიდრე 25 წლის წინათ იყო; რადგან ნაცარელებს უკეთესად ბევრი წაყარა იერობით მამული. ხარმაც ხელებსა წაართრ და მუშაკმა წარმოებელ ხალხს ჩააბარა-გან დაუანებოთ საფრანგეთს თავი და დაუბრუნდეთ ისევ რომელიც უდრდ-ავგუსტის დროსა ისეთი დიდი ნაკლულნი იყვნენ, იყო ჯარში გზამოსადეგნი კაცების მოვინსა, რომ მთელმა რომმა და მისმა ცეისარმა მისი საგან აღარ იტოლდნენ რეს ექნათ, როდესაც გარგეს ზამთარი გერმანიელებსა ვაჟსა ჯარის დამარცხებისა ტეტოლ ბურგის ტყეში. რომლისა მის შემდეგ ველსა შემეძლოთ თავის ჯარი და ლეგა-განაღებეს, მცირე რიცხვებისა-გან, და ვინაღონ ტერგემ შედაც მძედი არ ულიად დაკარგული ჰქონდა. ამისთანა მდგომარეობისა-გან, მას ძალა დატანეს მათი ღონის-ძიება უნდა ეხმარა, რომ შეეფარება მცირე დროსა მხედრო ძალა.

მაინც. ლივიი, როდესაც მოგვითხრობს იტალიის დაცარიელებაზედ, სხვათა შორის, ვოლსკების (უწინდელი შუა იტალიის მოადგილენი) მიწა-მამულზე ამბობს შემდეგს: ეხლა იმასა ცდილობენო, რომ იგი (მიწა-მამული) სრულებით არ გადიქცეს უდაბნოთაო, რომ მასზე პატარა ჯარის შენახვა მაინც შეიძლებოდესო. ამის გარდა, რომის ისტორიკოსი მომხენი იძახის, რომ იტალია იულიცეზარის დროსვე პურის დიდ-სიძვირობაში და ბევრ-ჯელ შიმშილობაშიაც იყო ჩაყარდნილიო. ეს ფაქტები ცხადათ ამტკიცებენ, რომ იტალიის მიწა-მამულის შემუშავება ვერ აკმაყოფილებდა მცხოვრებთ აუცილებელ მოთხოვნილებასა და ამ დაუკმაყოფილობობას გამოჰყავდა ხალხის შემცირება.

თუმცა რომში სხვა-და-სხვა ქვეყნების სიმდიდრემ მოიყარა თავი და რომმა მოჰფინა საქვეყნოთ თავის სახელი, როგორც უპირველესი მსოფლიო ქალაქისა; თუცა იგი ძიელ შეიმკო მშვენიერი ტაძრებით, აბანოებით, ხიდებით და სხვა შესანიშნავი და ძვირფასი შენობებით, მაგრამ მთელ მის სიმდიდრეს ველარ შეეძლო დებრუნებინა რომის მიწა-მამულისთვის ის, რაც საჭიროა ხალხოსნობის სიცოცხლისთვის. თუმცა გარეგანათ რომი სიმდიდრით მოკაზმული იყო, მაგრამ მის მცხოვრებლებს კი კუჭი შიმშილით ეწოდათ და ქუჩებში ყვირილის — **panem et speculum!** — მიზეზი იმდენათ ხალხის ზნეობითი გარყვნილება და ლტოლვილება მუქთად ლუკმა პურის მოპოვებისადმი არ იყო რამდენათაც მიწის ნამდვილი უძალობა,

მაშინ, როდესაც რომში სწავლა-განათლება თან-და-თან უფრო ვრცელდებოდა, ამბობს ლიბინი, ხელოვნო-

ბა საშინლად მრავლდებოდა და სუყველაფერი, რაც კი კაცობრიობის დღეგრძელობას ემსახურება, წარმატებაში იყო, მაშინ სულ ეს მოვლინებანი უფრო აჩქარებდნენ ძველი ქვეყნის დაცემასაო.

ვერც კაი-გრაქხის სამეურნეო წესდებებმა, (**агра-ные законы**) ვერც იული-ცეზარის და ავგუსტის მოქმედობამ ველარ აღადგინეს ის თანასწორობა, რომელიც უნდა არსებობდეს მიწა-მამულის ნაყოფიერობის და მცხოვრებთ შუა. რომის კეისარნი იძულებული გახდნენ რომის უპურობა და შიმშილი სხვა ქვეყნებში მოგროვილი პურიტ დევკმაყოფილებინათ და დაუწყეს ამის-გამო საშინელი ყვლეფა თავის პროვინციებსა. სხვა ქვეყნებიდგან მოტანილ პურს ურიგებდნენ საწყაღ და შეუძლებელ ხალხს, მაგრამ, როგორც გინდათ იფიქრეთ, მკითხველო, ძნელია დამშეული მხარესი ნასყიდი პურიტ გაძღობა! იული ცეზარის დროს რიცხვი დამშეულთა, რომლებსაც სახელმწიფო მაღაზიებიდგან პურს ურიგებდნენ, იყო, როგორც ლიბინი ამბობს, **350,000**. დიდი ავგუსტის და მის შემდეგ კეისრების დროს — **200,000**. თითო კაცს ეძლეოდა **5** ცენტერი წელიწადში და მაშასადამე, ამ ზემო-აღნიშნულ დამშეულთ რიცხვისთვის საჭირო იყო **2 1/2** მილიონი ცენტერი პური, ანუ ჩვენებური ზომით — **6,250,000**. ეს პური რომაელებს მოჰქონდათ მცირე აზიიდან, აფრიკიდან, სიცილიის და სარდინიის კუნძულიდან. თუ ჩვენ სახეში ვიქონიებთ, რომ მცირე აზია ჯერ კაი-გრაქხის დროსვე რომის პურის საკუჭნაოდ ითვლებოდა, ნათლად დავინახავთ, რა დიდი ცული ზედ-მოქმე-

დება უნდა ჰქონიყო მცირე აზიისთვის ამ საშინელ მიწა-მამულის ნაყოფიერობის გამოცლას.

მიწის შემუშავება და პურის წარმოება თხოულობდა დიდ-ძალ მუშაკ-ხელსა და ამ შემთხვევას კიდევ თავის-უფალ და დამოუკიდებელ მცხოვრებთ დამონავება გამოჰყავდა შედეგად: რადგანაც საჭირო იყო პურის წარმოება ძველ ფართო ფეხზე ყოფილიყო დაყენებული და ამ საჭიროებისა-გამო მართებლობა იძულებული ხდებოდა რიცხვი მონებისა უფრო გვემრავლებინა, რაც შესაძლო იყო, რასაკვირველია, თავისუფალ მცხოვრებთ რიცხვის შემცირებითა. უკანასკნელი კეისრების დროს არამც თუ რომის მცხოვრებნი, არამედ თვით ნახევარი იტალია ცხოვრობდა სხვითა სარჩოთით, ამბობს ლიბინი. მისი წადილი, გონებითი და ზნეობითი ცხოვრება, ლუკმა პური და ყოველი თავ-სარჩენი მატერიალური ღონის-ძიება ძიელ იყო დამოკიდებული ბატონებზე, ანუ უკეთ ვსთქვათ, დიდ-კაცობაზე. ამ ჭლახური დამოკიდებულობისა - გამო რომის მდაბალი ხალხი ანუ გლეხობა ზნეობით ისე დაეცა, რომ ყოველი კეთილ-შობილური გრძნობა მას დაეკარგა და უწინდებული თვით-მოქმედობა, მაკარი ხასიათი და მოუსყიდელობა გადაეცა მას უბრალო მონურ თითლიბაზობათ და გაიძვერაობათ. კაცის ღირსების აღმადგინებელი თვისების დაკარგვისა-მებრ ჰქრებოდა თანდა-თან თავისუფალი გლეხური გვარ-ტომობა და მის მაგვირად ცხოვრების ასპარეზზედ გამოდიოდა სალდათობა — უბრალო ხეპრი ძალა, რომელიც ჰმფლობდა და განაგებდა მამულს როგორც მონა, და არა როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი გლეხობა. ამ სალდათობამ

უფრო შექამა და გაანადგურა მთელი მწარმოებელი ძალა იტალიისა — თავისუფალობა გლახობისა. ასე და ამ რიგათ დაასრულა იტალიამ თავისი ხანგ-რძლივი ათასწლიური ცხოვრება. რა იყო მიზეზი ამ უბედურებისა? — მიწა-მამულის ძალის გამოცლა ცუდი მოვლისა და შემუშავებისა გამო.

26 მაისი, 1881 წელი.

თავიღვან თუ ბოლოღვან?

(შენიშვნები ჩვენი სტუდენტობის მიმართულებასზე
და მოვალეობასზე.) *)

შინ რომ ბაღლი ტიროდეს გარეთ ცაბლას რა უნდაო.
ქართული ანდაზა.

ქართველებმა ვიცით, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო, მაგრამ ურემის გადაბრუნებას იშვიათად ავიცდნენო ხოლმე და გზის გამოძებნაზე თავს არ ვიდებთ. მთელი ჩვენი ისტორიული ცხოვრება მრავალს მაგალითს წარმოგვიდგენს ამის დასამტკიცებლად და აი საუკუნოებით შემუშავებულს ჩვენს ხასიათს ახლა ვცდილობთ გადავაკეთოთ. როდის გვეღირსება ჩვენ ამ საუკუნო ცოდვის გაშორება, რომელსაც ქართველურს გულ-გრილობას და სიზარმაცეს ეძახიან? ეს თუმცა საინტერესო კითხვაა, მაგრამ ჩვენ მაინც განზრახვა არა გვაქვს ამის გამოკვლევას შეუდგეთ. ჩვენ სხვა საგანი გვაწუხებს და გვსურს მის განხილვას მოვყვეთ და იმაზედ გავმართოთ საუბარი მკითხველთან.

*) ამ საგნებსზე ჩვენს აზრს გამოვთქვამთ ცალკე თავის დროს.
რედ.

ჯერ-ჯერობით კი შევნიშნავთ, რომ სიზარმაცე ეონებისა ხელს არ მოგვეცემს და ერთად-ერთი იარაღი აზიური მდგომარეობიდან გამოსვლისათვის არის გამოკვლევა და შესწავლა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ-ნაირი მოვლინება გამოძიება და მეცნიერული აღიარება (**АНАЛИЗЪ.**) საჭიროა ძიელი მწერლობა და ლიტერატურა.

ის კი არა თუ, თითქმის ყველა გრძნობს, რომ ჩვენი მოწინავე ახალ-გაზდობა ისეთი არ არის, როგორც უნდა იყოს; რომ მას ან სწავლა-განათლება აკლია და მეცნიერების იარაღით არ არის შეჭურვილი, ან თუ აქვს განათლება, იგი ისე ვრცელი და ფილოსოფიურია, რომ სრულიად ვერ გამოუყენებია ახალხისა და ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის, საზოგადოებრივ საქმეებში თაოსნობისათვის; რომ მას ღიად ის სულის სიძალუმე და მდგარი შრომის მოყვარეობა შეეჩინა, რომელსაც მის მამაკაცს ამშვენებდნენ, და მათი დიდებულ ხასიათების აჩრდილიც კი აღზოცილა ეხლანდელ გალაჩრებულს ახალ-გაზდობაში.

რაც შეეხება სტუდენტობას, რომელიც შეაფასებს შეთხვევებულს მოწინავე ახალ-გაზდობის რაზმებს, გამოითქვა ის აზრი, რომ მას ვითომ რიგინად არ ესმის თავის მოწოდება და ჯერ-ჯერობით არც კი გამოუკვევია და გამოუძებნია ის გზა, რომელსაც იგი უნდა ადგეს სტუდენტობის დროს და ლობე-ყორეს აწყდება ლამაზი აზნაურისავეთ; რომ იგი არ ეძებს ვრცელს თეორეტიულს განვითარებას, რომელსაც მას გაუადვილებენ აუმაღლესი სასწავლებლები, ბიბლიოთეკები, შეერთებული შრომა,

გაასი, თავისუფალი ყრილობანი და სხვ., რომ იგი ერთობ სუსტი ბრუნდება უმაღლესი სასწავლებლიდგან და მოუწადებელი საზოგადოებრივ მოღვაწეობისათვის, ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. *) არ ვიცით ამ მარჯვე კალმის პატრონებმა სად მიიღეს ფილოსოფიური განათლება, მაგრამ საქმეს კი უფრო ხლართავენ საზოგადო ფრაზების წამოსროლით ფილოსოფიურს განათლებაზედ და ვრცელს თეორეტიულს განვითარებაზედ. ისე რომ კითხვა ისევ კითხვად რჩება და ჩვენ ვერ აგვიხსნია ის მოვლენა, რომ ჩვენ კაცები არა გვეყავს, ახალ-გაზღობა გაუნათლებელია, მისი სისუსტე არ შეესაბამება მის უმაღლესს მოწოდებას და დანიშნულებას სამშობლოსა და ქვეყნის წინაშე. ისიც კი გვიკვირს, რომ სტუდენტობას სურვილი აღძვრია და სული მწარით მოუნდომებია შესწავლა საქართველოსი, მისი ისტორიული ცხოვრებისა და აწმყო ეკონომიური, ეტნოგრაფიული და სოციალური მდგომარეობისა; მოუნდომებია დახმარება შეძლებისა-და-გეარად სახალხო განათლებისათვის, რომელიც ეხლა-ხან არის ფეხ-ამდგარი და ჯერ ისევ ფეხ-მოუკიდებელი, დაკმაყოფილება იალხში აღძრული კითხვისა და გონების გაფხიზლების ჩუქურვილისა, რომლის მოკვლისათვის განურჩევლად ეწაეება იგი სხვა-და-სხვა ვივიშვილების და ჯანი-ოღლის ნაჩხაბნსა და ნაწარმოებსა. და აი ამ დროს ჩვენ მიუწერთ ახალ-გაზობას, როგორც ჩვენ მდვიდურობას და დარბაზსლობას შეეფერება, რომ იგი ტყვილად ჩქარობს და

*) «დროება» №№ 47 და მგონი 50

ზოგადი ფრაზებით ვამცნევთ მას ქუხილისა. სიტყვებითა მეცნიერებით შეჭურვის საჭიროებასა, თითქო ამ ჭეშმარიტების წინააღმდეგი იყოს ვინმე, ვამცნევთ საქართველოს შესწავლის სურვილის ამოცხებასა და თავაზიანათ ვაძლევთ ნებას, თუ მაინცა-და-მაინც არ დაუშლია, გარნა თავის მოვალეობისა და იმავე ფილოსოფიური განვითარებისა, „გააცნოს მან მკითხველი საზოგადოება რუსეთის ეკონომიურს ცხოვრებასთან, პოლიტიკურს და სოციალურს მდგომარეობასთან.“ მხოლოდ უშლით ოცნებობასაც კი იმას, რომ მან სტუდენტობაში ან საქართველოს აწინდელი მდგომარეობა შეისწავლოს და ან მისი წარსული ისტორიული ცხოვრება. ერთი სიტყვითაც კი არ გვეუბნებიან, კეთილის-მყოფელნი, რაში უნდა მდგომარეობდეს ის ფილოსოფიური განვითარება იმ კაცისთვის, რომელსაც მთვარეზედ არ უნდა წავიდეს საცხოვრებლად, და ან ავსტრალიაში არ ფიქრობს დასახლებას ველურთა შორის; არ გვეუბნებიან რა მეცნიერებაა და რა ნაირად უნდა შეიჭურვოს იმით კაცი, რომ იგი რიგიანად და ნაყოფიერად მოღვაწეობდეს და მუშაკობდეს თავის ხალხში და ქვეყანაში, მაშასადამე, დიახ განსაზღვრულს სფერაში და გამიჯნულს ალაგს. ახლა ვიკითხოთ, იცის ხოლმე თუ არა ის გამიჯნული ალაგი მეცნიერებით შეჭურვილმა? იცის ხოლმე თუ არა სოსიკოსი და ბესოს ამბავი. ვრცლად განვითარებულმა? ერთის სიტყვით, იცის ხოლმე ყველა ის, რაც უნდა მას დედის ძუძუსთან შესწოვებოდა? სადა გაქვსთ თამასუქი, რომ ვრცლად განვითარებული ემანუელ კანტზე არ მოუყვება ლაპარაკს იმ ხალხს, რომელსაც ლამის საკუთარის ბრძენის, იოანე პეტრიწის,

არსებობა დააფიქსდეს და თამარ მეფის მეფობა? რითი დამაჯერებთ, რომ მეცნიერებით შეჭურვილი ბოკლსა მილსა და სპენსერს ისე არ აურევს ერთმანეთში, როგორც ღომხალს? რა ვიცი მე, რომ იგი კრუკის თეორიაზედ არ ამომიყვება საუბარს სხეულთა მეოთხე ნაიჭს მდგომარეობის შესახებ, ან სხვა რამე ისეთზე, რომელსაც, — როგორც გინდა გნებავდეთ, მკითხველო, — არავეთარი კაფშირი ირა აქვს ჩვენს მდგომარეობაში არც სულთან და არც ხორცთან?

კეთილის-მყოფელების სურვილის უსაფუძვლობას და მათ მოთხოვნების მოწერილობის ხეპრობას სტუდენტობის მიმართ, ჩვენ ქვემოთ დავანახებთ პატივცემულს მკითხველს, ჩასაკვირველია, სხვათა შორის, რადგან არა გვცალიან ყოველი ექიმის ნუსხა ვარჩიოთ, რომელიც, ერთი საშუალო საუკუნოების სულელი ექიმისა არ იყოს, აიჩემებს და აჯორებულნი გაიძახის, რაც უნდა ავათ-მყოფი მიუყვანო, — **purgare et clistisare**’ო. მხოლოდ ეხლა, ვიდრე ჩვენ უმთავოესს საგნის გამოკვლევას შეუღებოდეთ, ამ ექიმების ორიოდ აზრს კიდევ შევეხებეთ გაკვრით.

ეს ვაჭ-ბატონები ამტკიცებენ და ჩვენც თანახმა ვართ, თუმცა სრულიად კი არა, რომ ჩვენში არ არსებობს ისტორიული, ეტნოგრაფიული და ეკონომიური ტენციერება და, მაშასადამე, — ფანაგრობენ იგინი, სისულელია სტუდენტობის მხრით გამოეკიდოს იმ კურდღეს, რომლის არსებობა ასრე საექვო გამხდარა, როდესაც სხვა კურდღელს უნდა მისდევდნენო. განა კურდღელს მივსდევთ აქა და არა მწევარსა? თუ კურდღელს მივსდევთ აქვე, სა-

ქართველო მაშინ რაღა შუაშია, და თუ მწევრის შეძენა გვინდა, მაშინ სახსარი და საშუალება მიზნად არ უნდა მიგვჩინდეს მახნცა-და-მაინც და მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მწვეარი მართო იმიტომ არის საჭირო, რომ კურდღლის დაჭერა შეეძლოს. ეს ერთი და მეორე, თუ არ არსებობს ჩვენში ეს სხვა-და-სხვა მეცნიერება, ვისი ბრალია და რა არის მიზეზი? თუ ჩვენმა საზოგადოებამ არ შეჰქმნა აქამდისინ ისტორიული მეცნიერება, არ შეისწავლა თავის ქვეყნის ეტნოგრაფიული და ეკონომიური მდგომარეობა, ვინ არის მაშინ მოვალე შეგვივსოს ეს დანაკლისი და შეგისწავლოს ეს ფრიად საჭირო მხარეები ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა? თუ მართლა ჩვენ არ ვიცით ჩვენი წარსული ცხოვრება, ჩვენ არ გამოგვიკვლევია ჩვენი აწმყო მდგომარეობა, საჭიროა და აუცილებლად საჭიროა თუ არა, რომ ყოველი ჩვენი ღონე, ყოველი ჩვენი თავისუფალი დრო, ჩვენი სიცოცხლეც კი არ დავიშუროთ ამ ფრიად დიდი და დიახ შესანიშნავი საქმისათვის? **Nosce te ipsum!** — თქვათბრძენმა. ჯერ შეისწავლოთ თავი ჩვენი, — გადავასხვაფერებთ ჩვენ. საზოგადოება არ დაადგა ამ გზას, ვალია თუ არა, სამღვთო ვალია თუ არა ახალ-გაზღობისა, იმ ახალ-გაზღობისა, რომელიც იღებს უმაღლესს განათლებას, ეწაფება გახურებული მეცნიერების შიგ სათავეში, ჰქმნას ის, რაც არა ჰქმნა, ან ვერ მოახერხა, ან ვერ შეიძლო მამამ და პაპამ? არ ვიცით ისტორია, არ ვიცით ლიტერატურა და მისი ისტორია, არ დაგვიმყარებია ეტნოგრაფიული და ეკონომიური მეცნიერება, — მაშ აქ რაღა კოდელი ნინოა საჭირო — ვისწავლოთ, ვიშრომდეთ და დავამყაროთ. მეცნიერები ჩვენში სულ უცხოე-

ლები არიან თითქმის: ეს ბერკეო, ეს რადეო, ეს ზაგურსკო და სხვ. ვინ რას ამბობს ამ პატივ-ცემულს სწავლულებზე, მაგრამ ჩვენ ჰავის შეთვისების სიძნელეზედ ვლპარაკობთ და ვფიქრობთ, რომ თვით ქართველნი ახალგაზდანიც აქ გადაგვარების შემდეგ მანდ ველარ გამოდგებიან ხოლმე. რუსულს და დუხაბორულს ხარებს ჭირი დალიან ემტერება ჩვენში, მგონი.

ესრედ და ამ ნაირად ახალ-გაზრდობამ უნდა იღვას კისერზედ ის საქმე, რომელიც მას უანდერდა მამა-პაპამ. ჩვენი საზოგადოება ცდილობდა და დღესაც ცდილობს თავის-თავი შეისწავლოს, გაიცნოს ის კანონები, რომლებსაც იგი თავის ცხოვრებაში ემორჩილება, რომ უკეთურება აიცილოს შემდეგში, მომავალის განჭვრეტა შეეძლოს დაახლოვებით, მაგრამ ჟამთა-ვითარებამ, ბედ-იღბალმა, განსხვავებითა აღზრდამ და უცხოეთის გამხრწნელ სტრიქონების ძლიერმა გავლენამ ნება არ მისცეს შეესრულებინა თავისი მოვალეობა ხალხის და მამულის წინაშე, აესრულებანა თავისი დანიშნულება ქვეყნაზე და მომავალი თაობისათვის გარდაეცა უფრო ადვილად შესასრულებელი საქმე, განათლებული ბედი და სიკეთით ლავსე მომავალი. რაც ვერ შესძლო წინა-თაობამ, ის უნდა შესძლოს, უნდა ეცადოს მაინც, რომ შესძლოს, მომავალმა, მოზარდმა, ახალმა თაობამ.

აბა ახლა გადავავლოთ თვალი ჩვენი სტუდენტობის მდგომარეობის სურათს, წარმოგვიდგენს თუ არა იგი ამ ნაირ მიმართულებას, მიდრეკილებას და ლტოლვილებას. ამ კითხვაზე, საუბედუროთ, დაბეჯითებით ვერ იტყვი ჭკობა.

ზოგმა ქართული ლაპარაკი აღარ იცის, ზოგი კითხვას ვერ ახერხებს, ზოგი სრულებით არა ფიქრობს საქართველოზედ და თავის ხალხზედ. ზოგს სტუდენტს—იურიტს რომ ჰკითხო რამე, მაგალითად ესთქვათ, სოლომონ ლეონიზე, —იმერეთში რომ ლეონიძეები არიან, იმათზე მეკითხებიო, გიპასუხებს; ან საქართველო 4 და 5 საუკუნეზედ მეტია, რაცა ცხოვრობსო! — რათ მიჩივ ანტონ I-ზედ დასწერე სადისერტაციო თხზულებაო, — ეკითხება თურმე განცვიფრებით ერთი სასულიერო აკადემიაში კურს შესრულებული ახალ-გაზდა ერთს ქართულის მკოდნეს, — განა რა მოხელე იყო ისეთი, ანტონ კათალიკოზიო, რომ ღირდეს იმაზედ შრომაო, როდესაც მე მშვენიერი თემა მაქვს, მაგალითებრ *объ участіи разума въ дѣлѣхъ вѣры*.

ერთი დაფიქრდნენ ჩვენი მარჯვე პუბლიცისტები, განა ამ ნაირს დაფერფლილს ცეცხლს წყალი უნდა დაასხან? ჩვენ იმათზე აღარას ვამბობთ, რომელნიც მეცნიერების სახელით ქადაგებენ ვითომ და კანონიერებას პატარა ერების ჩაყლაპვისას დიდთა ერთაგან და დიდ პოლიტიკურს აღლომერატების სამართლიანობას აღიარებენ, ან იმათზე, ვისაც მსოფლიო წინასწარმეტყველად მიაჩნია თავის-თავი და ხებრულად კოსმოპოლიტობს.

— *Гфу, какіе узкіе взгляды!* — გაიძახიან წამ-დაუწუმ ამ ნაირი ეაქბატონები და ქალ-ბატონებიც, როცა ეროვნობაზედ ჩამოვარდება ლაპარაკი.

ღიახ, მახინჯები ბევრი არიან. გიხაროდეთ, პუბლიცისტებო, ესენი არც საქართველოზედ ფიქრობენ და არც მის შესწავლაზედ. მაგრამ ვაი რომ თქვენ მოწერი-

ლობასაც ვერ მისდევენ და სამშობლო ქვეყანას არ აღ-
ნობებენ რუსეთის მეცნიერებასთან, მის ეკონომიურს და
სოციალურს მდგომარეობასთან!

თუმცა ეს ასეა, მაინც ჩვენ გეჯერა და გერწამს,
რომ სტუდენტობის ზიგიანი წარმომადგენელი, სტუ-
დენტობის უმრავლესობა, აღარ ფიქრობს ისე, როგორც
ფიქრობდა ოდესმე; მე მწამს რომ სტუდენტობა საზოგადოთ
აღარ ადგას თავის ქვეყნის შესახებ სამარცხვინო უმეცრების
გზას და ეს ისეთი ნიშანია, რომელსაც გულის ძვერით
და აღტაცებით უნდა ვეგებებოდეთ, თუ გერწამს კიდე
ჩვენი ქვეყნის ბედი და ველით მის უმჯობეს მომავალს.

რათ მოხდა უგვარო მოვლენანი სტუდენტობის
ცხოვრებაში და მისი მიზეზები eo igso თვით მოღვაწე,
მოწინავე ახალ-გაზრდობაში, რა გვაწყვიტა და რით მო-
გვეწყვიტა განა გული ჩვენმა მშობელმა დედა-ქვეყანამ, რომ
ასრე გამწყრალი უბღვეროდით და მის ღირს-შვილობას
უთაკილობდით, რად დაგვიანდა ის სანატრელი პირის მი-
ბრუნება სამშობლო ქვეყნისაკენ, რა ტანჯვა და ბრძო-
ლად დაუჯდა ეს ახალ-გაზრდობას და საზოგადოებაც
რამდენათ არის ამის დამნაშავე, — აი კითხვები, რომელ-
ნიც ჩვენ გულის გვიკლავენ და ზოგიერთა მათგანი დღეს
გესურს გავხადოთ პირ-და-პირ საფნად საუბრისა მკითხვე-
ლთან.

მათ ღლევას და შემეცნებას შეუდგებით ეხლავე და
ვეცდებით, რამდენათაც ძალა და ღონე შეგვეწვავა, რი-
გიანათ გჰმოგვკანძოთ ჩვენი აზრი.

II

რომ დარბაისლებს არ ვაწყვეინოთ და საფუძვლიანები არ გაგვიჯავრდნენ, მოვეყვით თავიდან გლახა ქრიაშვილისავეთ, დაიწყეთ ab ovo.

ყველაზედ უწინარეს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებითი ყურადღება იმ განსხვავებულს, აღმზრდელ წრეს, რომელშიაც ბედისაგან არის ჩაყენებული ჩვენი ახალი მოზარდი თაობა იმ თავიდანვე. საშინელი სურათი უნდა წარმოუდგეს ყოველს დაუმახინჯებელს კაცის გონებას! ექვსი და შვიდი წლიდამ სასწავლებელში მიცემული ახალგაზდა, ნორჩი გონების ბავშვი, გარდა ამისა, რომ არა ჩვეულებრივს უცხო მიდამოში ვარდება და ბევრს ძალას სთხოვს მისი შეთვისება, ერთი ორად და ერთი ათად იტანჯება უცხო ენაზე სწავლებით, მომეტებულს ნაწილად უცხო ტომის მასწავლებელთა გავლენის ქვეშ, თუგინდ კეთილ-სინილისიერნიც იყვნენ ეს უკანასკნელნი. მოწაფედ ჩარიცხვისათანავე იგი ეთხოვება მშობლიურს სფერას, ლეილ-დედა-სტიქიონებს და ათას-ნაირი მიღეთის ხალხი, ათას-ნაირს ენაზე მოჯიყჯიყე ჭაბუკობა ეხვევა მას გარეშემო. ცხადია რა ნაირი გავლენა უნდა იქონიოს ამ უცხოეთის, ამ ბაბილონის გოდოლის მშენებელთ ენათა შერევამ, ჯერ გაუფურჩქნელს, ცნობიერებას მოკლებულს, ჯერ ისევ ძუძუ-მწოვარა ბავშვზედ. შემდეგ დაიწყება მისი სწავლის და გონების ვითომ ვარჯიშობა. სძლევს ბავშვი რუსულს ენას, ღრამმატიკას, გეოგრაფიას, ძველს ენებს, ისტორიას, მათემატიკას და სხვა ათას-ნაირს საგნებს, რომელიც ისწავლებიან რუ-

სულის დამხლოდ რუსულის ენის შექმნობით. ეთქვათ, რომელიც უფრო ბედნიერი იყო, მიიღო ატტესტატიც, ეს ჰასაკში მოსვლის ნიშანი, და გაუდგა დამწიფებული გონების, (ხშირად უფრო დამახინჯებულის,) პატრონი რუსეთის გზას, უმაღლესს სასწავლებლებში შესასვლელად. მართო მაღლიანი ნიჭის პატრონნი და შეუმუსგრელი ხასიათის მქონენი იტა-ნენ მთელს იმ თან-და-თანის გონებითს დახშობას, რომელსაც საშუალო სასწავლებელში განათლების მიღებას ეძახიან. როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, მათი უპრაველესობა, ან გამოუდგარს, გონება დახშულს, კაცურს გრძობებს და იდეალებს მოკლებულს ჩინოვნი კობას შეადგენს სხვადა-სხვა ჩინისა და ხარისხებისას, ან სამღვდლოებას, რომელსაც მერე ჩვენვე უჩივით, გლეხს ტყავს აძრობენ, მთვრალეები დაეხეტებიან, ქართული არ იციან, სამღვთო წერილი არ ესმით, ქადაგება ვერ უთქვამთ, რუსულათაც ვეღარ ლაპარაკობენ და საზოგადოთ უმეცრებაში და ღორულს ცხოვრებაში ლიკლიკობენო.

უფრო ბედნიერი, როგორც წინითაც მოვიხსენეთ, ცოტანი არიან და ან ისინიც რაღანი არიან? ტანჯვის და წამების ბეჭდით აღბეჭდილნი. ეს არ უნახავს საუკეთესო ქართველი ლემნაზიელიც კი, რომელიც ქართულად აზრის გამოთქმას ვერ ახერხებს შინაურობაში და გონების ქრაფშუტობაც ისე ნათლად ატყვია; ან საუკეთესო სემენარიელი, — ეს საცოდავების შეილნი, ტანჯვის და ბრძოლის მუხრუჭში გამოვლენილნი, დაღალულნი უღროდოთ, მოქანცულნი და ხალის მოკლებულნი, დარბაისელნი „კონტნი და გეგელნი.“

მიემგზავრება ეს ბედნიერი ნაწილა ახალ-გაზრდობისა უმაღლეს სასწავლებელში. ბარბაროსულად დადგენილ აღზრდის სისტემას, რომლის მამაკედინებელს, გამოუმზრალს უგულობას აქ, რუსეთშიაც კი ასეთი საშინელი კვალი დაუტოვებია, არ წაურთმევია ახალ-გაზრდასათვის თავის-თავის იმედი. იმას კიდევ უღვივის გულში ნაპერწკალი კაცობისა, ექვებითა შებურვილი და შავად მღლეარე ფიქრებით მოცული მიიღოტვის რუსეთში, რომ იქნებ ღმერთმა მიშველოს და კაცად ექცეო.

არცა სტუდენტობა, თუმცა, რასაკვირველია, ზოგი კუზნანისათვის სამარის მეტი გამასწორებელი აღარა, არის რა.

მაგრამ აქ პატარა ხანს შევიჩრდეთ და გამოვირკვიოთ, რას ვეძახით ჩვენ შმობლიურს სტიქიონებს და რა მნიშვნელობას ვაძლევთ მათ ახალ-გაზრდობის აღზრდაში. ეს იმიტომ არის საჭირო რომ უფრო ადვილი შესამეცნებელი და მისახვედრი იყვეს მკითხველისათვის ის მიმართულება, რომელსაც უნდა ადგეს ჩვენი სტუდენტობათვით ძალთა—ძლეობით, თვით გარემოებათა მეოხებით და არა ჩვენის, ან თქვენის ნებით და სურვილით, მკითხველო.

შმობლიურს სტიქიონებს ჩვენ კერძოდ დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ, მაგრამ ხათაბალა ის არის, რომ ეს ერთი იმ საგანთაგანია, რომლის წარმოდგენა უხეიროთა გვაქვს გამოხატული, მხოლოდ ვგრძნობთ კი ძლიერად. ისე რომ მეცნიერული ღლევა თითქო აჩ ეკარებაო ამ საგანს. მაგრამ, მაგიერად ღვიძლი სტიქიონების დედაძარღვს შეადგენს ენა, სარწმუნოება, თვით ქვეყნის ავ-

კარგიანობა და სხვ. ყველამ იცის ამ მხრივ მეცნიერებამ რაც გამოიკვლია, მაგრამ ჩვენ მეცნიერებას თავს დავანებებთ ახლა და ჩვენ აზრს გაკერით წარმოუდგენთ მკითხველს იმდენად, რამდენათაც ეს საჭიროა, რომ უმთავრესი ჩვენი აზრი უფრო ცხადი იყოს.

ვიმეორებთ, მკითხველო, არ შეგაწუხებთ პედალოლიური ავტორიტეტების ჩამოთვლით და იმათ თხზულებათაგან ამონაკრები ციტატებით იმ უაღრესს მნიშვნელობაზედ, რომელიც აქვს დედა-ენას პირველ-დაწყებითს სწავლებაში, სკოლის ორღანოვანობაში და დადგენაში. აქ მოვიხსენებთ, რომ სამღეთო უფლებებზე დედა-ენაზე სწავლებისა ჩვენ უკვე ჩამოგვერთვა და ჩვენი მწერლობის ბრძოლამ ვერა გააწყო რა ჯიუტი, აჯორებული სიკერპის წინააღმდეგ. იქ კი, სადაც ჩვენი ჭაბუკობა, მოზარდი თაობა ესრედ წოდებულს საშუალო განათლებას იღებს და მანინჯდება ყოველ-მხრივ უშვერის და უგვანის აღზრდის სისტემით, ჩვენ ვერც კი ვაგვიბედნია და თამამად არც კი მოგვითხოვნია, რომ სამშობლო ენა ისწავლებოდეს რიგიანად მაინც, როგორც საგანი, თუ არ იარაღი მთლად სწავლებისა, აღზრდისა, მეცნიერების შეძენისა და სალი ჰაზროვნობისა. საგნებად ირის იქ სხვათა შორის: 1) თეორია მეტყველებისა, რომლის შესაფენელად რუსული მწერლობა არის ნახმარი, როგორც მასალა. 2) ისტორია მწერლობისა, გინა ლიტერატურისა; აქაც აგრეთვე რუსეთის მოკლე ისტორიულს ცხოვრებაში გონებითი მონაღვაწევი ალუბ-მალუხი შეადგენს ახალგაზდობის ვანვითარების იარაღს. იმას ვინა კითხულობს, რომ

что для нѣмца здорова,—для русскаго—смерть! სი-

ქა აქვს საწყალს ქართველს ჭაბუკობას გაგდებინებული უცხო ხალხის შემოქმედობითი სულის ნაწარმოებებით. რაში ეკნაჭება **БЫЛИНЫ, СКАЗКИ, КИРИЛИЦЫ, ГЛАГОЛИЦЫ** და სხვა ამნაირი იმ ახალ-გაზდას, რომელსაც ახრად არა აქვს ლინგვისტის და ორიენტალისტის მოხელეობა. რაშია გამოსადეგი ვიღაც დანილო ზატოჩნიკის სიტყვა და თქმულობა მამაის პობოიშჩევდ. ავიღოთ თუნდ ისტორია. ეს დიდი იარაღი ახალ-გაზდობის ზნეობითი და გონებითი აღზრდისა ჩვენს საშუალო სასწავლებლებში მეთედს და მეთედს სარგებლობას ვერ იტანს თავის უგვანო დადგენილობით. ძალიან კეთილ-შობილური, ძალიან კაცური გრძნობა აღედრება განა ახალ-გაზდობას, როდესაც დაწვრილებით აზვებირებენ მას **Мономоховичи** და **Олговичи**-ს, **господинъ новгородъ**-ისა და **вѣчевой колоколь**-ის ამბავს და საზოგადოთ იმ გაუგებარი ქსელის დავიდარაბას, რომელსაც **удѣлно—вѣчевой укладъ**-ს ეძახიან!

რა ქნას ახალ-გაზდა, კაცთ-მოყვარულმა, კეთილ-შობილური ლტოლვილებით სავსე გულმა? ვინ შეიყვაროს, ვის თანაუგრძნოს, რა შთაებეჭდოს გონებაში და გულში ამ მეორეთ მოსვლაში, რომლისაც ვერაფერი ვერ გაუგია, ვერაფერს ვერ მიმხვდარა და რომელშიაც ვერაფერი ნაცნობი და მშობლიური ვერ უპოვნია? რა ქნას, გეკითხებით, ბატონებო, იმ ახალ-გაზდამ, რომელსაც გული ხორცის ნაჭრად არ გადაქცევია, გრძნობა კიდევ შერჩენა და გონებაც ჯერ არ დაზნობია? სხვა-და-სხვა ნაირი გზა უჩნდება მას თვალ-წინ. ან ურიგდება ამ უსამართლობას და კაცის მაგივრად ხდება პირუტყვად და

მაშინად, უტყინოდება ან შმაგდება მხეცივით, იჯავრებს მასწავლებლებს და სწავლას, მის საგვემლოად და საწამლოად მოგონებულს და ხდება ავაზქადა, გავარდნილ თულოად და აბრაგად, ან და, თუშც ეს. სანატრელი მოვლენა იშვიათია, ახალ-გაზდა იტანჯება, წვალობს ჩუმადა და თავის შინაგან არსებაში შემალული და დაყურყუმელავებული, მუდამ წარბ-შეკრული და გულ ჩახვეწილი და დაჭახრობილი, იკვლევს გზებს თავის ბედნიერებისას, კაცური იდეალებს, და საზოგადოების სამსახურისთვის ძალ-ლონებს. იმის სიცოცხლე გადის მომეტებულად ფიქრში და ოცნებებში. იგონებს იგი თავის მშობლიურს წრეს, სოფელს, მოხუცებულებს და თავის გადიას, რომელნიც მას მოუთხრობდენ ცისკარ-ჭაბუკის ამბავს და სხვა, მდიდრულ, აზიური ფანტაზიის ნამოქმედარს და მძლავრი სულის შემოქმედების ნაწარმოებს, თვალ-წინ უდგებიან თავის მოხუცებული პაპა და სოფლის ჩაჩანაკი მამა-ბერნი და იმათგან ნაამბობი გმირი ერეკლეს ლაშქრობა, კახატება გონებაში მისი ჯაფრით. სავესე მსაჯულო. ლეონიძე, მღევი დავით აღმაშენებელი, ბრძენო თამარი, დიმიტრი თავ-დადებული მამულისათვის, რომლის ამბავი წიგნშიაც წაიკითხა მრისხანე ზედამხედველის იდუმალად და სულ ყველაფერი გაიგო, სუყველაფერი იმის გულს და გონებას ელაპარაკებოდა; სუყველაფერი ზგონო; თვალები აეხილა.... მეტი ღონე არ არის აქ უნდა შევჩეროთ. კალამი, რადგან ჩვენ იქ ხელი არა გვაქვს, სადაც პოეტების სამეფო იწყება. შევჩერდებით და მკითხველთან კიბოლიშს მოვიხდით, თუ იგი ვერ მიხვდა კიდევ, რას ვცდებით ჩვენ მშობლიურს, ღვიძლს სტაქიონებს და რა ჯან-

სხვაეებითს მნიშვნელობას ეძლევეთ მათ ახალ-გაზღობის აღზრდაში.

რუსულს, ლიტერატურაში არის იმის მაგალითები, როგორ სასტიკად და შეუბრალებლად ლანძღავენ და მასხარად იგდებდნენ უცხო ტომის პედალოლებს, როგორც თაც ჰქონდათ შკოლა და აღზრდა ჩავარდნილი ხელში. ეს დაუფიქარი დამამახინჯებელი რუსეთის ახალ-გაზღობის გონებისა იყვნენ ჯერ ნემეცები და მერე ჩეხები და სხვადა-სხვა სლავიანთა ტომის წარმომადგენელი. მოიგონეთ ნემეცი ვრალმანი ფონვიზინის კომედიაში და სხვა ლოთი ფრანკუზი გუვერნიორები და შეადარეთ ჩვენი პირველი შკოლის პირველ პედალოლებს ციციანოვის დროს; ამ სახელოვანს გმირებს ყარაულები ჰყავდათ მიჩენილნი რომ არ ემთვრალნათ! რასაკვირველია, გონიერული ნაწილი ლიტერატურისა ამიჟიანა მოვლინებებს გულ-გრილად ვერ შეხედავდა, გააფთრებული ებრძოდა და ამ ბრძოლის სუსტი ბანი დღესაც არ შემწყდარა გაზეთებში. ჩვენ ამ პრეცედენტსაც რომ თავი დავანებოთ და მოვიგონოთ ამ ახლო-ხანის ამბავი ჩვენი შკოლის ჯერ რიგინად გამოურკვეველი ისტორიიდან ამ საუკუნეში, ენახავთ ერთს მოვლინას, რომელიც დაგვარწმუნებს, რომ თუმცა ციფირკინი ვრალმანზე მალლა არაფრითა სდგას, მაინც არჩევანზედ რომ მიდგეს საქმე, უპირატესობა ისევ ციფირკინს უნდა მიეცეს. ჩვენ მოკახსენებთ ერთს ამას-წინანდელს ჩვეულებაზედ, თავად-აზნაურების შეიღების დასტა-დასტად გამომგზავრებაზედ, ყმაწვილობიდანვე რუსეთის უმაღლესს სასწავლებლებში და კორპუსებში. ეს საცოდავები, სრულიად უცხო სფერაში ჩავარდნილნი, სა-

შინლად მახინჯდებოდნენ და, სწავლის მაგიერად, გამოტყინებულნი ბრუნდებოდნენ სწავლის შემთავრებამდე. იშვიათი მათგანი ათაევბდა იმ შკოლაში სწავლას, საცა იყო მიბარებული და ხდებოდა კაცად, თუ კი სკალოზუბობა კაცობად ჩაითვლება ოდესმე. გარნა უმრავლელობა, იმათ გარდა, ვინც ავთ-მყოფობის მსხვერპლად ხდებოდა ჰაეის სიმკაცრისაგამო, ბრუნდებოდა შინ ტვინ გაყინული, გალაცებული და გამორიცხულიც თანა, ვითომ და ბუნებითი უნიჭობისა გამო. ამით აიხსნება თითქმის ანდაზად გამხდარი ქართული თქმულება თერგ-დალეულეებზედ: რუსეთში ახალ-გაზღვებს ტვინი ულაცდებათო.*)

III

მოკლედ მოუკრიბოთ თავი, რაცა უფქვით. აღზრდა ახალ-გაზღობისა საშინლად ცუდათ არის ღადგენილი. მისი გზა და კვალი უგვანოა და არ შეეფერება საღის გონების მოთხოვნილებას. შკოლიდამ გამოდევნილია სამშობლო ენა, სამშობლო ისტორია, დედა-ლიტერატურა და ახალ-გაზღო-

*) აქ უნდა შევნიშნოთ, ჩვენდა სასიამოვნოთ, რომ თავად-აზნაურობა მიხვდა ამ გარემოების მიზეზს და ენერგიულად შეუდგა წყაროთა და ღონის-ძიებათა გამოქვბნას საკუთარი ღიმნაზიის დაარსებისათვის. ვისურვოთ, რომ, რაც შეიძლება დროთი, განხორციელდებუღიყოს ეს გონივრული და ნაფიქრი და მთელს ქართველობას შეეწყოს ხელი ამ დიდი საქმისათვის.

ბა, მშობლიურს სტიქიონებს მოკლებული, მახინჯდება გონებით და ირყინება ზნეობით, ჰკარგავს ესტეტიკურს გრძნობას და მშობლიურის პოეზიითაც ველარ ტკება. მცირე და საუკეთესო ნაწილი ახალ-გაზდობისა, რომლის გადაგვარება და გადაჯიშება ვერ მოახერხა ამ საშინელმა სისტემამ, ზე-მომადლებულ ნიჭთა წყალობით და მძლავრი სალი ინსტიკტების მეოხებით, არ ჰკარგავს იმედს, არ იძაგებს მეცნიერებას და სწავლას, სცდილობს განაგრძოს სწავლა და მიილტვის რუსეთში უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. ჰასაკში მოსული და უკვე გონება დამწიფებული, გრძნობს და ცხადათ იღვენს გონების თვალთ, რომ ის გამოათარეს საშინელს ეკლიანს გზაზე. გრძნობს, რომ რაღაც უნიადაგო ელემენტს შეადვენს რუსეთის სტუდენტობაში, რომელიც თავ-გამოდებული და ნამდვილს ნიადაგზედ დადგრამილი ბეჯითად უგდებს ყურს თავის სამშობლო ლიტერატურას, აკვირდება და სწავლობს, გარნა თავის სპეციალური საგნისა, მწერლობისაგან წამოყენებულს. საგნებს თავის სამშობლო ქვეყნის საკეთილ-დღეოდ. ლიტერატურა და მეცნიერება, პროფესორთა კათებრებიდამ მოწვიმარი, ერთად ხელი ხელს ჩაკიდებულნი, აცხოველებენ მის სულს, აძლევენ მას ენერგიას და ცხადათ უხატავენ გონების წინ იმ პრობლემებს, რომელნიც მისგან სამშობლომ უნდა გაარკვიოს და განახორციელოს: ყოველ-გვარი მეცნიერება დედა ნიადაგზე დადვენილი, მაღალი პატრიოტული, კეთილ-შობილური მწერლობა, მრავალი გამოჩენილი მწერალნი და ლიტერატორნი, თვით თავისივე ამხანაგობა უადვილებენ მას თავისი საყვარელი ხალხის და სამ-

შობლო ქვეყნის ღირს შვილად გახდომას, ხალხის სატკივრების შესწავლას და მარ მოსარჩენად წამლის გამოძიებას.

რასაკვირველია, მკითხველო, ეხლა დრო არის და არც შეგვიძლიან ჩვენ კერძოდ დაგიხატოთ ის მედიდური სურათი, რომელსაც აქ წარმოადგენს საზოგადოთ გონების მოძრაობა და გაუკეთესობის გზაზე ძლევა-მოსილი წინ-სვლა რუსეთის მეცნიერებისა და მწერლობისა. ჩვენ კი არა, თვით გამოჩენილის პოეტის კალამიც კი შეჩერდებოდა ამ უდიდესი სახელმწიფოს განათლებული საზოგადოების განვითარების სურათის დახატვაზე. ამოდენა უნივერსიტეტნი და საზოგადოთ მაღალნი სასწავლებლებნი, როგორც ჭიანჭველის სხროვები, ისე გატენილნი სტუდენტებით, ამოდენა ჟურნალ-გაზეთობა, რომლის თანამშრომლებს, საცა კი გაივლი ფეხს წამოჰკრავ, ამოდენა პროფესორნი, რომელნიც მეცნიერების უკანასკნელს სიტყვას ღაღადებენ კათებრებიდამ, როგორც გინდა და სთქვით, და რუსეთის სტუდენტობისათვის ისეთს სფეროს რას შეადგენს, სადაც ღიან თავ-გამოდებული ხარ, მღვეურს ძალას გრძობ და ორსინის ჟამოგონებას ღიან აქარბებენ მღველის-შვილური ჭკუითაც კი. *)

*) ჩვენ ღეჭი-პატრიოტებს სასაცილოდ არ ჭკოფნიოთ ის მსოფლიო ფაქტი, რომ წინ-სვლისათვის *conditio sine qua non* შეადგენს დაბალ-წოდებათგან გამოწვევა მოღვაწეთა ძალთა. ეტუობა აღსასრულის დღესა გრძობენ და იმიტომ შესჯავრებიათ ღიაკენები და ღიაკენურა პერიოდი დაუკერიათ პირზე. ნუ შეგშინებიათ, თქვე გლანებო, «უგანგებოდ ვერას გიზმენ, შეცაგებან-ხმელთა სპანის!»

ტყუილი კი არ ყრის, ან სტაუაროვები და კარამანოვები უქმი ფანტაზიის გამოგონილი კი არ გახლავთ აქაურს ლიტერატურაში!

რა ადგილი უჭირავს ჩვენს სტუდენტობას და რა გზას უნდა დაადგეს იგი ამ განსხვავებითს მდგომარეობაში? ჩვენისაა პირით აქ იმ გზა არის: ან ჩვენმა სტუდენტობამ აიღოს ხელი თავის სამშობლოზე ქვეყანაზედ, შეუერთდეს რუსეთის სტუდენტობას სულით და გულით, დაჰკარგოს თვისება თვისი და განსაკუთრებითი სულიერი სახე, გაუერთოს სინარული და სევედა რუსეთის ახალგაზღვრებას: იტანჯებოდეს იმით, რითაც იგი იტანჯება და უხაროდეს ის, რაც მას ახარებს; ან და განსდგეს განზედ მისგან, განსდგეს რომელიც მიუდგომელი დამკვირვებელი და შემსწავლელი უცხო ცხოვრებისა, უცხო მოვლენათა და აკვირვებოდეს მათ იმდენათ, რამდენათაც ეს საჭიროა თავის ხალხის ცხოვრების შესასწავლებლად. ორში ერთი: ან შეერთდეს რუსეთის ახალგაზღვრებასთან და სწიოჯ, ერთი ჭაპანი, ან შეადგინოს თავის საკუთარი წრე, რომელსაც თავის საკუთარი ინტერესები ექმნება, თავის ცხარე, გულის-დამწველი საქმეები და მისთვის კეთილ ჩვენი დისიერი მზადებანი, როგორც ეროვნობის წარმომადგენელს, ჯგუფს, მის ხორცს ხორცთაგან და ძვალს ძვალთაგან, ზოგნი ამ ორს გზის შუა საშუალო გზას პოულობენ. შეიძლება ძალთა-მძლეობით ეს გზა შეესაბამებოდეს ეხლანდელს ჩვენს დროებითს მდგომარეობას, მუგრამ საბოლოოდ, საშვილი-შვილოდ რომ ვილაპარაკოთ, ჩვენი უღრმესი რწმენაა, რომ ჩვენ ხათრისთვის აღარა გვეცხელა, თუ ძალადობა არ იქნება და მით

უკეთეს მსხვერპლის მიტანა აღარვისთვის არ შეგვიძლიან.

ახლა ზოგი იტყვის, თუმცა დაგვეთანხმნენ ჩვენ მიერ გამოთქმულს აზრზედ, რომ ეგრეთღ მიმართულება და საზოგადოთ საქმის წაყვანა, როცა მოზარდი თაობიდაშ დაეიწყებთ მაშინ მოხდებაო და ეხლა კი რალა დროსიაო. არ აეხირდებით ამაზედ, მაგრამ ერთს კი ვიტყვი, რომ ისტორია როდესაც შეიქნების, ჩვენ აღარ გვიცდის და უკვე განუხიზლებული ცნობიერნბაც დაკმაყოფილება თხოულობს და რა ნება გვაქვს ჩვენ, ვინ მოგვცა უფლება, რომ ახალ-გაზღობას ჩავაკვლიყინოთ სურვილი, მივაწოდოთ ქვა, როდესაც პურს მოგვეთხოვს?

ღიახ, **лучше поздно, чѣмъ никогда**—ამბობს რუსული ანდაზა. ახალ-გაზღობა, თუმცა გვიან, მაგრამ საშინელის ძალით, საშინელის ვატაცებით, რომელიც ახალ-გაზღობის ხვედრი ყოფილა ყოველგან და არის ეხლაც, რასაკვირველია, აღარ იცდის და დაადგება მეორე გზას. მის წინააღმდეგ „დროებით შემთხვევითი პუბლიცისტები“ კი არა, ამოღებული ხანჯალიც ვერას გააწყობს, როგორც გვარწმუნებს მრავალი მაგალითები მთელი მსოფლიო ისტორიიდან. სამშობლოს სიმორე, რუსეთის ახალ-გაზღობის შემთხვევითი კაი მდგომარეობა, უფრო უძლიერებს ეროვნობის გრძნობებს და, როგორც ყოველიფერი, რაც ძალათ და განზრახულ აზრით დახშული ყოფილა, ან მარტო ოდნავ უბჟუტნია, ხელ-ახლად უაღრესის ძალით, ელვა-ჭექით იჩენს თავს. ამას ემატება ამ გრძნობების კანონიერება ისეთის სიმტკიცით აღიარებული თანამედროვე

საზოგადოებრივი მეცნიერებისაგან. *) რუსეთისევე პროფესორები, რომელნიც, რასაკვირველია, არ მალავენ ამ ეროვნობაზედ სწავლის უკანასკნელს სიტყვას, ამთავრებენ საქმეს, აგვირგვინებენ იმ ტურფა, მაგრამ ჯერ ჩვევ ოცნებითს შენობას, რომლის საძირკველის ჩაყრა ხელს მეორედ; დიან სასიქადულოდ, თანამედროვე ქართველ ახალგაზდობას ხელა წილად.

როგორ უნდა მოხერხდეს მეორე გზაზე სიარული? ერთხელვე საჭიროა პრინციპიალურად გადაწყდეს კითხვა. ჩვენ წერილის თავშივე გამოვთქვით ის აზრი, რომ საჭიროა და აუცილებლად საჭიროა ჩვენის ქვეყნის შესწავლა და დამყარება ისტორიული, ეტნოგრაფიული და ეკონომიური მეცნიერებისა, ჩვენშია გამოვთქვით. რომ ესევე არის პირ-დაპირი მოვალეობა იმ ახალგაზდობისა, რომელნიც უმაღლესს განათლებას იღებენ რუსეთის სხვა-და სხვა ქალაქებში. ის გარემოება, რომ ახალ-გაზდობა რუსეთის ქალაქებში იღებს ამ განათლებას, რასაკვირველია, შემთხვევითი ფაქტია. ხვალ და ზეგ შეიძლება იგივე განათლება ეძლეოდეს მას ევროპის სხვა-და-სხვა ქალაქებში ან და თვით ჩვენსავე ქვეყანაში. ამით ცხადია, საქმე არ უნდა შეიცვალოს. მოვალეობა მოვალეობად უნდა ჩივბოდეს, თუ იგი მოვალეობა შემთხვევითს გარემოებათაგან კი არ არის გამოყვანილი, არამედ მკაცრად დადგენილია და მეცნიერულად გამოკვლეული. თუ ეს ასეა, მაშინ ზოგიერთა ვაჟ-ბატონების გამოგონილი

*) იხილეთ თხზულება ამ საგანზე ს. პ. ზ. პროფესორის ა. გრადოვსკისა: Национальный вопрос въ исторіи и литературѣ. ავტ.

მოქალაქეობა ახალ-გაზრდობის მხესანებ, ჰკარგავს ყოველს
ძალას და არაკვისთვის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონ-
დეს.

ჩვენ ვგანზრახვთ ამბოლოდ პეოორეთიკულად გამო-
ვიყვანოთ ჩვენოო უმთაფრესი აზრი და პრინციპიალურად
ვალეიაროთ იგი, გარნა, რაც შეეხება პრაქტიკულ მოსა-
ზრებათა, რომელნიც მოუხერხებელია კაცმა წინასწარვე
რჩვიანად განსაჯოს, ეს სრულიად თვით სტუდენტობის
და ახალ-გაზრდობის საქმეათუმც მწერლობას, რასაკვირ-
ველია, აქაც შეუძლიან დაეხმაროს კრიტიკული განხილ-
ვით და ღღეევით რომელიმე წარმოგზავნილი და გამო-
ქვეყნებული პროგრამისა, ხუთ პროექტის შესახებ.

რადღა ბევრი იჩინი უნდა, რომ თვით საქმეაფრიად-
დაფრიად ძნელია, საჭიროაიმედგარი თავ-გამომეტებული
შრომა და ჯათა მდგრამ იმეტი რა ღონეა არა ნაირი
საშვილი მვილითაქმე არ ჭკვეთებულუ ადვილად. მაინც
სიძნულეზე რაპარაკო მეტრიაა. სიძნელე რა საბუთია, მო-
ვალეობის აუსრულებლობისათვის? მეომრისთვის ძნელია
ბრძოლის ველზედ სისხლის დაღვრა სამშობლო ქვეყნი-
სათვის, მაგრამ სიძნელეზე რაპარაკო იქ სიჭკვიანე აღარ

არის. ამ დოკუმენტონ კოლეცონ თუ რა რჩესა კითხუ
-რეძინენ თუ რა რეკონ იქონა ქაოონ
რაც ვუთყვილვართ, ის აღარ ვართ, თმუ უბოტო
რაც ვართ, ის ნულარ ვიქმნებით...
დმერთი გვიხსნის, თუ შვილთ შინც
გზათ და ხიდათ გაკედებით.

მართლაც შეეტი გულ-ქვაობა გინდათ! ჩვენ ისავე
სიტყვით ვაღწიხრებთ, რომ არც ერთი მეცნიერული წიგნი

ნი არ არის, რომელიც ჩვენი ცხოვრების რომელსამე მხარეს შეეხებოდესო და იმ დროსვე ურჩევთ ახალგაზღვრებას კორრესპონდენტობას რუსეთიდანო *). რატომ არ არის, ბატონებო, არც ერთი მეცნიერული წიგნი, რომელიც ჩვენი ცხოვრების რომლისამე მხარეს იკვლევდეს? რატომ არ არიან მეცნიერი ქართველები, რომელნიც ეტნოგრაფიულს და ისტორიულს და სხვა ათას-ნაირს თხუზულებათა სწერდნენ ჩვენს ქვეყანაში, მაგ ცოცხალს კაცობრიობის ჰუმუმიში, როგორც მეცნიერი ყმახიან საზოგადოთ კავკასს, და იმ აუარებელის მასალით, რომელიც აუარებელს სწავლულს გაათქმევენებს სახელს მთელს ევროპაში, ალტაცებაში შოდინ და უკვირთ ჩვენი გულგრილობა და უმეცრება ჩვენს ქვეყნისა? ითხოვეთ დაფიქრდით, ბატონებო, კარგად და თქვენვე დამეთანხმდებით, რომ იმისთანა ექიმების ბრალია, რომელთაც ტვინის შეწუხება ეძნელებათ და რაც ენაზედ მოუდგებთ იმ ნაირს რეცეპტებს მოუწერენ ახალგაზღვრებასო გვეყო, ბატონებო, ივეყო უმეცრება ჩვენი თავისა და ვითარებისა, ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისა. მაქმინ როდეს

დაფიქრდით, ბატონებო, კარგად და თქვენვე დამეთანხმდებით, რომ იმისთანა ექიმების ბრალია, რომელთაც ტვინის შეწუხება ეძნელებათ და რაც ენაზედ მოუდგებთ იმ ნაირს რეცეპტებს მოუწერენ ახალგაზღვრებასო გვეყო, ბატონებო, ივეყო უმეცრება ჩვენი თავისა და ვითარებისა, ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისა. მაქმინ როდეს

დაფიქრდით, ბატონებო, კარგად და თქვენვე დამეთანხმდებით, რომ იმისთანა ექიმების ბრალია, რომელთაც ტვინის შეწუხება ეძნელებათ და რაც ენაზედ მოუდგებთ იმ ნაირს რეცეპტებს მოუწერენ ახალგაზღვრებასო გვეყო, ბატონებო, ივეყო უმეცრება ჩვენი თავისა და ვითარებისა, ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისა. მაქმინ როდეს

*) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სცდებიან ისინი, რომელნიც ამტკიცებენ ვითომ არც ერთი წიგნი არ არის მეცნიერულად დაწერილი. რომელნიც ჩვენს ცხოვრების რომლისამე მხარეს შეეხებოდესო ეს წარმოსდგება მითუმ, რომ ხლად გამოქტარნი გმირნი ლიტერატურულს საზოგადოებე სრულიად არ ფიქრობენ წინათვე იმ ქვეყანაზე, რომლისათვისაც ლიტერატურა უნდათ და უმეცარნი არიან ეტელა იმის, რაც ჩვენ ქვეყანას შეეხება: იხილეთ, მაგ. კატალოგი მანსაროვისა: Bibliographia Caucasica et transcaucasica. ს. ს. საქირო ბიბლიოთეკა № 2111. იხილეთ მანსაროვის ბიბლიოთეკის კატალოგი.

საც ვიცით გამბეტას რამოდენა მუცელი აქვს, ჰუშკინი თითო ტაეპში რას იღებდა, რუდაქციებისაგან და ვიქტორ გიუგო რამდენი წლისა იყო, როცა 93 წლის რომანი დასწერა.

IV

მკითხველო, ცოტა მოთმინებასა გთხოვთ კიდევამოგვისმინეთ შემდეგი. ჯერ ისევ ახალი ამბავია, ჯერ ისევ ჩვენ ცხვირის წინ მომხდარი ფაქტია ის გარემოება, რომ ჩვენი ხალხი და ქვეყანა, ჩვენი საზოგადოება საშინლათ უნდოთ უცქერის ახალ-გაზღობას, მეტადრე იმ ახალ-გაზღობას, რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ ნასწავლი და მოწინავე არისო. ახალ-გაზღობა ვერაფერს საქმეს ვერ კიდებს ისე ხელს, რომ მოხუცებულებს და ძველებს არ მოეფაროს ზურგს უკან. მგონი ბევრს უნდა გაეგონოს ერთი მახვილი მოხუცებულის სტერეოტიპული ქართული თქმულობა ერთს ახალ-გაზღობის წარმომადგენელზედ, როცა მას უთხრეს, რომ იგი ნასწავლია და იმიტომაც კარგიაო.

— სწავლა, ბატონო, — თქვა თურმე იმან, — სტუმარია. თუ მასპინძელი კარგად დაუხვდება, სწავლა შეაჩერდება, თუ არა და ისევ წაეა, როგორც მოსულა. „ბატონი კაცსა ასაქმებს და ჭკუას გამოცდილება,“ უმატებენ ამ ნაირი მოხუცნი.

დიახ, სწავლას შეთვისება უნდა, ორღანოვანი დაკავშირება კაცის ბუნებასთან. მაშინ შეიძლება მხოლოდ

„ქართლი ქმნა ათინანი“, როგორც იტყვის ანტონ კათალიკოზი.

ოდესმე, როცა უფრო მოცლით ვიქნებით, დალაგებით მოვილაპარაკებთ იმ მიზეზებზე, რომელთაც გამოიწვიეს ცხოვრებაში და ლიტერატურაში მოხსენებული ბრძოლა ძველებსა და ახლებს შორის, მოსწეს სასურველი ნდობა და სულიერი კავშირი მათ შორის, ახლა კი სხვათა-შორის შევეცებით ამ დიდათ საინტერესო და მძიმე საგანს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისას. ეს მოვლენა რომ მართო იმით ახსნას ვინმემ, რომ ძველს და ახალთაობას შორის საზოგადოთ ნდობა შერყეულიაო, — შეცდომა იქნება და ცალ-ყბივი მსჯელობა. მიზეზნი უფრო ღრმად უნდა მოიძებნონ. ჩვენი აზრით, ერთი ამ მიზეზთაგანია და კინალამ მხოლოდბრთიცი ის, რომ ახალგაზღობა უცხოეთში წრეს გადადიბოდა და ჰნებდებოდა უჯიშო გადაგვარებას და გადაჯიშებას. მოვიგონოთ, როგორ იზრდებოდა ჩვენი ყმაწვილ-კაცობა რუსეთში და საფრანგეთში და გაკვრით განვმარტოთ ჩვენი აზრინამდვილის ქართველური გულ-ახდილობით ეძლეოდა მისი დასი უცხოეთის ცხოვრების ტალდას და ეს უცხოეთი, როგორც უფრო განვითარებული და მაღალი კულტურის პატრონი, რასაკვირველია, პირველ-ხანებიდამვე იმონებდა ამ აღმოსავლეთის ბავშვებს და მიდიოდა ფულები არა თუ მართო სწავლაზედ, არამედ ათას წერილმანს კმაყოფილებაზედ, რომელსაც მართო ევროპაში შეხვდება კაცი. გვეცლებოდნენ ხელიდგან სისხლი და ხორცი, ოფლი და ღვაწლი, საკუთარი ჩვენი შეილები, რომელთაც არანაირი ფესვები არა ჰქონდათ განდგმული სამშობლო მა-

მულის წიაღაგშო, არც თუ აღზრდის შემწეობით, არც
 ლიტერატურის (ცისკარი) ღონიერი ეროვნული მიმართუ-
 ლებით, და არც მამა-პაპის გარდმონაცემი ტრადიციებით,
 რადგან მათაც (მამა-პაპას) მხედ ვერ ეჭირათ ხელში ეს
 დიადი იარაღი გადაგვარების წინააღმდეგ. ამ ნაირს ახალ-
 გაზღობას, რასაკვირველია, საითაც ქარი შემოუბერავდა,
 იქით გაიტაცებდა. როცა ბატონ-ყმურს და ჯერ რეფორმე-
 ბის სხივით გაუნათლებელს რუსეთში ყოველ კეთილ-შობი-
 ლურს, კაცთ-მოყვარებთს გრძნობას ეძინა, როცა ხალხი,
 თითქო ქუნაგში დაბინავებული დათვიაო, ჯაჭვებით შე-
 ბორკილი, ილოკავდა თავის თათებს, ერთის სიტყვით, გა-
 უნათლებელი წყვილია გადაჰკვროდა ამ უზარ-მაზარ სა-
 ხელმწიფოს, მაშინ ცხადია, რა ნაირი განათლებით ჩამო-
 ვიდოდნენ მანდ ჩვენი ყმაწვილ-კაცები, აქ სასწავლებ-
 ლად გამოგზავნილნი. მაგრამ აი, ყირიზის კამპანიის შემ-
 დევ, ნელ-ნელა ამოდის მზე და ირღვევა განუსაზღვრელი
 წყვილი. იბაჯება რეფორმატორული და გუმანური მოძ-
 რაობა, რომელსაც მე-60 წელთ მოძრაობას ეძახიან. რო-
 გორ გგონია, რასაკეთებდნენ მაშინ ჩვენი ყმაწვილ-გაცე-
 ბი აქ? ოჰ, ღმერთო, რა ღობე-ყორეს არ აწყდებოდნენ! *)
 უფრო კი ქეიფდებდნენ, იხარებდნენ და იშვებდნენ ამ
 მოძრაობით და ჩივიანად ვერც კი შეიგნეს დიდი მნიშე-
 ნელობა იმ ისტორიული მომენტისა, რომლის დაყოფი-
 თაც უნდა ესარგებლნა ჩვენს ქვეყანას და რომლებსაც
 შემდეგ მოჰყვა რეაქცია, დღესაც არ შემწყდარი მმართვე-

*) იხ. სტუდენტობის პირველი დრო. საახალწლო. თხუზულება ნ.
 ხიკოლაძისა. მ. ილიუსტრაცია თხუზულება ნ. 33.

ლობის მხრივ. უკეთესობათგან ზეპრობდენ და სწავლობდენ აქაურს პოეტებს და პუბლიცისტებს, ჰყლავდენ უმაღსოვრემენი კის ნომრებს და მერე, რომ გადმოვიდოდნენ მანდ, მაშინ, რასაკვირველია, როგორც ორლანიული შედეგო, რუმელიც ერთი და იგივეა ერთისა და იმავე მიზნის მოქმედობის დროს, ობლომომობდენ, რუდინობდენ, ბუზარობდენ, შიგსოვის უეზდის გამლეტების მაგივრად ჩვენ დაგვებადენ გამლეტები ქართულ ყაიდაზე. მაშინ აგვიშენდა ჩვენ, ოჯახი და მაშინ გავხდით ჩვენ დოვლათ-ყუმები, ქართველი გამლეტები! გამლეტები იქსადაც ტარიელი და ჰავთანდილის ტიპნი ხალხის სულს კუთენილებად შექმნილან. მაშინ დაიწყო ფაშა! მოხვდა, თუ არ ვსცდებიო, ჭუსთაველსაც, ვნტონ კათალიკოსსაც, გუბორბელიანსაც და წამებულს ი. კერესელიძესაც. ესევე მოხდა, ცოტა შემდეგ, საფრანგეთის სრული გავლენის ქვეშ — აღზრდილ ყმაწვილ-კაცების დატახედ, რასაკვირველია, ცოტა გადასხვაფერებით. ჩვენ იმათზე აღარას არ ვამბობთ, რომელიც ვერ იტანდენ ამ ახირებულს მოღიფიკაციის პრაცესს და უტვირედებოდნენ, რაზმები ტვინ-თხელაძეებისა ჯერაც, არ შეთხელებულან და კიდევ ბერს შეხედვებით შესაცოდავათ დამახინჯებულს, რომ ნაირს სხვის ქერქში და ტანსაცმელში კოხტაობისას. თვით უკეთესნი წარმომადგენელინი იმ დროისა, ისინიც კედლესაც ვერ ჩავარდნილან თავიანთ ქერქში, ნამდვილს კალაპოტში. ერთი ჩინებულთაგანი ჩვენი პოეტი ამ უკანასკნელს ხანებში ძლივს დაადგა ეროვნობის გზას, თუმცა ჭალი, პოეტური მგრძნობიარე ინსტიტუტებით გმუდამ გრძნობდა ამ გზის უკეთესობას.

მუდამ ერეოდა მას ნახტომი ორნაირს მოძრაობის გავლენის ქვეშ. მთელი იმისი პოეტური მოღვაწეობა ეროვნულ და ზოგად-ჰუმანურ — კოსმოპოლიტიურს ლტოლვილებათა შორის გადაძლევე-გადმოძლევაა, ვიმეორებ, ამ უკანასკნელს დრომდე, როცა იგი მტკიცედ დაადგა პირველს გზას. ამ გარემოებაშია მიზეზი, რომ უქველმა მისმა, დიან ზე-მომადლებულმა ნიჭმა ვერ შეჰქმნა აქნობამდის შესანიშნავი ეროვნული ნაწარმოები, და დღესაც ისტორია-ლიტერატურულს კრიტიკას, ვექობთ, თუ ნება ექმნება ჩარიცხოს იგი ეროვნულ პოეტად, ერის სულად და გულად. და აჰა ნიჭი მისი კი უკვე გაღიზარა დასაველეთისკენ. ესეთივე საქმე დაემართა დიან ნიჭიერს და პუბლიცისტად დაბადებულს ჩვენ საუკეთესო მწერალს უ. ნ. ნიკოლაძეს. აქ ერთი არაკი მაგონდება მეგრელების ცხოვრებიდან:

— როცა თურმე მივიდა სამეგრელოში ანდრია მოციქული, — მიამბობდა ერთი ტიპიური იმერელი, — მეგრელებმა ძალიან აითვალწუნეს და უნდოთ უცქეროდნენ, მაგრამ ანდრიამ მალე მოიგო იმათი გული და საყვარელი კაცი გახდა მათთვის. დაიწყო თურმე, ბატონო, ცხენების პარვა და მეგრული „ჭყურტული“, შეითვისა საზოგადოთ იმათი ზნე-ჩვეულებანი და ყველას შეაყვარა თავი. როცა დახედა რომ ახლა ჩემი საქმე კარგად არისო, მაშინ მოჰყვა ქრისტეს მცნების ქადაგებას. მეგრელებმა იწამეს ქრისტე და იმის ზელომძღვანელობით აიშენეს საყდრები და დაიყენეს მღვდელ-დიაკვნები. — მართალია, ჩვენი ხალხი ანდაზითაც გვეუბნება ამასვე, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ანდაზით და არაკებით მცხოვრებელი ხალ-

ხი ჩვენ ველურად მიგვაჩნია და იმის სურვილებს მალ-
 ლიდგან დავსცქერით და ცხვირს მალლა ვიწვეთ. ამ ნაი-
 რად ძნელი მოსაგვარებელი ხდება მისი მოწინავე საზო-
 გადოებისათვის მისი ხელ-მძღვანელობა. რამდენჯერ შე-
 ებრძოლა სასტიკად და ენერგიულად ზემოთ მოხსენებუ-
 ლი, ნიჭიერი მწერალი ხალხის უმეცრებას და ველურო-
 ბას, რომელიც მაინცა-და-მაინც საეჭვოა შემდეგ თითქ-
 მის ორი-ათ-ასი წლის ისტორიული ცხოვრებისა და კულ-
 ტურისა, და, რამდენჯერაც უფრო თავ-განწირული და
 შესვენებული მიადგებოდა, იმდენი უფრო ჯიუტი წინააღმ-
 დეგობა ხედებოდა, ან და უარესი გულ-გრილობა, ყუ-
 რის მოყრუება. რამდენჯერ დასდო იარაღი და რამდენ-
 ჯერ უარესის სიმამაცით მიადგა იერიშით ამ გულ-გრი-
 ლობას, მაგრამ ყოველთვის პასუხი ერთი-და-იგივე იყო.
 გამწარებული მიივლტოდა იგი მწერალი ქანც მიწყვეტი-
 ლი და ღონე მიხდილი სადმე სხვაგან თავისუფლათ ამო-
 სუნთქვისათვის და, შემდეგ შესვენებისა, ხელ-ახლად იე-
 რიშების განახლებისათვის. მიივლტოდა მებრძოლი და
 მწარედ, ამაყად ეუბნებოდა ხომალდს:

**Вези меня куда-нибудь,
 Лишь не къ землѣ родной!**

აი ფაქტი საჭმუნვარო და დასალონებელი, უგბილ-
 თათვის დგან შესამეცნებელი და შესასმენელი!!...
 რა იყო მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა, მოკლეს
 მოჭრით? ის რომ მათე-მთის მწვერვალებამდი ასული ევ-
 როპიული განათლება არ იყო დაფუძნებული და დამყარე-
 ბული, მშობლიურს ნიადაგზე, ე. ი. იმ განათლებას არ
 ჰქონდა საფუძვლად სამშობლო ქვეყნის და ხალხის შე-

სწავლა, მისი წარსული ისტორიული ცხოვრებისა ვრცლად და თანა-მედროესი ეტნოგრაფიულად, ეკონომიურად, სოციალურად და სადაურადაც ვნებავსთ. მოღვაწე ახალ-გაზღობამ სუყველაფერი იცოდა, თვინიერ თავის სამშობლოში და ქვეყნისა. ეს ისეთი უბედურება იყო ჩვენ თავს, რომ მართო ბრძეები თუ ვერა ხედავენ და ვერ გრძნობენ მის საშინელს ნაწყვეტებს: დღესაც, და აი ამისთანა თვალე-ახეული ხალხი გამოდის და ამტკიცებს ძალად დადგენილს წეს-წყობილობის სამართლიანობას, კანონიერად ხდის იმ მოვლენას, რომელიც არის საშინელი ანორმალური, უკანონო და ღრმად საწყენი და შესაძრწუნებელი. ნურავინ იტყვის, რომ ბოროტების ასახრცად ღრო არ მოსულაო, ჯერ-ჯერობით თავი არ უნდა ავიტკიოთო, ან-და რა ქნას იმ ახალ-გაზღობამ, რომელიც კულ გარემოებაშია ჩაყენებული ძალა-უნებურად ისტორიული შეცოდების გამოისობითო, მეტი რა ჩარა აქვს, რომ მართო ევროპიულს განათლებას არ მისდგოსო?— რასაკვირველია, უნდა განაგრძონ თავიანთი საქმე და რომ სასარგებლოა ეს საქმე, უნდა მწერლობითი მოღვაწეობითაც აჩვენონ ქვეყანას თავისი სიფარსფე და გამოსადეგობა. ჭიან ჩირბთაც არ ვიწყებთ ჩვენ ამ გამოსადეგობას, თუნდა ნივთაც გადაქცეულს. ორში ერთი უნდა გახდეს იმ ვაჟ-ბატონებს რომ გაუგონოს კაცმა ან ადვილი სტატიების წერა რუსეთზედ, საზოგადოთ მის ცხოვრების მოვლენაებზედ და სოციალურ (ძანთმაგარი სიტყვა კია) მდგომარეობაზედ ისე, გაკვრით, ფელეტონურად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად: სად რა გაიგონე, სად რას მოჰქარ ყური, სად რა წაიკითხე გაზეთების ზრავაში რომ

იჯექი, ან და დარბაისლურად, გულ-დასმით, სურიოზულად უნდა მოხდეს შესწავლა რამე საგნისა, რუსეთის, თუ ევროპის ცხოვრებიდამ, დამორჩილება მის (საგნის) ლიტერატურისა და მხოლოდ მაშინ გამოვა ნაყოფიერი შრომა. გარდა იმისა, რომ ამას შრომა და დრო უნდა, რომელიც არა აქვს ახალ-გაზდას, შებოჭვილს სპეციალურის საგნებით, რათ უნდა ღირდეს შრომა, დაწერილი ჩვენი საზოგადოებისათვის, რომელსაც ავტორი არ იცნობდა და რომლის მოთხოვნილებანიც რიგიანად შესწავლილნი არ ჰქონდა, იმ ქვეყნისათვის, რომლის შესახებ საგანი თხოვლებსა სრულებით არ არის გამორკვეული. ეღირება შრომად, მაგალითად რომ ესთქვათ, თუნდ იანსონის სტატისტიკაზედ რომ მიეცეს საფუძვლიანი ანგარიში ჩვენს მკითხველს, თუ ამ ანგარიშში ჩვენი ქვეყნის მეურნეობითი მდგომარეობა და სტატისტიკურად გამოუკვლევლობა არ იქნება ნაჩვენები, თუ გლებების ნადელებზე და საზოგადოთ მიწის მფლობელობაზედ ჩვენში თითქმის იანსონზე მეტი არაფრით არ ეცოდინება სტატის ავტორს—ახალ-გაზდას. პირველ შემთხვევაში მწერალი დაწერილმანდება, გაფელეტონისტდება და შეიძლება თავის დღეში ფელეტონისტობაზე მალლა აღარ წავიდეს და მალეც ჩაკედეს, როგორც მწერლობითი მოღვაწე. მეორე შემთხვევაში — საზოგადოებას არა მიეცხობა-რა და გულ-გრილობა იქნება პასუხი მისი კითხვისინილისიერი, მაგრამ ჰაერში მცხოვრებლებისათვის დაწერილი შრომისათვის. არა, თუ ღმერთი გრწამთ, გვითხარით, ეხლანდელს დროში მოგვიცლია იმ ნაირი შრომათათვის, რომელთაც დიან სათვალწინო კავშირი არა აქვთ

ჩვენს ცხოვრებასთან? იმაზედ აღარას არ ვამბობთ, თუ ეს წყალის ნაყვა რომ ახალ-გაზღობას დაედოს კისერზედ და მას მოეხვიოს თავზედ, თუნდ როგორც მცირე მოვალეობათაგანი, რა საშინელს პასუხის გებაში ვიქმნებით მიცემული იმის მომავლის ბედისათვის.

— მაშ როგორ უნდა მოხერხდეს საქმე? იკითხაეთ. ნუ თუ ახალ-გაზღობის იმ ნაწილს, რომელსაც რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში მოუყრია თავი, არ შეუძლიან დაეხმაროს თავის ქვეყანას სტუდენტობის დროს და თუ შეუძლიან როგორ და რა ნაირად?

აჩქარებით სოფელი არაფერს მოუქამია. სტუდენტობის დროს დაეხმარება ახალ-გაზღობა თავის ქვეყანას, თუ სტუდენტობას რომ მორჩება, ეს ისეთი კითხვაა, რომელსაც მოუთმენელი და ვატაცებული ჭაბუკო მისცემს თავის-თავს. სრული მცეცდომაა კითხვის ამ ნაირად დადგენა და საქმეც სრულიად იმაში არ არის, რომ ოთხი წლის განმავლობაში სთხოვდენ ახალ-გაზღობას, გინდა თუ არა დაეხმარეო საზოგადოებას. ოთხს წელიწადს, თუ ახალ-გაზღობამ სასურველს მიმართულებას არ უღალატა, ეცადა და ნიადაგი მოიმზადა ფეხ-მოსამაგრებლად სამშობლო ლიტერატურის, არა თუ ყურის გდებით, აწამედ შესწავლით, გამოუტოვებლად ჩვენი კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებისა, და საზოგადოდ სამშობლო ქვეყნის შესწავლით, რამდენათაც კი ეს შესაძლებელია შორიდან დიან საკმაოდ მასალისათვის; თუ ევროპიულს მეცნიერებას შეიგნებს, მის დელა-აზრებს მიხვდება და შეითვისებს, და მიზნად კი არ გახდის მას, არამედ როგორც საშუალებას ისე დაუწყებს უკერას თავის ერთხელ

დიდებულ დაწესებას და დაცემულ და დაღუპებულ სამშობლოს აღსადგენად, — მერე იმდენს სარგებლობას მოიტანს, ისეთს ღვაწლს დასდებს თავის ქვეყანას, რომ საისტორიო გახდეს მისი სახელი. პირ-იქით თუ სტუდენტი თავის სპეციალისტობას ლაღობს და ჩვენ ლიტერატურასაც, როგორც უნდა იყვეს იგი, გულ-გრილად ეპყრობა და „აჭია-ბაჭიასაც“ ეძახის, მაკივარად იმავე დროს ფელოეტონების წერას და კორრესპონდენციების შედგენას უნდება, — იგი ან მალე გამოიფიტება და ლიტერატურული ასპარეზიდან სირცხვილელს გაისტუმრებენ, ან შესაძლებელია სიბერემდის დარჩეს, იქნება ნიჭიერი მწერალიც, მაგრამ უსაფუძვლო, უნიადაგოდ დარჩენილ, ქარაფშუტა მოღვაწედ, რომელთა სახელიც, არ შემრცხვება და ვიტყვი, ლეგიონია ჩვენში. მართლაც, საკვირველია ღმერთმანი ქართველების საქმე! ერთობ ყველა მწერლობს, ყველას ლიტერატორობა უნდა. ამით აიხსნება ერთი მხრით ჩვენი მწერლობის სიწვრილმანე და უმნიშვნელობა. მწერლობაზე შეჰმდეგ მოვილაპარაკებთ, თუ არამ არ დაგვიშალა, ეხლა კი დაესკვნით ჩვენს უიმისოთაც გაგრძელებული წერილის აზრს. ჩვენ, ვგონებთ, ნება უნდა გვქონდეს ასეთი დასკვნა გამოვიყვანოთ: ახალ-გაზლობა საზოგადოთ და სტუდენტობა კერძოთ, გარყვნილი აღზდისაგან, ფეხ-ქვეშ ეამირს ნიადაგს მოკლებული, თავის დღეში ვერ შესძლებს შეასრულოს თავის მოვალეობა სამშობლოს წინაშე. უცხო სფერაში და უცხო სტიქიონების გავლენის ქვეშ აღზდილს, მას შეაქვს მშობლიურს ცხოვრებაში ჯანხეთქილება და უბედურება, ლიტერატურაში — წვრილმანობა და მონური მბაძველობა. ამაების შედეგი, გულ-

მოსაკლავი და შემადრწუნებელი, ჰზარავს ყოველს ჭეშმარიტს მამულის მოყვარეს. სუყველაზედ საკრძობელი და შემაწუხებელი შედეგი არის უკაცობა. მეცნიერებას ჩვენში ერთი წარმომადგენელი არა ჰყავს, რომ მის სახელით თავ-ზარი დაეცეს უსამართლობას; ვინც არის—იგი შექმნილა ნამდვილ მის ქურუმად და უცხოეთის სამსახურში ჯტარებს ღროს; საზოგადოებრივს ცხოვრებას ერთი ტიპიური მოღვაწე არ წამოუყენებია თითქმის და საზოგადოებრივი საქმე საეჭვო ხდება ურცხვს, ყლაპია, დარბაისსლობას და დინჯ ძალუქას მოკლებულთ კაცების ხელში,

ცხადია, რომ ეს ხალხი უნდა დაიბადოს. ახალ-გაზდობამ უნდა შეავესოს ეს ნაკლი. მაშინ მოხდება ეს, როდესაც აღზრდა მშობლიურს ნიადაგზე დამყარდება, როდესაც ამ საძირკველზედ აეგება ტურფა შენობა ბრწყინვალე ევროპიული განათლებისა და არა უკულმა. როცა ფელეტონისტობას კი არ დაადებენ კისერზედ ახალ-გაზდობას და სტუდენტობას, არამედ სამშობლოს მეცნიერების შესწავლას და მის წარმომადგენლობას, მისი სახელით ქადაგებას და ღალადებას, თუ არსებობს იგი და თუ არ არსებობს,—დაადებენ კისერზედ მის შექმნას, მის შემოქმედობას. ეს ძნელია, მაგრამ ახალ-გაზდას ეხერხება ძნელი საქმის შესრულება, ახალ-გაზდობა ტრფიალებით შესცქერის ბრძოლას, როცა იგი უფრო საშიშია და პირდაპირი. მაშინ და მარტო მაშინ აღარავის არ ექმნება

ნება სამართლიანად და მწარე, შეშფოთებული, პატრიო-
ტული ნაღველით მიაძახოს ახალ-განდობას:

„კირი წავიდა,
ვირად მოვიდა,
ქაჯად ვერ იქცა თვით ქამის ძაღლით,
გთსახარალოს
ხვენს საქართველოს,
თქვენ დაებადეთ სადიდებულად“-ო.

საქართველოს მთელი მოსახლეობის მიერ დადგენილი
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
მთავრობის მიერ დადგენილი საქართველოს
საგარეო ურთიერთობების მინისტრის
დანიშნულების თანამდებობაზე დასაბრუნებელი
დასრულებულია. 1881 წ. 13 იანვარს
დადგინდა საქართველოს დემოკრატიული
რესპუბლიკის მთავრობის მინისტრთა
კაბინეტის შემადგენელი წევრების
საგარეო ურთიერთობების მინისტრის
დანიშნულების თანამდებობაზე დასაბრუნებელი
დასრულებულია.

შინაური მიმოხილვა.

ბევრი რამ ხდება ჩვენ საყვარელ სამშობლო ქვეყანაში, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, კარგი კი არა ხდება რა, როგორც წინათაც შევნიშნეთ, რომ მომავალი სიკეთის ნუგეშით მაინც არის დაესტკბეთ. თითქო უფრო-და-უფრო განათლებაში შევდივართ, წინ ვიწვეთ, მაგრამ, როდესაც კარგათ ვაკვირდებით ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ვხედავთ, რომ თან-და-თან უკან თუ მივდივართ, თორემ წინ წაუსვლელობას ვილა ჩივის. ხშირად ისეთი მოვლინებები გამოგვიხტებიან ხოლმე წინ, რომ ორივე თვალბზედ ხელის დაფარებისა და ოხვრა-კენესის მეტი აღარა საშუალება არ გვჩვენება მათ მოსანელებლათ და გასაქარვებლათ. საცოდავია, სწორეთ. საცოდავია ის კაცი, რომელიც კი კალამს ხელს მოჰკიდებს და შეუდგება ჩვენში „შინაური მიმოხილვის“ წერას. ჟურნალისათვის: ის, რასაკვირველია, ჯერ თვითონ უნდა განიგმიროს მწუხარების ლახვრით და შემდეგ სხვანიც განიგმიროს იმავე იარაღით. არაფერი სასიამოვნო საქმეა, თქვენმა მხემ, მაგრამ რას იზამთ, როდესაც ამ გვარ საქმეს მხარს ვერ აუქცევთ, თუ კი ცოტაოდენიც არის პატიოსნება გაქვსთ; ამ შემთხვევაში თქვენც უნდა შეწუხ-

დეთ და სხვანიც უნდა შეაწუხბოთ, თუმცა ამ უკანასკნელი საქმისათვის მიუცილებლათ ჯილდოთ ლანძღვა-გინებას და სხვა ამ გვარ უსიამოვნობას უნდა მოელოდეთ. „ჭირს გაძლება უნდაო“, ამბობენ ქართველები, და ჩვენც, როგორც ქართველმა, სხვა ჭირების გარდა, ამ ჭირსაც უნდა გაუძლოთ. მაშ აბა ერთი გადაეველოთ თვალჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებას, განვიხილოთ მის მოვლინებები ამ უკანასკნელ დროში და საქვეყნოთ გამოვაშკარაოთ, რომ ეგები ამ საშუალებით ცოტაც არის შევამციროთ მაინც, თუ მოსპობა ჯერ-ჯერობით არ შეიძლება, სხვა-და-სხვა შიზეზებისა გამო....

როგორათაც ჩვენი საზოგადოების, ეგრეთვე ჩვენი მხოლოობითი გაზეთი „დროების“ ყურადღება ამ უკანასკნელ ხანებში მიიზიდეს თფილისის და ქუთაისის სწავლავილ-მამულო ბანკების კრებებმა, განსაკუთრებით უკანასკნელმა. ბევრი რამ ითქვა ამ კრებებზედ, მაგრამ კიდევ უფრო ბევრი რამ სათქმელი დარჩა და ამ დარჩენილს ჩვენ ვკისრულობთ ამ დროებით. ვეცდებით, რამდენათაც კი შესაძლოა, ვილაპარაკოთ მიუდგომლათ და გამოვხატოთ ჩვენი აზრები ცხადათ და გარკვევით.

შესახებ თფილისის ბანკის კრებისა გამოითქვა ეს აზრი, რომ ამას ეტყობოდაო ჩვეულებრივი უინტერესობა საქმისა, უგულობა. ეს მართალია; ჩვენ სრულიად თანახმა ვართ ამ აზრისა და ან რა სინიღისი მოგვეცემს წინააღმდეგი ვიყოთ, როდესაც ერთმა-ორმა ძლიერს, ისიც დიდი გაჭივრებით და უნდობობთ, ამოიღეს ხმა კრებაში, როდესაც მათ მამულებელს ეგონებოდა, რომ ამ ქართლ-კახეთის გმირებს ან ენა დაბშიათ, ან ყელზე ლუკმა

დასდგმიანობა მატყამ არ აღუწერია და ვიფიქრობ, რომ ეს ყვე-
 ლანდერგო შეადგენს, თუკი მისი იტალიური მხარეს, რომლითაც
 შეიძლება მოვსტყუდდეთ, რა უკი უყურადღებო და ვტონ
 ვებო მისი მიზნებს, იტალიურ წინააღმდეგობა არაფერი ხდება და
 მასაც, რასაც ვიკვლივთ, იტალიის მიზნები აქვს, რომლის გა-
 მოკვლევითაც ვპოულობთ, რომლებამაც თავი არ შე-
 იწყია და, ვგფრთხიან, გრაც საქართველოში ვიცხადებთ, გამო-
 კვლევით არადაც, უკი მისი ჩვენება, საზოგადოებისათვის არ
 ეთანხმება ამ გაზეთის, საკუთვრს, აზრს და მიმართულებას;
 ჩვენ უკი ჩვენის მხრით, მომაკვდინებელ ცოდნით ვრაცხფ
 იმის გამოუაშკარაობას, მუშ რა არის მიზნები თფილისის
 გუბერნიის თავად-პანაურების გულ-გრილობისა შესახებ
 თავიანთ სკადგილ-მაშულთ, ბანკისა, ნუ თუ ყველას ისე
 დასძინებიათ, რომ აღარაფერს ვრძნობენ, ან ლეიპესთ,
 მაგრამ, თვითფული მათგან, მხოლოდ თავის საქუთარ
 საქმეს ეძებს და საზოგადო საქმეს ყურადღებს, არ აქ-
 ცევს, პირუთნელად ჩვენ არ შეგვიძლიან საყვრელთათ
 ესტყვათ არც, "კო" და არც, "არა" ერთიც და მეორეც
 სინილისის გარეშე ექნება, ექვი არ არის, რომ თფილისის
 გუბერნიის მიზნობებიან ისეთი სალი აზრის, მუშმან-
 ტი საქმეზედ შეხედულობის და საზოგადო ტიტერესები-
 სათვის, თნერგიის, მქონნი თავად-პანაურთაგანნი, რომ-
 გორნიც, კი საქართველო არიან; მაგრამ ვაი-ვაგლახი ის
 არიან, რომ უმეტესობა უფრო წინააღმდეგე თვისებაებისა
 არის და არ ეს არის მიზნები იმ საზოგადო, გულ-გრილო-
 ბისა, რომელსაც, სამართლიანათ სწამებენ ქართლ-კახეთის
 თავად-პანაურობას. ვბევრი რომ ვიღრიალფთ, ბევრი
 რომ თავპირი უინტერესოთ, ვილომ რას ვაეხდებოთ ამ

ბობოღებისა წინააღმდეგ, რომლებიც საზოგადოებას
 ღმერთებათ მიახნიათ და რომლებსაც ჩვენს საზოგადოე-
 ბის კეთილ-მდგომარეობაზედ ჩრუნი სასაცილოთაც არ
 უფიქროსთ, — ამის აზრით რომელიც უტრიალებსთ თავში
 ზემო აღწერილთ თვისებების მქონე პირებს და ხდება
 მიზეზათ მათ გულ-გრილობისა საზოგადო საქმიების შე-
 სუბნებო რამდენათ მართალნი, თუ მტყუანნი არიან ამ შე-
 მთხვევაში ეს პირები — ის სხვა არის, მიზეზი კი მათ უგუ-
 ლობისა ეს გახლავთ. რასაკვირველია რომ მტყუანნი იქნე-
 ბოდნა, რომ ისინი მაინც თვისას არ იმლიდნენ და სა-
 ზოგადო ინტერესებს ეცავდნენ სიტყვით მაინც, თუ
 საქმით ჯერ-ჯერობით ვერას ხდებდნენ, მაგრამ როგორც
 ვნებავსთ იფიქრეთ, ერთხელ-ორჯელ რომ ბურთ ჩაგჩრი-
 ანთ პირში, გვეგონია თქვენს სიფიცხეს შეაჩერებთ და
 „თავშიაც ქვა გიხლიაფო“ ეტყვით, — სწორეთ ასეა იმა-
 თი საქმეც. იმ ხანაში იმისა რომელიც იმდენ
 დასამტკიცებლათ აქმდის ჩვენის ნათქვამისა, რასა-
 კვირველია, ფაქტია საჭირო და იმ ფაქტისა თვითონ იმ
 დღეს, რასაც დღეს ბანკის კრება უნდა გახსნილიყო,
 „დროების“ რედაქტორთაგანმა უ. ილია ქავჭავაძემ მისცა
 დღილი ამ გაზეთში ექვს კონკრეტულად ცივს, რომე-
 ლიც იმავეს როგორათაც თფილისის საადგილ-მამულო
 ბანკის მმართველს, სამართლიანათ, ჰკაცხავდა მინდობი-
 ლი საქმის დაუდევრობისათვის, როგორც ფიქრობთ, ვე-
 ფომ ამისთვის გაუშვა თავის გაზეთში იმ გვარი კორრეს-
 პონდენცია უ. ქავჭავაძემ, რომ თავი გაემართლებინა,
 ვნ არა დე დაესაჯა? ჩვენს აზრით სრულებითაც არა-
 არც თავი გუშართლები და დასაჯა ხომ ვინ იფიქრებს

რომ სდომებოდეს! არც აქეთ, არც იქით—ეს გახლდათ დაცინვა კორრესპონდენტისა და მის თანა-მოაზრეებისა. „ეს მე—თავადი ილია ჭავჭავაძე, მფლობელი დიდის ადგილებისა კახეთში და საგურამოში, მქონი ტუზებთან დამოკიდებულობისა, გათქმული ლიტერატორი და განსაკუთრებით პოეტი, მყოლი აუარებელი თანა-მგონობლებისა და თაყვანის-მცემლებისა, თავ-მჯდომარე წერაკითხვის გამავრცელებელის და დრამატიული საზოგადოებების სამმართველოებისა, რედაქტორი ქართული შეერთებული ჟურნალ-გაზეთის „დროება-ივერიისა“ და სხვ. და სხვ. და ეგ თქვენ—ვილაცა საზოგადოების ინტერესებისათვის გულ-შემატკივარნი კორრესპონდენტები, უკუღოები, ლარიბ-ლატაკები, გამოუჩინებლნი და სხვ. და სხვ.,—აბა ერთი ვნახოთ რას იზამთ!“—აი ის აზრი, რომლითაც, ჩვენის ფიქრით, ხელმძღვანელობდა უ. ჭავჭავაძე ზემოხსენებული კორრესპონდენტის თავის გაზეთში დაბეჭდვის დროს. გაიხსნა კრება და, მართლაც, თვალ-წინ წამოგვიდგნენ უ. ჭავჭავაძის თანამშრომელნი, თუ რედაქციისში, თუ ბანკში, თუ წერაკითხვის გამავრცელებელ და დრამატიულ საზოგადოებების სამმართველოებში, მის თანა-მგონობნი და თაყვანის-მცემელნი. ვინ ამოიღებდა, თუ ღმერთი გწამსთ, მის წინააღმდეგ ხმას და, სწორეთ მოგახსენოთ, არც არავის კრინტი დაუძრავს. მოდით ახლავ და დაძრახეთ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა ბანკის კრებინ დროს გულ-გრილობისათვის! რა ჭავჭავაძე ვნებავსთ და რა ბანკის კრება, რომელიც უნდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის საზოგადო ყრილობა აიღოთ, უოველთვის ასეა, თითო ჭავჭავაძისთანა თავის თანა-მგონ-

ნობებით, თაყვანის-მცემლებით და დამოკიდებულობით ამავე რიგათ გამოგვეცხადება ხოლმე და კეთილი მიმართულების მცირედობა ყოველთვის პირში ჩალა-გამოვლებული რჩება ხოლმე. ამ გვარ შემთხვევაში მაინც-და-მაინც ჭიშხურს ვერ დაეაყენებთ მოხსენებულს მცირედობას, რომ გაიჭაჭოს უნაყოფო ყვირილით და ფაციფუცით, თუმცა სასურველი კი არის რომ ეს ასე იყოს, იმიტომ რომ ამ გარემოებას შეუძლიან თან-და-თან თვალის აუხილოს საზოგადოებას და როდისმე, ჩვენი შვილი-შვილების მოხუცებაში მაინც, სიმართლემ დასძლიოს უსამართლობა....

ასე და ამ გვარათ გულ-აცრუებული შეიქნა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა თავის საკუთარ საქმეებში; სხვა საზოგადო საქმეებში, რაღა თქმა უნდა, უმეტესს უნდა მოველოდეთ და ისეც გახლავსთ. ეს ძალიან ცუდი საქმეა, რასაკვირველია, ამას მოსდევს ხოლმე თან ის საშიშვარი აპატია, რომელიც ხალხის უკან-წასვლის ნიშანს შეადგენს. ამისათვის საკმაოდ არ არის მხოლოდ ის, რომ მოხსენებული გულ-გრილობა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა გაიკიცხოს და დაიცინოს; არა, უნდა გამოვარდეს ძირიანათ თვით ის მიზეზი, რომლისაგანაც ეს გულ-გრილობა წარმოსდგება და რომელიც ჩვენ უკვე გავიცანით, თუმცა ეს ისეთი ადვილი არ არის, როგორც გაიკიცხვა და დაცინვა. მოსასპობლათ თვითრეულობისა არსებობენ როგორც მოგვხსენებთ, სხვა-და-სხვა საშუალებები; ხშირათ ერთი რომელიმე საშუალება სამყოფია ხოლმე თხზმართ, რომ სწეულობა თავიდგან მოვიშორათ. ზემოაღწერილი ქართლ-კახეთის თავად-

აზნაურობის ზნეობითი კრიზის მოსაზრებელი საშუალებების სხვა-და-სხვა არიან, მაგრამ ეს ისეთი კრიზისია, რომლის მოსაცილებლათვისაც არ კმარა ერთი რომელიმე ამ საშუალებათაგანაც. რაც უფრო მეტს ხმით განსჯის მართი, იმდენი უფრო მაღელ მიხედვით ჩვენს წადილს ჩვესანებ ხსენებული ოთხად აზნაურობის ფაქტორებსა და გაფაციცებისა, არამც თუ მარტო თავის საქმეებში, არამედ ყოველ გვარ საზოგადო საქმეებშიც. ამიტომ ვფიქრობთ დავასახელოთ სამი მაინც ამ გვარი საშუალებები და, რასაკვირველია, უფრო საიმედოები. პირველად ყოველისა უნდა განიგდოს ხმარებისაგან ის დამღუპელი ყოველად შემძლებელი პროტექციის პრობლემა წყალობითაც ჩუმტეს ნაწილათ მოულოდენ ხოლომე რაიმე თანამდებობას ხაზოგადლოთ თავად-აზნაურობის საქმეებში და კერძოთ მის საადგილ-მამულო ბანკში უტყუარ ისეთი პირები, რომლებსაც შეძლება კარგი აქვსთ და ამის გამო ის საქმეც ეზარებათ სახელმწიფო სამსახურებში რა სიკეთე დაკვაყარა ამ პროტექციამ, რომ ჩვენ საკუთარ საქმეებშიაც ადგილი ჰქონდეს?!... მეორე საშუალება კიდევ ეს არის: თფილისის გუბერნიის თავდაზნებურობა ყოველთაგანთ-ძიებით უნდა ეცადოს, რომ თავის ზანკისთვის ამ მართველობით, ან სხვა საქმეებში არასოდეს არ მიუშვას არავითარ თანამდებობაზე დონისეთი პირები, რომლებსაც აქვსთ სხვათა რაიმე თანამდებობებზე ან კიდევ ხელობა. ყველაში კარგათ ვიცით, რომ ორს ანუ სამს საქმეს რსე ვერ გაატანს კაცი თავს, როგორც ერთს ან დაზათაც კი შეგვექნათ ეს აზრით: „ორ კურდღელს რომ მწევარი გამოუდგება—ჩერც ერთს ვერ დანიჭერსო“ ან შინა რათ გვესმის. მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და

ჩვენს თავს ვამართლებთ ხოლმე იმით, რომ, თუ ერთ საქმეში კარგია ვინმე, მეორეშიაც კარგი იქნებაო, რაც ძალიან ტყუილია და რის წინააღმდეგშიაც ხშირათ გვამტკიცებს ცხოვრება და გამოცდილება. განსაკუთრებით ამ აზრს ხელი არა აქვს თავად-აზნაურობის საკუთარ საქმეებში, სადაც თანამდებობის ცვლა საქმეს ადამიანი და, თუ ვინმე არ გამოდგა თავის თანამდებობაში, ადვილად შეიძლება მისი თავიდან მოშორება. ჩვენის აზრით, ამ გვარს წყობილობას, თუკი იქმნა როდისმე მიღებული კანონათ, დიდი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს შრატელს ჩვენს სახელმწიფოსაც; ეს იმიტომ რომ მაშინ იმდენი შიშის მუცლით მგსბარულე წყარულელი ყმაწვილ-კაცები აღარ იქნებიან, რამდენიც ეხლა არიან, და, რაც უფრო სასურველია, ჩამოვარდება თან-და-თან ცხოვრებაში თანასწორობა, რომლისადმისაც გაფაციცებული მიილტვიან ენა რომის მოწინავე ხალხები... ამ ორ საშუალებას მიუცილებლათ თან უნდა მიჰყვეს მესამეც, რომელიც მდგრად მარეობს იმაში, რომ თანამდებობის პირნი აზრებულნი იყვნენ ხოლმე შემოხსენებული თავად-აზნაურობისა-გან თავის საკუთარ საქმეებში მიუდგომელათ, არა ნაცნობობით, ნათლურაობით, რაც ნათესაობით, არამედ საზოგადო საქმის ინტერესობით, რასაც კანონიც ითხოვს და სინიღისიც და რასაც, სამწუხაროდ ჩვენდა, ძალიან მოკლებულნი ვართ.

როდესაც ამ გვართ დაიწყებს მიმდინარეობას ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის საქმე, მაშინ იმედი უნდა გვქონდეს, რომ გაფხიზლდება იგი და გაფაციცდება

მიხეილ გურგენიძე.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

რედაქციისათვის.

ერთი ჩვენი აგენტთაგანი გვაცნობებს, რომ ხმა გავრცელებულა, განსაკუთრებით გორის მაზრაში, ვითომც ჩვენ ჟურნალი „იმედის“ გამოცემის მოსპობას ვაპირებდეთ. ამისათვის საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ეს ხმა უსაფუძვლოა და ალბათ მოგონილია ვისგანმე ბორც-განზრახულებით, რა არის ხელის-მომწერები დაგვიფრთხოს. მართალია, გამოსვლამდის მოსპობილი ჟურნალი „მიმოხილვის“ თანამშრომლებმა რამდენჯერმე გვთხოვეს, რომ იმათთვის გარდაგვეცა რედაქციის და გამომცემლობის საქმე, მაგრამ ეს თხოვნა ჩვენ უკვე უარყვავეთ და არც განზრახვა გვაქვს გარდავეცეთ ვისმე.

რედაქტორი და გამომცემი მ. გურგენიძე.

424

1881

„იმედზედ“ ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიც იმყოფება კუკიაში, საყდრის ქუჩაზედ — № 18, ვორონცოვის ძეგლის ახლო.

გარეშე მცხოვრებლებთ შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ აღრესით: *Въ Тифлисѣ. Въ редакцію грузинскаго журнала „ИМЕДИ“*.

ფასი წლიურის გამოცემისა გაგზავნით სხვა ქალაქებში და თფილისში შინ მიტანით არის 8 მან.

ვისაც ჟურნალი მისდით და ხვედრი ფული ჯერ არ შემოუტანიათ, ვთხოვთ მალე წარმოადგინონ. ვთხოვთ აგრეთვე იმათაც, ვისაც მარტო პირველი ნახევარი წლის ფასი აქვსთ წარმოდგენილი, მალე გამოგზავნონ მეორე ნახევარ წლის ხვედრი ფულიც.

ვისაც რომელიმე ნომერი ჟურნალისა არ მისვლიათ ან არ მიუვიდესთ, ვთხოვთ გვაცნობონ და დაკარგულ ნომრები გაეგზავნებათ ხელ-ახლად.

რედაქტორი და გამომცემი მიხაილ ბე